


178 / 3  
1584



ISSN 0132-5981



# ქართული სამედიცინო

2,95



4 1984



# საჭმომთა სამართაღი

## N<sup>o</sup> 4

ივლისი  
აგვისტო

1984 წელი

ქურნალი ბანოღის 1926 წლის 1 მარტიღან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კროკურატურისა და  
უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-კრატქიკული ქურნალი

### ზინაარსი

მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე მოუბოგა სახელმწიფო მნიშვნელოზის საქმეა	3
ა. პარანაქი — ზუსტად დავიცვათ კანონები სისხლის სამართლის საქმეთა ბანწილვის დროს	8
ბ. ყოლბაიან — სასამართლოს მიერ დამატებითი გამოძიებისათვის საქმეთა დაბრუნების საფუძვლები და წესი	20
ვ. ზიტირი — ნებატიური მოვლენები და მათთან ბრძოლა	30
<u>კანონის კომენტარი</u>	
ბ. გოლოუზილი, ვ. მისჰარიანი — ახალბაზრდოზის ურომითი უფლებები და მოვალეობები	38
<u>კრწინელოგია</u>	
ა. ბაბიანი — საქართველოში ქალთა დანაშაუვეოზის დინამიკისა და სტრუქტურის უოგიერთი საკითხი	45
<u>ქურადღეა — ბამოცდიღეა!</u>	
ზ. ქუტიქი — ურომითი კოლექტივის როლი საჭაროზ მართვაში	50
<u>ვ. ვნეაღის ნაურომის „ოჯახის, კარო საქუთრების და სახელმწიფოზს წარმოუბა“ 100 წლისთავისათვის</u>	
ბ. ნადარეიწილი — კლასიკური ნაურომი პიკველყოფილი საუოგადოების ისტორიის უმსახე	54
უზბოეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო იურისტების დღეღაცია თბილისში	61
ზ. მესენგინარი — სინტეზესო წიგნი	62
არბიტრაჟის კრატქიკა	63
კლასუ კოლქენი, ჰორსტ სევეონიკი — ორბანიწიბული დანაშაუღის სამყაროში	65
ინფორმაცია	71

## СО Д Е Р Ж А Н И Е



Работа с жалобами и заявлениями граждан — дело Государственной важности . . . . .	3
<b>А. КАРАНАДЗЕ</b> — Строго соблюдать законы при рассмотрении уголовных дел . . . . .	8
<b>Г. КОЛБАЯ</b> — Основания и порядок возвращения дела нар. судом для дополнительного расследования . . . . .	20
<b>Л. ХИТИРИ</b> — Негативные явления и борьба с ними . . . . .	30
<b><u>КОММЕНТАРИЙ ЗАКОНА</u></b>	
<b>Г. ГОЛОШВИЛИ, Е. МИСКАРЯН</b> — Трудовые права и обязанности молодежи . . . . .	38
<b><u>КРИМИНОЛОГИЯ</u></b>	
<b>А. ГАБИАНИ</b> — Некоторые вопросы динамики и структуры женской преступности в Грузии . . . . .	45
<b><u>ВНИМАНИЕ — ОПЫТ!</u></b>	
<b>Ш. КУТИДЗЕ</b> — Участие коллектива в управлении предприятием . . . . .	50
<b><u>К 100-ЛЕТИЮ ТРУДА Ф. ЭНГЕЛЬСА «ПРОИСХОЖДЕНИЕ СЕМЬИ, ЧАСТНОЙ СОБСТВЕННОСТИ И ГОСУДАРСТВА»</u></b>	
<b>Г. НАДАРЕИШВИЛИ</b> — Классический труд по истории первобытного общества . . . . .	54
Делегация военных юристов Венгерской Народной Республики в г. Тбилиси	61
<b>З. МЕСЕНГИСЕРИ</b> — Интересная книга (М. Комахидзе) . . . . .	62
<b><u>АРБИТРАЖНАЯ ПРАКТИКА</u></b> . . . . .	
<b>КЛАУС ПОЛЬКЕН, ХОРСТ СЦЕПОНИК</b> — В мире организованной преступности . . . . .	65
Информация . . . . .	71



### სარედაქციო კოლეგია:

**ო. კაციტაძე** (მთ. რედაქტორი), **ლ. ალექსიძე**, **ა. ბარაბაძე**,  
**გ. ბერძენიშვილი** (პ/მგ მდივანი), **გ. ინწკირველი**, **ა. კარანაძე**,  
**მ. ლეკვეიშვილი**, **გ. ტყეშელიაძე**, **ა. შუშანაშვილი**,  
**ა. ხოჭოლავა**, **ს. ჯორბენაძე**

© „საბჭოთა სამართალი“, 1984 წ.

---

რედაქციის მისამართი, თბილისი პლენარის პრ. 108. ტ. 95-58-87, 95-88-49.

---

გადაეცა წარმოებას 4.IX.84 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.X.84 წ.,  
ფორმატი 70×1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7. სალარისცხო-საგამომცემლო თაბახი 7,5

შეკვ. № 1997

ტირაჟი 24.600

უე 06786

---

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი ღროშის ორდენოსანი სტამბა.  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

# მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებსა და სარჩევნო მუშაობა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა

მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. გასაჩივრების უფლება საბჭოთა მოქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კონსტიტუციური უფლებაა:

საბჭოთა ადამიანის უფლებას, მიმართოს სახელმწიფოს ნებისმიერ ორგანოს წინადადებით, განცხადებით ან საჩივრით, პარტია და სახელმწიფო უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე.

მოქალაქეთა ამ განუყოფელ უფლებას პარტია მიიჩნევს სახელმწიფო საქმიანობაში მშრომელთა მონაწილეობის ყველაზე უფრო მასობრივ, დემოკრატიულ და აქტიურ ფორმად. „სწორედ მასების აქტივობაშია სოციალისტური წყობის ძლიერების უმნიშვნელოვანესი წყარო“, — ხაზგასმით არის ნათქვამი „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმწერდელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

ჩვენი პოლიტიკური და სამართლებრივი სისტემის ამ დემოკრატიულ ინსტიტუტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საბჭოთა კანონი. იგი წარმოადგენს პიროვნების უფლების დაცვისა და განხორციელების, სახელმწიფო აპარატის მოსახლეობასთან კავშირის განმტკიცების უმნიშვნელოვანეს საშუალებას, იმ ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფას, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მიმდინარე და პერსპექტიული საკითხების გადასაწყვეტად.

ამ უფლების საკონსტიტუციო რანგში აყვანა ლოგიკურად განმტკიცებს მას სოციალისტური საზოგადოების ყველაზე უფრო მაღალ მორალურ-ეთიკურ ღირებულებათა შორის და ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

უაღრესად დიდია ამ ინსტიტუტის მნიშვნელობა სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების თვალსაზრისით.

მოქალაქის უფლება, გასაჩივროს სამართალდაცვითი ორგანოების მოქმედება, მათი გადაწყვეტილება, წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, მისი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მიმართულ უმნიშვნელოვანეს საშუალებას და გარანტიას. მოქალაქის მიერ ამ უფლების პრაქტიკული რეალიზაცია ეფექტიანი წანამძღვარია იმ შეცდომათა გამოსასწორებლად, რომლებიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება აღმინისტრაციული ორგანოების მუშაობაში. იგი სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის სრულყოფის ქმედითი საშუალებაა.

საჩივრის უფლების დემოკრატიული ბუნება თავისთავად ცხადი და უდავოა. ეჭვგარეშეა ისიც, რომ ამ უფლების ინტენსიური გამოყენება დემოკრატიის აქტიურ ფუნქციონირებაზე მტკიცებებს.

მაგრამ მოქალაქეთა წერილების სიმრავლე, სიუხვე ყოველთვის დემოკრატიული სიტუაციის ამსახველი გარემოება როდია (ზოგჯერ იგი სრულიად საპირისპირო მოვლენების ანარქლია).

ერთია როდესაც სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან თანამდებ-

საქ. სსრ კ. მარქსის



ბობის პირის შემოქმედებითი საქმიანობა ბაღებს ენთუზიაზმს, ადამიანს უჩნდება მოთხოვნილება აქტიურად გამოეხმაუროს, ხელი შეუწყოს საქმის წინსვლას, განვითარებას, სულ სხვაა, როდესაც თანამდებობის პირი, ესა თუ ის ორგანო უშუალოდ მოქალაქეს უფლებებს, ავიწროებს მას, იძულებულს ხდის იჩივლოს, ეძიოს სიმაართლე, სამართალი.

მშრომელთა წერილები მათი შინაარსის, გამომწვევი მიზეზებისა და მიზნების მიხედვით შემდეგნაირია; 1. წინადადებანი; 2. თხოვნის შემცველი განცხადებანი; 3. საჩივარი.

წინადადებანი შეიცავენ რჩევას, რეკომენდაციებს, საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემების ირგვლივ. ისინი, როგორც წესი, წარმოადგენენ პრაქტიკულ მოსაზრებებს სხვადასხვა სოციალური საკითხების გამო. თხოვნა შემოიფარგლება ძირითადად პირადი ხასიათის საკითხებით. განსაკუთრებული ხასიათი აქვს მოქალაქეთა საჩივრებს — მათში გამოხატულია პროტესტი დარღვეული უფლების გამო, მოთხოვნა აღდგენილ იქნეს სამართლიანობა და ა. შ.

თუ წინადადებები და თხოვნა უფრო მეტად მოქალაქეთა თანადგომასა და მხარდაჭერას გამოხატავს, საჩივრებს ხშირად წარმოშობს ზოგიერთი სახელმწიფო ორგანოს თუ თანამდებობის პირის არადემოკრატიული ან კანონსაწინააღმდეგო მოქმედებანი, რომლებიც უხეშად ლახავენ მოქალაქის დემოკრატიულ უფლებრივ სტატუსს და აიძულებენ მას კანონიერება ეძიოს არა იქ, სადაც მოქალაქე ცხოვრობს, მუშაობს, საქმიანობს, არამედ სხვაგან, სხვადასხვა ინსტანციებში. ძალიან ხშირად საჩივრების მიზეზია არაგულისხმირი დამოკიდებულება მოქალაქისადმი, რაც იმით გამოიხატება, რომ მას არ განემარტება კანონი, მიღებული გადაწყვეტილების სისწორე, უსულგულოება, უყურადღებობა, „მოუცდელიობა“ იმისათვის, რომ ადამიანს გააგებინონ სიმაართლე და კანონი, რაც თანამდებობის პირის უშუალო სამსახურებრივი მოვალეობაა.

მიმდინარე წლის 6 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო უაღრესად მნიშვნელოვანი დადგენილება მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დროს სამართალდაცვითი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ავტორიტეტულობისა და აღმზრდელობითი როლის შესახებ.

ამავე წლის 21 ივლისს კი გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელმაც დასახა ღონისძიებანი აშხ. კ. უ. ჩერენკოს მითითებათა მიხედვით მოქალაქეთა წერილებისა და განცხადებების დროულად და ხარისხიანად განხილვის საქმეში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

სამართალდაცვითი ორგანოების ფუნქციათა სპეციფიკა მათ ავალებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეციდონ მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობას. უზრუნველყონ მტკიცე კანონიერება ამ სახელმწიფოებრივ საქმეში.

მდგომარეობა კი ჭერჭერობით სახარბიელო როდია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ სამართალდაცვით ორგანოებში შესულ საჩივართა, აგრეთვე ამ ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებით ხელმძღვანელ ორგანოებში საჩივრების გამომწვევი ძირითადი მიზეზია მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვისას ადგილებზე დაშვებული უყურადღებობის და ზოგჯერ არაობიექტურობის ფაქტები; დიდი ხნის განმავლობაში საბოლოო გადაწყვეტილების მიუღებლობა იმ საკითხებზე, რომლებიც მოქალაქეთა საარსებოდ მნიშვნელოვან ინტერესებს ეხება; სისხლის სამართლისა და სა-მოქალაქე სამართლის საქმეთა გამოძიება-განხილვის გაჭიანურების შემთხვევები.

კანონიერების თვით ცნება გულისხმობს კანონის ჭეშმარიტად ერთგვაროვან გაგებასა და გამოყენებას უკლებლივ ყველგან, ყველა ქალაქსა და რაიონში, საწარმოსა და დაწესებულებაში.

სახელმწიფოში კანონიერების უზრუნველყოფა გულისხმობს იმას, რომ კანონი უპირველესად დაცულია ადგილებზე.

სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი კატეგორიულად ავალებს ყველა ორგანოსა



და ორგანიზაციას თანამიმდევრულად და განუხრელად განხორციელონ პარტიის მოთხოვნა საბჭოთა კანონების ავტორიტეტის ამაღლებისა და კანონის წინაშე ყველას თანასწორი პასუხისმგებლობის შესახებ. სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა, რომ ღრმად იქნეს შესწავლილი საქმის ვითარება ყველა ქალაქსა და რაიონში, სადაც აღინიშნება ნეგატიური მოვლენები, მთელი ძალები მოხმარდეს ადგილებზე სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის გააქტიურებას, ყველა დასახლებულ პუნქტში სრული მართლწესრიგის უზრუნველყოფას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რაიონებისა და ქალაქების ადმინისტრაციული, აგრეთვე სხვა შესაბამისი ორგანოები თავიანთი თვალთახედვის გარეთ ტოვებენ განცხადებათა დიდ ნაწილს, განცხადების დაუსახუთებლობის შემთხვევაში თავს არ იწუხებენ იმით, რომ დაარწმუნონ უკმაყოფილო, განაწყენებული მოქალაქე შესაბამისი ორგანოების მიერ დაკავებული სწორი პოლიციის ობიექტურობაში. უგულვებელყოფენ მუშაობას იმ განმცხადებლებთან, რომლებიც მიმართავენ შემდგომ პარტიულ, საბჭოთა, სამართალდაცვითს ორგანოებს, არ ინტერესდებიან მათი საქმიანობის გამო შეტანილი საჩივრების მიზეზებით, მათი განხილვის შედეგებით, მიუხედავად იმისა, რომ საჩივრების დიდი ნაწილი სწორედ ადგილობრივი სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში არსებული შეცდომებისა და ხარვეზების პირდაპირი შედეგია, ტოვებენ ამ საჩივრების წარმომშობ მიზეზებს სისტემატიური, ღრმა ანალიზის გარეშე.

ამით კნინდება საჩივრის უფლების, ჩვენი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სისტემის ამ უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ინსტიტუტის დემოკრატიული ცხოველყოფელი ძალა და სახელმწიფო მექანიზმზე მისი სასიკეთო გავლენა, თავისთავად ცხადია, რომ ეს ხელშემწყობ გარემოს ქმნის ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმისათვის.

სხვადასხვა რესპუბლიკურ და საკავშირო ინსტანციაში სწორედ ადგილობრივ სამართალდაცვითს ორგანოებში დაშვებულ შეცდომებზე მოდის რაოდენობრივად ყველაზე მეტი საჩივარი, თუმცა ისინი შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს უნდა გადაეწვიტა.

მოქალაქეები, რომლებმაც ვერ მიაღწიეს შესაბამის ადგილობრივ ორგანოებში თავიანთი საკითხის კანონიერ გადაწყვეტას, იძულებული ხდებიან მიმართონ შემდგომ ორგანოებს, რაც მათ დამატებით მორალურ და მატერიალურ ზარალს აყენებს, აცდენს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაკენ.

რესპუბლიკურ ორგანოებში მიღებული საჩივრების გეოგრაფიული ფაქტორის მიხედვით ანალიზი საყურადღებო სურათს იძლევა. ზოგიერთი რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ საჩივრების რაოდენობა თანაბარ ობიექტურ პირობებში 5-ჯერ, 7-ჯერ, 10-ჯერ და ზოგან 20-ჯერაც კი აღემატება სხვა რაიონებიდან შემოსულ საჩივრებს.

ულავოდ, საჩივრების წარმომშობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ნაკლოვანებანი იმ ორგანოთა მუშაობაში, რომელთა მიმართაც საჩივრები იწერება. მოკვლევისა და გამოსების, პროკურატურის, სასამართლო ორგანოების პროცესუალურ მოქმედებათა, მიღებულ დადგენილებათა უკანონობა და არადამაჯერებლობა ობიექტურად განაპირობებს საჩივრებს შემდგომ ორგანოებში. სამართალდაცვითი ორგანოების ცალკეული მუშაკების დაბალი პროფესიული დონე, სუსტი სამართლებრივი არგუმენტაცია, არაობიექტურობა, უკანონობა და ზოგჯერ არაკეთილსინდისიერებაც კი მოქალაქეთა სამართლიანი საჩივრების საფუძველია.

საჩივრების პროფილაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლოს განაჩენისა და გადაწყვეტილების კანონიერებასა და დამაჯერებლობას, სასამართლო პროცესის აღმწარდებლობითი როლის უზრუნველყოფას. ეს კი, თანახმად საპროცესო კანონმდებლობისა ევალება როგორც საკუთრივ სასამართლოს, ისე საქმის განხილვაში მონაწილე პროკურორსა და ადვოკატს.

სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები ხშირად არ იჩენენ დინტერესებას, რათა მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაში დაარწმუნონ ადამიანები, ღრმად არ სწავლო-

ბენ მომხივანთა მიერ წამოყენებულ მოსაზრებებს, რეაგირების გარეშე ტოვებენ მათ.

მდგომარეობას განსაკუთრებით ართულებს დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა, როდესაც მოქალაქეებთან მუშაობას დამთავრებულად თვლიან კონკრეტული სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო სამართლის საქმის განხილვა-გადაწყვეტით და ივწყებიან, რომ სწორი განაჩენისა თუ გადაწყვეტილების გამოტანაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მათს კანონიერებასა და სამართლიანობაში მოქალაქეთა დარწმუნება.

აღაშინებლისა და საქმისადმი ასეთი ფორმალური, გულგრილი დამოკიდებულება აკნინებს სასამართლოს ავტორიტეტს, კანონის აღმზრდელი ფუნქციას, უარყოფითს გავლენას ახდენს სწორი მართლშეგნების ფორმირების პროცესზე, იწვევს მოქალაქეთა სერიოზულ, საფუძვლიან უკმაყოფილებას და საჩივრებს, ხელს უშლის რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის შემდგომ გაჯანსაღებას.

ამის შედეგია, მაგალითად, ის, რომ მხოლოდ საკასაციო წესით რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში სისტემატიურად ასაჩივრებენ განაჩენებს ყოველი მეექვსე პირის მიმართ და აქედან უდიდესი უმრავლესობა — 80 პროცენტზე მეტი გასაჩივრებულია არა იმიტომ, რომ განაჩენი უკანონოა, არამედ იმის გამო, რომ სასამართლო პროცესი არ იყო დამაჯერებელი, განაჩენმა მოქალაქეები ვერ დაარწმუნა, მათ არ მიეცათ საჭირო ახსნა-განმარტებანი, სასამართლოს არ აღმოაჩნდა სათანადო ავტორიტეტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები ღრმად სწავლობდნენ და სათანადო ყურადღებით ეკიდებოდნენ იმ მოსაზრებებსა და მოტივებს, რომლებიც მოქალაქეებს მოჰყავთ თავიანთ საჩივრებში. ერთხელ გაცემული პასუხი შემდგომ მრავალგზის მეორდება განმეორებით საჩივრებში მითითებულ გარემოებებისა და ასპექტების გაუთვალისწინებლად. ახალ მოტივებს არა მარტო ტოვებენ სამართლებრივი შეფასების გარეშე, არამედ არც კი ახსენებენ. ხშირად გაცემულ პასუხში უგულვებელყოფილია ის მოტივები, რომლებიც უდავოდ სწორი და დასაბუთებულია. ეს კი მოქალაქეებს ისეთ შთაბეჭდილებას უქმნის, თითქოს იმ ორგანოებს, რომელთაც ეს ევალებათ, არ სურდეთ ან არ შეეძლოთ საუბარი მომხივებთან მათთვის გასაგებ ენაზე, მათი დარწმუნება უმარტივეს საკითხებშიც კი.

პასუხი არცთუ იშვიათად დგება ისეთი ფორმით, რომ მოქალაქეები მათ აღიქვამენ, როგორც ცალკეული თანამდებობის პირის სუბიექტურ, კერძო მოსაზრებას, და არა როგორც სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტს. ამის მიზეზი ის არის, რომ ბევრი თავს არ იწუხებს პასუხში მიუთითოს იმ კანონსა და სამართლებრივ ნორმაზე, რომლებიც აწესრიგებენ მოცემულ სიტუაციასა და საზოგადოებრივ ურთიერთობას.

საჩივარზე პასუხის შედგენისას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროა მივალწიოთ იმას, რომ იგი იყოს ყველა მოსაზრებისა და მოტივის კანონიდან გამომდინარე შეფასებისა და ღრმა ანალიზის შედეგი.

ფორმალური, არადამაჯერებელი პასუხი არ აკმაყოფილებს განმცხადებლებს, ამიტომ ისინი იძულებული არიან რამდენჯერმე მიმართონ საჩივრით არა მარტო შემდგომ ადმინისტრაციულ, არამედ ყველა ორგანოსა და ინსტანციას.

იმისათვის, რომ საჩივარზე გაცემული პასუხი მაქსიმალურად დამაჯერებელი იყოს, უთუოდ საჭიროა გავითვალისწინოთ მომხივების განათლებისა და განვითარების დონე და იურიდიულ საკითხებში მისი გათვითცნობიერება, ყოველივე ეს, როგორც წესი, კარგად ჩანს თვით საჩივრიდან.

სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, რომ მათი საქმიანობის ხასიათთან უშუალოდ არის დაკავშირებული წარმოდგენა ისეთ მაღალწონობრივ კატეგორიებზე, როგორც არის აქტიურობა, პრინციპულობა, სამართლიანობა, უანგარობა, მუშაინიში

ამიტომაც აქვს სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობას ასეთი დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში შეიქმნას საქმის წარმოების მთელი პროცედურის გარშემო ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი, განხორციელდეს ღონისძიებანი სამართალწარმოების კულტურის ამაღლებისათვის.

მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის ნაკლოვანებები ამ სფეროში განსაკუთრებით უარყოფითს გავლენას ახდენენ ამ ორგანოთა ავტორიტეტზე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა სამართალდაცვითი ორგანოების კომუნისტებს განმცხადებლებთან მუშაობა მიიჩნიონ თავიანთი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; სამართალდაცვითი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ავტორიტეტის ასამაღლებლად, მათს მუშაობაში საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობისა და საჯაროობის გასაფართოებლად.

მკაცრად უნდა ვიბრძოლოთ განმცხადებლებთან მუშაობაში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ, მკაცრად მოვკითხოთ იმათ, ვინც იჩენს ბიუროკრატიზმს, ფორმალიზმს და აჭიანურებს საქმეს, არ უზრუნველყოფს მოქალაქეთა საჩივრების, განცხადებებისა და წერილების ობიექტურ, სამართლიან და დროულ განხილვას, მათზე დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას.

რესპუბლიკური ქალაქებისა და რაიონების სამართალდაცვითი ორგანოები სისტემატურად უნდა არკვევდნენ საჩივრის წარმოშობის მიზეზს, ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, ხომ არ ხდება ისეთი რამ, რაც არ შეიძლება აიხსნას უბრალო შეცდომით და წარმოადგენს პრობუციონიზმის ან სხვა ნეგატიური ფაქტორის გამოვლინებას.

მხოლოდ ასეთი ყოველდღიური პრინციპული ანალიზის საფუძველზე, მიზანდასახულად და საქმის ცოდნით შეიძლება აღმოვფხვრათ სამართალდაცვითი ორგანოების ყველა რგოლის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.





# ზუსტად დავიხვავთ კანონები სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს

ბ. პარანაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

საბჭოთა კანონების უზუსტესი დაცვა პარტიის მიერ დასახული პოლიტიკური ამოცანის — დისციპლინის და ორგანიზებულობის განმტკიცების, დანაშაულობათა აღკვეთის მთავარი პირობაა.

კანონი ხალხის სუვერენულ ნება-სურვილს გამოხატავს და მისი შესრულება უკლებლივ ყველასათვის სავალდებულოა — ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა. თავისთავად ცხადია ისიც, რომ ადამიანები, რომელთა ერთადერთი პროფესიული და საგანგებო სახელმწიფოებრივი ფუნქციონალური მოვალეობაა ადასრულონ კანონი, თვით უნდა გვევლინებოდნენ მის მოთხოვნათა სამაგალითო დამცველებად.

ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდეს პატივს სცემენ სახალხო მოსამართლებს ი. სალნიკოვსა და ა. პროდანოვს, ტ. კუზნეცოვსა და ა. ყუკოვს, ვ. ჩეტაკოვს, ლ. გაშუევს და ასობით სხვებს, იმათ, ვინც უკვე 10 წელზე მეტია მუშაობს ყოველგვარი სასამართლო წუნის გარეშე. მათ მიერ გამოტანილი არც ერთი განაჩენი არ გაუქმებულა და არ შეცვლილა.

ეს შესანიშნავი ადამიანები, ჩვენი პროფესიის ჭეშმარიტი შუქურები, წლიდან წლამდე დამაჯერებლად გვიჩვენებენ იმის ბრწყინვალე მისაბამ მაგალითს, თუ როგორი უნდა იყოს მართლმსაჯულების მსახური, როგორ უნდა იცავდეს იგი კანონს.

ცოტა როდია ღირსეული სახელები ჩვენი რესპუბლიკის მოსამართლეთა შორისაც.

როგორია მათი პრაქტიკული მოღვაწეობის სოციალური ღირებულება, პოლიტიკური მნიშვნელობა?

ადამიანისათვის ყოველთვის იოლი როდია სწორად აღიქვას საკუთარი საქმიანობის და პროფესიის ცხოვრებისეული ღირებულება, მათ ჭეშმარიტ, გაცილებით უფრო ზუსტ და ობიექტურ შეფასებას იგი ხედავს არეკილს სხვა ადამიანების შეხედულებაში.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მსოფლიოს ერთ-ერთმა ცნობილმა სოციოლოგიურმა ცენტრმა პროფესიათა სოციალური მნიშვნელობის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფართო გამოკვლევა მოაწყო. მართლმსაჯულების მსახურთათვის მეტად ყურადსაღებია, რომ გამოკითხულთა უდიდესმა უმრავლესობამ პირველ ადგილზე უყოყმანოდ დააყენა მოსამართლის პროფესია, მეორეზე ეჭმისა და მხოლოდ მესამეზე — პედაგოგისა.

ადამიანის ცხოვრების არსი და დანიშნულება საბოლოო თავის გამოხა-

ტულებას ადამიანის ადამიანისადმი ურთიერთობაში პოვებს და სამართლიანი ადამიანი მოძმეთათვის ფასდაუდებელ სიკეთეს წარმოადგენს. განა შეიძლება არსებობდეს ორი აზრი იმის თაობაზე, რომ ასეთი ადამიანის სოციალური ღირებულება შეუდარებლად იზრდება, როცა მას კაცის ბედის გადაწყვეტა, მსამართლის მაღალი მოვალეობა აკისრია? შემთხვევით როდია ნათქვამი: „როცა სამართლიანობა იკარგება, აღარაფერი რჩება, რასაც ძალუძს მისცეს ღირებულება ადამიანის ცხოვრებას“ (ი. კანტი).

დაუშვებელია მოსამართლის მიერ კანონის დარღვევა. მაგრამ ბევრად უარესია, როცა ეს ემართება უმაღლესი სასამართლოს წევრს, რომელიც მოწოდებულია გაასწოროს სხვისი შეცდომა, ადადგინოს სამართლიანობა.

განა მართლმსაჯულების უზენაეს დონეზე დაშვებულ სწორედ ასეთ წუნზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ განვიღო ექვს თვეში უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენებიდან 4,5 პროცენტი გაუქმებული და შეცვლილი? უმაღლესმა სასამართლომ უკანასკნელ წლებში გააუმჯობესა საკასაციო სასამართლო საქმიანობა. ეს ეკვგარეშეა. მაგრამ შეიძლება შევუთრადეთ იმას, რომ იგი ჯერ კიდევ საიმედოდ ვერ აღუდგა წინ ქვემდგომი სასამართლოების მიერ დაშვებულ შეცდომებს და თვით ამ ინსტანციის რამდენიმე განჩინება შემდგომში გასასწორებელი გახდა საზედამხედველო წესით?

მოსამართლე დანაშაულს შაშხანით ხელში როდი ებრძვის, მისი ერთადერთი იარაღი კანონია და როცა ხალხი, პარტია მას ბრძოლის გამაძფრებისათვის უხმობენ, ამ მოწოდებისადმი მხარდაჭერა მან კანონის ზედმიწევნით ზუსტი მომარჯვებით, მართლმსაჯულების მორალურ-ეთიკური ნორმების უნაკლო, მტკიცე დაცვით უნდა გამოხატოს. სამწუხაროდ, ყველა მოსამართლე როდი გამოირჩევა თავისი მაღალი სახელმწიფოებრივი მდგომარეობისადმი ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი, პარტიული, პატრიოტული, მაღალზნეობრივი დამოკიდებულებით. სწორედ ამის შედეგია ჭარბად გამოვლენილი ის ბიუროკრატიზმი და ფორმალიზმი, გულგრილობა, არაკომპეტენტურობა და უპასუხისმგებლობა, გარდაუვალად რომ გადაიზრდება სამართლის ნორმების დარღვევაში, განაჩენების გაუქმებასა და შეცვლაში, საქმეთა განხილვის გაჭიანურებაში და საბოლოო ანგარიშით დამნაშაევობასთან ბრძოლის შესუსტებაში.

მიემართოთ „შიშველ“ ფაქტებს. ყველა სასამართლო შეცდომის სამი მეოთხედი მხოლოდ 8 სახის სამართალდარღვევათა წილად მოდის. მათ შორის 16 პროცენტი — ავტოსავაზო შემთხვევების საქმეთა ხარჯზე, 14,2 პროცენტი — მოქალაქეთა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულობებზე, 12,6 პროცენტი — ხულიგნობის საქმეებზე, 12,3 პროცენტი — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცებებზე, 7,3 პროცენტი — მექრთამეობასა და სხავ თანამდებობრივ დანაშაულობებზე, 6,1 პროცენტი — მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობაზე, 6,1 პროცენტი — სპეკულაციაზე, 3,1 პროცენტი — ნარკომანიაზე.

სტატისტიკა პირუთვნელია, იგი ულმობლად მეტყველებს იმაზე, რომ სასამართლო შეცდომების უდიდესი უმრავლესობა სწორედ იმ დანაშაულთა წილად მოდის, რომლებიც რესპუბლიკის საზოგადოების უკიდურეს შემოთებას იწვევენ, დანაშაულთა სწორედ იმ სახეობებზე, რომელთა გამო არსებობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგანგებო დადგენილებები, რომლებიც ზედმიწევნით პრინციპულად და პარტიულად გამოხა-

ტავენ ხალხის ამ შეშფოთებას და მკაცრად გვავალებენ მთელი ძალ-ღონე მოვახმაროთ ამ დანაშაულთა აღკვეთას.

ეს მეტად დამაფიქრებელი ფაქტია, მის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების გამომჟღავნება არა მარტო პროფესიული, არამედ აგრეთვე მოქალაქეობრივი და პარტიული პრინციპებისადმი ზურგის შექცევა იქნებოდა. ეს ცხადად ადასტურებს მართლმსაჯულების ზოგიერთი მსახურის უუნარობას თავისი საქმიანობა მაქსიმალურად შეუსატყვისოს ხალხისა და პარტიის ნათელ, კატეგორიულ მოთხოვნას.

ამ მდგომარეობის გამოსწორების გადაუდებელი აუცილებლობა თავისთავად ცხადია. ამიტომ კვლავ და კვლავ ყველაზე საჭირო და ქმედით საშუალებად ისახება ღონისძიებანი, რომლებიც პარტიული და სამსახურებრივი მოვალეობებისათვის დიდი პასუხისმგებლობის განმტკიცებას უზრუნველყოფენ.

ის გარემოება, რომ სასამართლო შეცდომების სამი მეოთხედი მოდის დანაშაულობათა 8 სახეობაზე და მხოლოდ 22 პროცენტი — სხვა დანაშაულობებზე, ადმინისტრაციული ორგანოებისაგან ცენტრსა და ადგილებზე, ლოგიკური გარდაუვალობით მოითხოვს საქმიანობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების ისეთ სრულყოფას, რომ უფრო კონცენტრირებული, უფრო მიზანსწრაფული ღონისძიებებით მიღწეულ იქნეს სწორედ ამ 8 სახეობის დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მეთოდების შედგენიანობის მკვეთრი გაზრდა. მოსამართლეებისა და გამომძიებლების პროფესიული დაოსტატებისათვის დაუცხრომელი ზრუნვა საამისოდ მთავარ საშუალებად უნდა იქნეს მიჩნეული. ყოველივე ეს, ბუნებრივია, გამოიწვევდა რესპუბლიკაში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, განაპირობებდა მართლმსაჯულების განხორციელებისა და კანონიერების უზრუნველყოფის თვისებრივად უფრო მაღალ დონეს.

სწორედ ამას ისახავს მიზნად საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ა/წლის 7 ივლისის დადგენილებაში ჩამოყალიბებული ღონისძიებანი. ამ დადგენილებით, რომელიც შემუშავებულია უმაღლესი სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურის მიერ ერთობლივად, სისტემური კონკრეტული ანალოზის საფუძველზე განსაზღვრულია მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხის ამაღლებისა და კანონიერების უზრუნველყოფისათვის გადაუდებლად გადასაწყვეტი ძირითადი პრობლემები. და ყველამ, ვისზედაც რამდენადმე მაინც დამოკიდებულია ამ პრობლემათა გადაჭრა, გადაუდებლად უნდა იზრუნოს საამისოდ ენერგიული და ქმედითი ღონისძიებების განხორციელებისათვის. უთუოდ საჭიროა, რომ რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშაოს ღონისძიებანი ხსენებული დადგენილების რეალიზაციისათვის.

პირველ, ყველაზე მწვავე პრობლემად ისახება სწორი დასჯითი პრაქტიკის განხორციელების უზრუნველყოფა, ვინაიდან 28,4 პროცენტი შეცდომებისა, რომლებსაც მოჰყვა განაჩენების გაუქმება და შეცვლა, გამოწვეულია სასჯელის დანიშვნის დროს დაშვებული კანონის მოთხოვნათა დარღვევებით. ხშირია როგორც აშკარად მკაცრი, ისე აშკარად ლმობიერი სასჯელების დანიშვნა. განაჩენები, სამსჯურო გამოძიებაზე დახარჯული უამრავი დრო, საქმისა-

გან, ოჯახისაგან ადამიანების მოცდენა კვლავ ეწირება სასჯელის მოხდის რეჟიმის განსაზღვრისა და დამატებითი სასჯელების შეფარდების დროს დაშვებულ ელემენტარული, ლაფსუსური ხასიათის შეცდომებს.

წარმოდგენილია მოიქებნოს თუნდაც ერთი მოსამართლე, რომლისთვისაც არ იყოს ცნობილი, თუ რა განსაკუთრებულ, სრულიად საგანგებო ყურადღებას უთმობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საშიში დანაშაულობების — სახელმწიფო საკუთრების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის წინააღმდეგ გაძლიერებულ, უკომპრომისო ბრძოლას. ასეთ ვითარებაში გაუგებარია ზოგიერთი სასამართლოს მიერ ამგვარი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ აშკარად ლმობიერი სასჯელის დანიშვნა.

სახალხო მოსამართლემ ვ. ნადირაშვილმა (თიანეთის რაიონი) თალითობის გზით 11,4 ტონა კომბინირებული საკვების დატაცებელს, ვინმე გ. ლევერაშვილს 1 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, როცა ამ მუხლის სანქცია 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. გ. ლევერაშვილი უკვე ყოფილა სასამართლოები სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის და პირველ შემთხვევაშიც მინიმალური სასჯელით გადარჩა.

აშკარად ლმობიერი, შედგომ ამ მიზეზით გაუქმებული განაჩენები გამოიტანეს ა/წლის პირველ ნახევარში სახალხო მოსამართლეებმა: ე. დაშთამირგვა — გარდაბნის რაიონი, ა. ბაქრაძე — ყაზბეგის რაიონი, ნ. გაგოშიძემ — ახმეტის რაიონი, ნ. აღუაიძემ — ქ. ქუთაისის ლენინის რაიონი, შ. სარაამ — ზუგდიდის რაიონი, მ. კუნჭულიამ — ლანჩხუთის რაიონი და სხვა.

საჭიროა კარგად გაირკვეს ყოველი აშკარად ლმობიერი განაჩენის გამოტანის მიზეზები და განხორციელდეს მათი აღმოფხვრისა და რეაგირების კონკრეტული პრინციპული ღონისძიებანი.

მეორე პრობლემა იკვეთება იმ გარემოებიდან, რომ თითქმის ყოველი მეოთხე განაჩენი გაუქმებული და შეცვლილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის დარღვევის გამო, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ კანონის მოთხოვნათა შეუსრულებლობის შედეგად, აგრეთვე დასადგენი და დასამტკიცებელი გარემოებების შესახებ ამავე კოდექსის 59, 59<sup>1</sup>-ე მუხლების დარღვევების გამო.

თითქმის თავისთავად გასაგებია, რომ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების სწორედ ეს უმნიშვნელოვანესი დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ბრალის არსებობასა და ხარისხს, გამომძიებელმა და მოსამართლემ უნდა დაიცვას განსაკუთრებული გულმოდგინებით, განსაკუთრებული მონდომებით, მაგრამ სასამართლოები სწორედ აქ უშვებენ ყველა შეცდომის მეოთხედს.

ამ ცოტა ხნის წინათ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ გააუქმა გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე ბ. წურჭუშია) განაჩენი, რომლითაც ნ. აღიევი მსჯავრდებული იყო სპეკულაციისათვის 6 წლის თავისუფლების აღკვეთით, ქონების კონფისკაციით. ფკანასკნელს ბრალად ედებოდა 700 კგ-ზე მეტი დაფასოებული კარაქის შესყიდვა მისი გადაყიდვის მიზნით. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ სასამართლომ არ მიიღო ზომები 7 ცენტნერი სახელმწიფოს მიერ მკაცრად ნორმირებული პროდუქტის შექენის წყაროს დასადგენად. მცდარად იყო განსაზღვრული დანაშაულის კვალიფიკაციაც. მოსალოდნელი მოკვების თანხებიდან გამომდინარე, იგი დაკვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის კოდექსის 16<sup>1</sup>-ე მუხლის არა მეორე, არამედ მესამე ნაწილით.

ამ მეორე პრობლემის არსებობას უწინარეს ყოვლისა უნდა „ვემადლოდეთ“ სახალხო მოსამართლეებს: ე. დაშთამირგვს, გ. ხაბაშვილსა და გ. მამაიაშვილს — გარდაბნის რაიონი, ბ. სავანელს — ქ. რუსთავი, რ. სისაურს — ქარელის რაიონი, ნ. დელსაძეს — კასპის რაიონი, ნ. გაგოშიძეს — ახმეტის რაიონი, ნ. ჯაფარიძეს — ქ. ქუთაისის ავტოჭარხნის რაიონი, ნ. აღ-

ფაიქეს და გ. ფილიპაშვილს — ქ. ქუთაისის ლენინის რაიონი, ლ. კუპატაძეს — ზესტაფონის რაიონი, ბ. მჭედლიანს — მესტიის რაიონი და სხვ. ყველა მოსამართლე, მაგრამ განსაკუთრებით ზემოთმოხსენებული ამხანაგები უნდა დაგვეგზავრონ ამ პრობლემის ლიკვიდაციაში.

უთუოდ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ რესპუბლიკის პროკურატურას, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს და უმაღლეს სასამართლოს მიმდინარე წლის ბოლომდე შეემუშავებინათ და მეთოდურად განეხორციელებინათ როგორც დამოუკიდებელი, ისე ერთობლივი ღონისძიებანი ამ პრობლემის გადასაწყვეტად. უნდა ვიგულისხმოთ, რომ აქ თავის სიტყვას ეტყვის რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოც.

**გაუქმებული და შეცვლილი განაჩენების 13 პროცენტი დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაციაში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა განაპირობა.** ამ შეცდომების აღმოფხვრის პრობლემა, სასურველი შედეგის მიღწევის ვადებისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა დიაპაზონის თვალსაზრისით, შედარებით რთულად გვესახება. მისი გადაწყვეტისათვის მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სასწავლო-მეთოდოლოგიურ ღონისძიებებს.

ახალციხის რაიონის სახალხო მოსამართლე ა. მაზმიშვილი განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს ტ. ვაჟარაძის მიმართ, რომელმაც რ. მოდებაძესთან ჩხუბში თავდაპირველად შუროსძიების მოტივით სცემა ამ უკანასკნელს, ხოლო შემდეგ, როცა ის გაქცევას შეეცადა, ესროლა მას თოფი და სხეულის მსუბუქი დაზიანება მიაყენა.

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ა. მაზმიშვილმა მისი ქმედობა გადაკვალიფიცირა სისხლის სამართლის 17-105-ე მუხლიდან 112-ე მუხლზე და იქვე შეწყვიტა წარმოებით, როგორც „კერძო ბრალდების საქმე“ დაზარალებულის განცხადების უქონლობის მოტივით.

ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო სამართალში მიცემულის განმარტება, რომ მის მიზნად არ ჰქონდა მოეკლა დაზარალებული, აგრეთვე მოწმე — მეტყვევის ჩვენება, თითქოს იმ საფანტით, რომლითაც დატენილი იყო ვაჟარაძის თოფი, ადამიანის მოკვლა არ შეიძლებოდა.

ჯერ ერთი, ისეთი საფანტი, რომლითაც ადამიანის მოკვლა არ შეიძლება, არ არსებობს და ყველაფერი უთუოდ გასროლის მანძილსა და მიმართულებაზეა დამოკიდებული. მეორეც, ეს სპეციალური ბალისტიკური ექსპერტიზის საკითხია, რომელიც რატომღაც ჩატარებული არ ყოფილა და, ბოლოს, მესამეც, გაუგებარია, როგორ ჩათვალა მოსამართლემ შესაძლებლად უგულვებელეყო ხელყოფის სრულიად განსაკუთრებული ობიექტი — ადამიანის სიცოცხლე და ხელყოფის განსაკუთრებით საზოგადოებრივად საშიში საშუალება — ცეცხლმსროლელი იარაღის გასროლა.

უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ, ცხადია გააუქმა აღნიშნული განაჩენი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სასამართლოს.

საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებით გაუქმდა სამხრეთ ოსეთის ავტონომური ოლქის საოლქო სასამართლოს (მოსამართლე ს. ვანევეა) განაჩენი 9 პირის მიმართ წამატებისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ბრალდებებთან დაკავშირებით. ამ განაჩენის გამოტანის დროს 6 მსჯავრდებულის მიმართ დაშვებული იყო უხეშო დარღვევები მათი ქმედობის კვალიფიკაციის განსაზღვრაში, 4 პირის მიმართ კი სათანადო მონაცემების გარეშე დაინიშნა სასჯელი გამასწორებელი სამუშაოების სახით.

ზემოთ მოხსენებული მოსამართლეების გარდა დანაშაულის კვალიფიკაციაში შეცდომები მიმდინარე წელს გამოუვლინდათ სახალხო მოსამართლეებს: ქ. ძლიერიშვილს — ქ. გორი, ბ. სავანელს და გ. ჯიმშელაძეს — ქ. რუსთავი, მ. ღვალაძეს — გურჯაანის რაიონი, შ. სარაიას — ზუგდიდის რაიონი, ნ. მუსტაფაეფს — მარნეულის რაიონი, ი. სლაყაიას — ცხაკაიას რაიონი, ო. ვაბეჩაფას — ჩოხატაურის რაიონი და სხვ. ამ შეცდომებმა განაპირობა სასამართლო განაჩენების გაუქმება და შეცვლა.

**შეუწყნარებელია, რომ გაუქმებული და შეცვლილი განაჩენების 11,9 პროცენტი, ე. ი. პრაქტიკულად ყოველი მეცხრე განაჩენი უქმდება, ხოლო სასა-**

მართლო განხილვა იქცევა ყველასათვის უაზრო გაჭიანურებად სრულიად ელემენტარული დარღვევების, სასამართლო სხდომის ოქმის შედგენისა და სამსჯავრო სხდომის ჩატარების შესახებ უმარტივესი პროცესუალური წესების დაუცველობის გამო.

სხდომის ოქმი ზოგჯერ იმდენად ზედაპირულად, გაუბრალოებულად, პირდაპირ დაუდევრად ფორმდება, რომ შეუძლებელია სასამართლო პროცესის მსვლელობის, საქმის გარემოებათა სასამართლო გამოკვლევის შინაარსსა და ხასიათზე რამდენადმე სრული და ნათელი წარმოდგენის შექმნა. შეუძლებელია რაიმე დასკვნების გამოტანა და მოწმეებისა და პროცესის სხვა მონაწილეთა ჩვენებების, მხარეთა მოსაზრებების სარწმუნოებისა და მტკიცებულებათა მნიშვნელობის შეფასება, რომ არაფერი ვთქვათ ელემენტარულ გრამატიკაზე, დამახინჯებულია თარიღები, გვარები, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებების დასახელებები და ა. შ.

სხდომის ოქმი უმნიშვნელოვანესი პროცესუალური დოკუმენტია, სარკვე სამსჯავრო გამოძიებისა, რომელიც აღბეჭდავს ადამიანთა ბედის გადაწყვეტის ურთულეს და უაღრესად პასუხსაგებ სახელმწიფოებრივ პროცედურას და ასეთი დოკუმენტისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, მისი დამახინჯებული, არაზუსტი შედგენა ყოველად დაუშვებელია.

მიმდინარე წელს ამგვარი დარღვევებით განსაკუთრებით სცოდავდნენ სახალხო მოსამართლეები: ა. კორინთელი და გ. ჯიმშელაძე — ქ. რუსთავი, ე. დაშთამიროვი — გარდაბნის რაიონი, ნ. დვისაძე — კასპის რაიონი, გ. მადრაძე და მ. პოპიაშვილი — თელავის რაიონი, გ. ჯაფარიძე — მარნეულის რაიონი, მ. დულუნიშვილი — ქ. ქიათურა და შესაბამის სასამართლოების სხდომის მდივნები.

დაცვის უფლება საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის ინსტიტუტია, ხწორედ ამიტომ იგი კონსტიტუციურ რანგშია აყვანილი და უკვე მარტოოდენ ამიტომ საგანგებო ყურადღებას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, დაცვის უფლების დარღვევას ნახევარი წლის მანძილზე ყველა გაუქმებული და შეცვლილი განაჩენების 5,4 პროცენტი შეეწირა.

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლომ (სახალხო მოსამართლე შ. სარია) ა. ფონიას მოქ. მ-ის გაუბატურებისათვის მიუსჯა 7 წლის თავისუფლების აღკვეთა სისჯელის განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით და იცნო იგი განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად. საქმის მიხედვით სამართალში მიცემულს იცავდა ადვოკატი უ. აბრალავა. მსჯავრდადებულმა იჩილა, რომ ხსენებული ადვოკატი არათუ არ იცავდა მას, არამედ არც შეეძლო დაეცვა. ვინაიდან მისი საქმის სასამართლო განხილვის, დროს იგი მონაწილეობდა სხვა პროცესში. შემოწმებით ეს საჩივარი დადასტურდა და ა. ფონიას მიმართ განაჩენი გაუქმდა.

ნახევარი წლის განმავლობაში დაცვაზე ბრალდებულის უფლების უხეში დარღვევების გამო განაჩენები გაუუქმდათ აგრეთვე სახალხო მოსამართლეებს: მ. ფხალაძეს — დუშეთის რაიონი, ა. მაშვილს — ახალციხის რაიონი, ი. მოღებაძეს — საჩხერის რაიონი, ნ. გაბელიას — აბაშის რაიონი და სხვებს. ცხადია, რომ მათ მიერ ამ ნაკლის გამოსწორებაზე ბევრად არის დამოკიდებული ამ პრობლემის გადაწყვეტა, მაგრამ პრობლემა გადაწყდება მხოლოდ მაშინ, როცა ყველა გამომძიებელი და მოსამართლე ზედმიწევნით ზუსტად იხელმძღვანელებს ნორმებით, რომლებიც აწესრიგებენ დაცვის უფლებას — სამართლიანობის უზრუნველყოფის ამ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ საყრდენს.

ზოგიერთი მოსამართლე, არცთუ იშვიათად საკმაოდ გამოცდილიც, უხეშად არღვევს კანონს ჯერ კიდევ სამსჯავრო გამოძიების „მისადაგომებზე“, ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაში. ბრალდებულის სამართალში მიცე-

მულად ცნობის მნიშვნელობაზე საუბარი ალბათ ზედმეტია. პროცესის ეს სტადია არა მარტო აწესრიგებს სასამართლოსა და წინასწარ გამოძიებას შორის სწორი, კანონიერი ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებას, არამედ სარწმუნოდ განაპირობებს საქმის შემდგომი განხილვის ხარისხს, მის ოპერატიულობას. მიუხედავად ამისა, პროცესის ამ სტადიისადმი მოსამართლეები განსაკუთრებით ხშირად ავლენენ ზერელე, გაუბრალოებულ დამოკიდებულებას. განა დამაფიქრებელი არ არის, რომ სწორედ ასეთ დამოკიდებულებას „ემსხვერპლა“ განვლილ ექვს თვეში გაუქმებული განაჩენების 5,4 პროცენტი?

აი მაგალითი. სახალხო მოსამართლე გ. გურჩიანმა (წალენჯიხის სახალხო სასამართლო) ბრალდებულ ვ. როგავას სამართალში მიცემის თაობაზე განიხილა „გამოიტანა“ ა. წ. 3 თებერვალს, სწორედ იმ დროს, როცა თვით მოსამართლე საავადმყოფოში მკურნალობდა. რა შეიძლება ეწოდოს ასეთ დამოკიდებულებას, ან რა შეიძლება მოჰყოლოდა მას? ცხადია — განჩინების გაუქმება და მოსამართლის მიმართ კერძო განჩინების გამოტანა.

აღსანიშნავია, რომ უმაღლესი სასამართლოსათვის უმწვავეს პრობლემას და სერიოზულ საზრუნავს ის შეუწყნარებლად დაბალი ხარისხი წარმოადგენს, რომელიც პირველი ინსტანციის მუშაობაში აღინიშნება. ცხადია, რომ განხორციელებული ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ეს ამოცანა მოკლე დროში რადიკალურად გადაწყდეს.

იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ამავე პრობლემას უნდა მოეგლოს აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს სასამართლოებში, სამხრეთ ოსეთის საოლქო და თბილისის საქალაქო სასამართლოებში, სადაც საქმეთა პირველი ინსტანციით განხილვის ხარისხი ასევე გადაუდებელ მკვეთრ ამალმებას საჭიროებს.

მიუხედავად ბოლო ხანს მიღწეული გაუმჯობესებისა, კვლავ შეუწინაღებელ ყურადღებას საჭიროებს სახელმწიფოსათვის დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის სრულად და ოპერატიულად ანაზღაურების პრობლემა.

რესპუბლიკის სხვადასხვა სასამართლოს მუშაობაში სხვადასხვა ნაკლი ვლინდება, ჭარბად გამოვლენილი შეცდომები განსაკუთრებული საზრუნავი ზდება, გადაუდებლად გადასაწყვეტ პრობლემებად ყალიბდება, მაგრამ არის ერთი წყება სასამართლოებისა, რომელთა საქმიანობა ხაეროდ სერიოზულ პრობლემად იქცა.

განა სრულიად შეუწყნარებელი არ არის ის ფაქტი, რომ განაჩენების საერთო რაოდენობიდან, რომლებიც რესპუბლიკის ყველა სასამართლოს გაუუქმდა და შეეცვალა, აბსოლუტური უმრავლესობა (51 პროცენტი) სულ რამდენიმე სასამართლოს: ქალაქ რუსთავის, გარდაბნის, ქარელის, კასპის, თიანეთის, ყაზბეგის, ახალციხის, წითელწყაროს, მესტიის, ბოლნისის, ზუგდიდის, ვანის, საჩხერისა და ქუთაისის ლენინის რაიონების სახალხო სასამართლოების წილად მოდის?

საკითხავია, რას ფიქრობენ ამ სასამართლოთა კოლექტივები, რომელთა „ნამოღვაწარი“ ესოდენ მძიმე ტვირთად აწევს ხალხს, მართლმსაჯულებას, კანონიერებას, რესპუბლიკის ავტორიტეტს? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნუთუ მარტოდენ თვით ეს გარემოება არ კმარა იმისათვის, რომ მათ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იბრძოლონ, იბრძოლონ დაუღალავად, თავდაუზოგავად და დაუყოვნებლივ დააღწიონ თავი ამ „საჯარიმო მოედანს“. არც ზემდგომი ორგანოები დაანებებენ მათ კანონისა და სამართლიანობის ხარჯზე „ნებევრობას“.

სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს დაშვებული სასამართლო შეცდომებისა და დარღვევების აღმოფხვრა ჩვენი მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მაგრამ საქმე მხოლოდ ამ შეცდომებით როდი ამოიწურება. სასამართლოები ჯერ კიდევ სათანადო პასუხისმგებლობით არ იღვწიან ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად.

სხვანაირად რით უნდა აიხსნას თვეების და წლების მანძილზე გაჭიანურებული სასამართლო პროცესები, ეს ურიცხვი და მეტწილად მოგონილი საბაბით გადადებული სასამართლო სხდომები?

ფიქრობს თუ არა ყოველი ჩვენგანი, რა უზომო მორალურ და მატერიალურ დანაკარგებად უბრუნდება ეს სახელმწიფოს, ხალხს, ათასობით ადამიანს?

სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი როლის გაზრდის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მიღება სასამართლოებისათვის ზრუნვითა და მხარდაჭერით იყო ნაქარნახევი. ამით სასამართლოებს საქმიანობის მეტად ხელსაყრელი პირობები შეექმნათ და ყველგან, სადაც მისი შესრულებისათვის მცირეოდენ მონდომებას მაინც ამჟღავნებენ, შედეგიც თვალნათელია.

მაგრამ ზოგიერთმა სასამართლომ ჯეროვნად ვერ შეაფასა ამ დადგენილების მნიშვნელობა, სათანადოდ ვერ იყენებს და ამიტომ ვერც ასრულებს მას. ეჭვგარეშეა, რომ ამითაც არის განპირობებული ის მკაცრი, მაგრამ სავესებით სამართლიანი კრიტიკა, რომელიც განცხადებულა და საჩივრების განხილვის გამო სამართალდაცვითი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ავტორიტეტულობისა და აღმზრდელობითი მნიშვნელობის ამაღლების თაობაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის 6 მარტის დადგენილებაში სასამართლოების მიმართ კვლავ გამოითქვა.

ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით, საგანგებოდ აღნიშნა ის უდავო ფაქტი, რომ ბევრი სასამართლო არ ზრუნავს სამსჯავრო სხდომებისა და გამოტანილი განაჩენების დამაჯერებლობასა და ავტორიტეტულობაზე. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ფართოდ ფენმოკიდებული მანკიერი პრაქტიკა, როცა მოქალაქეებთან მუშაობას ამთავრებენ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის განხილვით, არ ამჟღავნებენ ელემენტარულ დაინტერესებას, რომ უკმაყოფილო, სასამართლოს ობიექტურობაში დაეჭვებული ადამიანები დაარწმუნონ მიღებული კანონიერი გადაწყვეტილების სისწორეში, ივიწყებენ, რომ სწორი განაჩენის გამოტანაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ განაჩენის კანონიერებასა და სამართლიანობაში მოქალაქის დარწმუნება.

ცხადია, რომ ადამიანებისადმი ასეთი კაზიონური, გულცივი დამოკიდებულება აკნინებს მართლმსაჯულების ავტორიტეტს, სასამართლოს და კანონის აღმზრდელობითს ფუნქციას, უარყოფითს გავლენას ახდენს მოქალაქეთა მართლშეგნების ფორმირების პროცესზე, იწვევს მათ სერიოზულ უკმაყოფილებას, წვადებას, უამრავ საჩივრებს, ახშობს მათ სოციალურ აქტიურობას და ხელს უშლის რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის შემდგომ გაჯანსაღებას.

აი, რას მეტყველებს ამაზე ოფიციალური სტატისტიკა.



მხოლოდ საკასაციო წესით სისტემატურად საჩივრდება განაჩენები ყოველი მე-5-6 მსჯავრდადებულის მიმართ. აქედან:

ა) სასამართლოების მიერ კანონის დარღვევის მიზეზით, რასაც განაჩენის გაუქმება და შეცვლა მოსდევს 18,5 პროცენტის მიმართ.

ბ) იმ მიზეზით, რომ სამსჯავრო პროცესი არ წარიმართა დამაჯერებლად, გამოტანილმა განაჩენმა ვერ დაარწმუნა მოქალაქე, მას არ მიეცა საჭირო ახსნა-განმარტება, სასამართლოს არ აღმოაჩნდა საკმაო ავტორიტეტი 81,5 პროცენტის მიმართ!

მაშასადამე, საჩივრების უდიდეს უმრავლესობას წარმოშობს სამსჯავრო პროცესებისა და განაჩენების არადამაჯერებლობა, კანონის არაჯეროვანი პროპაგანდა სასამართლო საქმეებისა და მოქალაქეთა საჩივრების განხილვის დროს, სასამართლოს დაბალი ავტორიტეტი.

ყოველივე ეს ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულის უზრუნველყოფა სასამართლო ორგანოების უშუალო სახელმწიფოებრივი ფუნქციონალური მოვალეობაა, როგორც იტყვიან, ისინი ამისათვის არსებობენ.

აქედან ცხადია, რომ სწორედ ამ საკითხებს უნდა მიექცეს საკანგებო ყურადღება, რომ ყველა სასამართლომ, თითოეულმა მოსამართლემ და სახალხო მსაჯულმა ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ა. წ. 6 მარტის დადგენილების შესრულებისათვის უნდა იბრძოდოს მთელი მონდომებით, სრული პასუხისმგებლობითა და დღენიადაგ.

საკასაციო და საზედამხედველო წესით საჩივრდება, უქმდება და იცვლება გაცილებით უფრო დიდი რაოდენობის განაჩენები, ვიდრე ზემოთ აღინიშნა.

კანონიერების დაცვის თვალთახედვით საკასაციო და საზედამხედველო წარმოებების შესაძლებლობანი ერთმანეთისაგან რომ აშკარად განსხვავებულია, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, განაჩენის საკასაციო და საზედამხედველო წესით გადასინჯვის მიჯნაზე კანონიერების უზრუნველყოფის ვითარება შეუდარებლად რთულდება.

იმის გამო, რომ სასამართლოს შეცდომები ხშირად არ სწორდება საკასაციო წესით, ბევრი უკანონო განაჩენი შედის ძალაში, სისტემატურად, ზოგჯერ მეტად ხანგრძლივი დროით უხეშად ირღვევა კანონიერება და მოქალაქეთა უკვე შელახული უფლებების აღდგენა ხდება დიდი დაგვიანებით ზედამხედველობის წესით, მაშინ, როცა მათთვის მიყენებული მორალური და ზოგჯერ მატერიალური ზარალის ანაზღაურება პრაქტიკულად უკვე შეუძლებელია.

მიუხედავად ამისა, ზოგან განაჩენების საზედამხედველო წესით გაუქმება და შეცვლა აღემატება საკასაციო წესით გაუქმებასა და შეცვლას.

ეს ყველასაგან, განსაკუთრებით იმათგან, ვისაც პირველ რიგში ევალება კანონიერების დაცვა, მოითხოვს სწორი, სახელმწიფოებრივად გამართლებული პოზიციის დაკავებას.

როგორი უნდა იყოს ან როგორი შეიძლება იყოს ეს პოზიცია? ალბათ ერთადერთი — მთელი ძალები, ან ძირითადი ძალები მოვახმაროთ იმას, რომ კანონიერების თანამიმდევრული განუხრებელი დაცვა უზრუნველყოფილი იყოს სამართალდაცვითი ორგანოების ძირეულ რგოლებში — ქალაქისა და რაიონის რგოლებში. ეს არის ჭეშმარიტი კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველ-

ყოფის ერთადერთი მეთოდი, ვინაიდან თვით ცნება კანონიერებისა ნიშნავს კანონის მოთხოვნათა განუხრელ და ერთგვაროვან დაცვას ყველგან.

სწორედ ამას, ძირითადი ძალების ქალაქისა და რაიონის რგოლებში საქმიანობის მოსაწესრიგებლად წარმართვას კატეგორიულად მოითხოვს ჩვენგან სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის დაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

მართლმსაჯულება ადამიანის ბედის გადაწყვეტის, საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი სამართლებრივ ნორმათა მიყენების, კაცობრიობის წინსვლითი განვითარების კვალობაზე თანდათანობით დახვეწილი, ასე საგანგებოდ, საეულდაგულოდ გააზრებული და მოწესრიგებული პროცედურაა. ბუნებრივია, რომ სამსჯავრო პროცესზე თუ განაჩენში, საჩივარზე გაცემულ წერილობით პასუხსა თუ ზეპირ განმარტებაში მოსამართლის მსჯელობა და საუბარი მხოლოდ კანონის სახელით, მასზე დაყრდნობითა და მითითებით უნდა წარიმართებოდეს. ნათქვამია, რომ მოსამართლე მოლაპარაკე კანონია.

მაგრამ ეს ყოველთვის ასე როდი გამოიყურება, ყოველთვის ასე როდი მსჯელობენ მოქალაქესთან ჩვენი მოსამართლენი? გადაჭარბებული იქნებოდა ვეგემტიციებინა, რომ ასეთი პროცესები დიდი იშვიათობაა, მაგრამ ისიც საფიქრებელია, რამდენად სცილდება ეს აზრი რეალურ სინამდვილეს.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად სასამართლოს ოქმს, განაჩენს, გაცემულ პასუხს რომ ეცნობით, ამაოდ ეცდებით ეძებოთ იურიდიული მსჯელობა. აქ დომინირებს ავტორის პერსონა, მისი პირადი მოსაზრებანი და შეხედულებანი განსასჯელი და მოსაწესრიგებელი საზოგადოებრივი ურთიერთობების გამო.

ჯერ კიდევ ძველთაგანვე ჩამოყალიბდა მოსამართლის საქმიანობის ზოგადი ცნებანი — მოსამართლეობა კანონის აღსრულებაა, და აჭა მისი შექმნა. მოსამართლე მუშაობს ადამიანებთან, განსაკუთრებულ, ხშირად აფორიაქებულ, აღგზნებულ მდგომარეობაში, ზოგჯერ მძიმე განსაცდელში მყოფ ადამიანებთან და კანონის, წესის მშვიდი, დარბაისლური, მოთმინებითი ახსნა-განმარტებანი მას მარტოოდენ ზრდილობის გამო როდი მოეთხოვება, ეს მისი განუყოფელი პროფესიული და პირდაპირი სახელმწიფოებრივი სამსახურებრივი მოვალეობაა. და, რა თქმა უნდა, მინიჭებული ძალაუფლებით გაყოყორებული ჩინოვნიკის მიერ ბატონკაცურად წამოსროლილი „წადი და სადაც გინდა იჩივლე“-თი ადამიანის გასტუმრება, რასაც ბევრი, ძალიან ბევრი მოქალაქე ჩივის, გარდა მათი ღირსების აბუჩად აგდებისა და გაღიზიანებისა, ამავე დროს არის აგრეთვე საკუთარი ადამიანური ღირსების, პროფესიული, სამსახურებრივი მოვალეობების და მოსამართლის მაღალი ავტორიტეტის აშკარა დალახი.

ტრიბუნებიდან, სხვადასხვა ყალიბისა და ყაიდის თათბირებსა და შეკრებებზე ხშირად გაისმის ავტორიტეტული მსჯელობა მოქალაქეთა მართლშეგნების ჩამორჩენის მიზეზების ღრმად შესწავლისა და კანონის მიზნობრივი პროპაგანდის ქმედითი მეთოდიკის შემუშავების შესახებ. გამოითქმის ხოლმე ერთიმეორეზე უფრო ორიგინალური მოსაზრებანი და წინადადებები, აზრები, რომლებიც იშვიათად ხორციელდება ან საერთოდ არ ხორციელდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ამერიიდან ყველას ევალება საგანგებოდ იზრუნოს იმისათვის, რომ სისტემატუ-

რად შეისწავლებოდეს არა მარტო ის საჩივრები, რომლებიც წარმოიშობა სასამართლოების მიერ კანონის დარღვევის გამო, არამედ ის დიდი ნაწილი საჩივრებისა, რომლებიც სასამართლო საქმიანობის არადამაჯერებლობის, დაქვეითებული ავტორიტეტის, ბიუროკრატიული ფორმალისტური გამოვლინებების შედეგია. თავისთავად ცხადია, რომ ეს უპირველესად ევალებათ უშუალოდ იმათ, ვისი უმოქმედობით თუ უსწორო მოქმედებით წარმოიშობა ეს საჩივრები. იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების საჩივრებისადმი ასეთი ყოველდღიური ყურადღება, მათი წარმოშობის მიზეზების სისტემატური ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს საკმაოდ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში სხვადასხვა სოციალური ფენების მოქალაქეების სამართლებრივ კულტურასა და მართლშეგნების მდგომარეობაზე. საკმაოდ ზუსტად დავადგინოთ, როგორ ზეგავლენას ახდენენ მათ ფორმირებაზე პროკურორი, მოსამართლე, ადვოკატი, პრესა და ა. შ.

ეჭვგარეშეა, რომ სწორედ ეს იქნება ჩვენის აზრით ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის ირგვლივ, მისი გადაჭრის ყველაზე ქმედითი მეთოდი. იგი შექმნის გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებს მიზნობრივი, მიზანსწრაფული სამართლებრივი პროპაგანდის განხორციელებისათვის, სამართლებრივი პროპაგანდის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა დაავალა სასამართლოებს, რომ საგანგებოდ იზრუნონ სამსჯავრო სხდომების და გამოტანილი განაჩენების ავტორიტეტულობისა და დამაჯერებლობისათვის, უზრუნველყონ, რომ ყოველი სასამართლო პროცესი განუმტკიცებდეს მოქალაქეებს მართლმსაჯულებისადმი ღრმა რწმენასა და ნდობას, რომ თითოეული განაჩენი იყოს კანონიერი, დასაბუთებული და მოტივირებული, ამასთან გასაგები და დამაჯერებელი პროცესის მონაწილეებისა და ფართო საზოგადოებრიობისათვის. ამიტომ მოითხოვს პლენუმი მართლმსაჯულების ყველა ორგანოსაგან იმოქმედონ იმის გათვალისწინებით, რომ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და სამართლიანობაში ადამიანების დარწმუნება ასეთი გადაწყვეტილების მიღებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

პლენუმმა დაავალა სასამართლოებს ობიექტურად და პრინციპულად შეისწავლონ მოქალაქეთა უკმაყოფილებისა და საჩივრების მიზეზები, მათი სისტემატური ღრმა ანალიზის საფუძველზე განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი სასამართლო საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და მოქალაქეთა სამართლებრივი კულტურის ამაღლებისათვის სწორი მართლშეგნების ჩამოყალიბებისათვის, სასამართლოების ავტორიტეტის ამაღლებისათვის.

პლენუმი მოსამართლეთაგან მოითხოვს, ყველა შემთხვევაში, როცა მოქალაქე არ ეთანხმება გამოტანილ განაჩენს ან გაცემულ პასუხს, მოთმინებით გასწიონ მასთან საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, გამოიყენონ ყველა საშუალება მიღებული კანონიერი გადაწყვეტილების სისწორესა და დასაბუთებულობაში მისი დარწმუნებისათვის, ეს საქმიანობა მიიჩნიონ თავიანთ უმნიშვნელოვანეს მოვალეობად, ხოლო ყოველი საჩივარი განიხილონ როგორც სერიოზული სიგნალი სასამართლოების მიერ კანონიერების უზრუნველყოფის

და მოქალაქეთა დარწმუნების საქმეში დაშვებული შეცდომებისა და ნაკლოვანებების შესახებ.

ყველა აღნიშნული პრობლემა საფუძვლად დაედო რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობის სისტემის ძირეულ გარდაქმნასა და შემდგომ სრულყოფას. მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოს მუშაობა ამინდრიდან იმგვარად წარიმართება, რომ მისი კოლექტივის მთელი ძალა და ენერჯია მაქსიმალურად მიზანსწრაფულად მოხმარდება ამ პრობლემათა წარმატებით გადაწყვეტას.

ყველა რგოლში შემუშავებულია და ხორციელდება სათანადო გეგმები, ღონისძიებანი კოლექტივის შემადგენლობის შემდგომი განმტკიცებისა და სრულყოფისათვის, გადანაწილებულია ფუნქციონალური მოვალეობანი, ჩამოყალიბდა მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობის სპეციალური საბჭო აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობის შედეგიანობის სისტემატური შესწავლისა და მისი ამოღების ღონისძიებათა შემუშავების მიზნით, კომპლექსურად წარმოებს სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება, მომზადების პროცესშია სათანადო საინფორმაციო, სახელმძღვანელო მითითებები, განხორციელდება შესაბამისი პროპაგანდისტული ღონისძიებანი და სხვა.

სხვა სამართალდაცვის ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით, ურთიერთშეთანხმებული ღონისძიებების განხორციელებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მმართველთა მიერ მის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის, კანონის მოთხოვნათა განუხრელი შესრულებისათვის.



# სასამართლოს მიერ დაგატყვევითი გამოძიებისათვის საქმეთა დაბრუნების საფუძვლები და ნუსი\*

გ. შოლგაია,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე

სასამართლოს უფლება დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნოს სისხლის სამართლის საქმე, წარმოადგენს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის თანაფარდობის ერთ-ერთ არსებითს მაჩვენებელს! იგი მიგვანიშნებს, რომ სამსჯავრო გამოძიებას დამოუკიდებელი ხასიათი აქვს. დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნება ნიშნავს, რომ უქმდება საბრალდებო დასკვნა, ვინაიდან საქმის დამატებითი გამოძიების შემდეგ და მისი შედეგების მიხედვით, თუ საქმე არ შეწყდა, მაინც უნდა შედგეს ახალი საბრალდებო დასკვნა, თუნდაც ბრალდება არ შეიცვალოს.

საქართველოს სსრ სსსკ 232-ე მუხლის შესაბამისად საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების საფუძვლებია: მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების უსრულობა, რომლის შევსებაც სასამართლოს არ შეუძლია; სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს; ბრალდებულის მიმართ უკვე წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებული სხვა ბრალდების წაყენების, ან ბრალდების უფრო მძიმე, თუ ისეთი ბრალდებით შეცვლის პირობების არსებობა, რომელიც ფაქტობრივად არსებითად განსხვავდება პირვანდელი ბრალდებისაგან; სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემია სხვა პირებიც; საქმეთა არასწორად შეერთება ან გამოყოფა.

განვიხილოთ თითოეული საფუძველი ცალ-ცალკე:

სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-14 მუხლი (საქართველოს სსრ სსსკ მე-18 მუხლი) გამოძიების ორგანოებს ავალებს მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის, გამოავლინონ დამნაშავეის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი. ამ დებულების გასავითარებლად საქართველოს სსრ სსსკ 353-ე მუხლი იძლევა წინასწარი გამოკვლევის ცალმხრივობისა და უსრულობის განსაზღვრას: მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება ცალმხრივად ან არასრულად ითვლება მაშინ, როდესაც გამოურკვეველი რჩება ისეთი გარემოებანი, რომელთაც შეიძლება არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს განაჩენის დადგენის დროს. გამოძიება ყველა შემთხვევაში ითვლება ცალმხრივად ან არასრულად, როდესაც: საქმეზე დაკითხულნი არ იყვნენ ის პირნი, რომელთა ჩვენებებსაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, ან არ ჩატარდა ექსპერტიზა, როდესაც იგი კანონით სავალდებულოა, ან არ იყო გამოთხოვილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები და

\* საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გათვალისწინებული აქვს თავის პლენუმზე განიხილოს დამატებითი გამოძიებისათვის საქმეთა დაბრუნების საკითხი. წინამდებარე სტატიას რედაქცია ბეჭდავს განხილვის წესით და თხოვს სასამართლოს, პროკურატურის, საგამოძიებო ორგანოების მუშაკებს, სწავლულ იურისტებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებანი ავტორის მიერ განვითარებულ დებულებების ირგვლივ.

ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები; არ გამოკვლეულა ისეთი გარემოებანი, რომლებიც მითითებულია სასამართლოს განჩინებაში საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ; სათანადო სისრულით არ იქნა დადგენილი ბრალდებულის პიროვნების მონაცემები.

ეს ჩამოთვლა ამომწურავი არ არის, რადგან წარმოუდგენელია წინასწარი გამოძიების ცალმხრივობისა და უსრულობის ყველა შემთხვევა კანონმა გაითვალისწინოს. სასამართლომ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს კონკრეტული საქმის თავისებურებათა გათვალისწინებით. ამასთან, არ შეიძლება საქმე დაბრუნდეს დამატებითი გამოძიებისათვის ისეთი გარემოებების გამოსარკვევად, რომლებსაც არ შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს ბრალეულობისა და სასჯელის საკითხის გადაწყვეტაზე.

ჟარყო რა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტი ზ. ვ. მამედოვისა და ტ. ვ. მამედოვს საქმეზე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ „საქმის დაბრუნება ხელახალი გამოძიებისათვის არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს სწორად, თუ დამატებით გამოსარკვევ გარემოებებს არ შეუძლია გავლენა მოახდინოს მსჯავრდადებულის ბრალის დასაბუთებასა და დანაშაულის კვალიფიკაციაზე“<sup>1</sup>.

როგორც საქართველოს სსრ სსსკ 232-ე მუხლიდან ჩანს, დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების საფუძველია არა ყოველგვარი უსრულობა, არამედ ისეთი, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია სასამართლოს სსდომაზე. ამ მოტივით დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების საკითხის გადაწყვეტის დროს პრაქტიკაში ვხვდებით ხოლმე ორ უკიდურესობას. პირველია — საქმის დაბრუნება იმ შემთხვევაში, როცა რეალურად შესაძლებელია ახალი მტკიცებულებანი შეიკრიბოს სასამართლოს სამსჯავრო სსდომაზე. მეორე უკიდურესობა იმით გამოიხატება, რომ სასამართლო ხედავს, რომ გამოძიების უსრულობის შევსება შეუძლებელია და მაინც ცდილობს დაამთავროს საქმის განხილვა. ასეთ ვითარებაში გამოტანილი განაჩენი დამყარებულია უხარისხო მტკიცებულებებსა და ცუდად ჩატარებული სასამართლო გამოძიების მასალებზე. ორივე ერთნაირად არასასურველია, რადგანაც ხელს უშლის სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

დაუშვებელია ისიც, როდესაც სასამართლო საქმეს აბრუნებს დამატებითი გამოძიებისათვის, თუმცა მისთვის აშკარაა, რომ წინასწარი გამოძიების ხარვეზების შევსება უკვე შეუძლებელია. ეს მოწმობს, რომ სასამართლო თავს არიდებს ბრალდების არსებითად გადაწყვეტას და იწვევს საქმეთა განხილვის გაჭიანურებას, რაზეც ქვემოთ დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი.

როგორ უნდა გადაწყდეს არასრულყოფილობის მოტივით საქმის დაბრუნების საკითხი სამართალში მიცემის სტადიაში? ჩვენი აზრით, ამ სტადიაში სასამართლოს ჯერ კიდევ უშუალოდ არა აქვს გამოკვლეული მტკიცებულებანი და ძნელია იმის გადაწყვეტა, თუ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების რომელი უსრულობის შევსება შეიძლება სასამართლო სსდომაზე და რომლისა არა. ამიტომ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დროს დაშვებულმა და სამართალში მიცემის სტადიაში გამოვლენილმა ყოველგვარმა უსრულობამ, თუ იგი ხელს უშლის საქმის არსებით გარემოებათა დადგენას, უნდა შეაფერხოს საქმის სასამართლო განხილვისათვის გადაცემა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სტადიაში დამატებითი გამოძიები-

<sup>1</sup> «Бюллетень Верховного Суда СССР», 1970, № 1, с. 29.

სათვის საქმის დაბრუნების შეზღუდვა ხელს არ უწყობს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ხარისხის ამაღლებას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ საქართველოს სსრ სსსკ 232-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი პუნქტიდან უნდა ამოირიცხოს შენიშვნა, რომლის მიხედვითაც თუ წარმოებული მოკვლევა ან წინასწარი გამოძიება არსებითად არასრულია, მაინც არ ხდება დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების საფუძველი, თუ არის შესაძლებლობა, რომ იგი შეივსოს სამსჯავრო სხდომაზე.

ეს საკითხი სხვაგვარად უნდა გადაწყდეს საქმის სასამართლო განხილვის დროს. ამ სტადიაში მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების უსრულლობის მოტივით საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაბრუნების საფუძველი შეიძლება ვახდეს გარემოებანი, რომელთა შევსება სასამართლოს არ შეუძლია. ამის თაობაზე საჭიროა სათანადო დამატება იქნეს შეტანილი საქართველოს სსრ სსსკ 259-ე მუხლში.

საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შემდეგი საფუძველია სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა (საქართველოს სსრ სსსკ 232-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე პუნქტი). კანონი არ აკონკრეტებს, თუ სამართალწარმოების სახელდობრ რომელი წესის დარღვევა ითვლება არსებით დარღვევად, რომელიც იწვევს საქმის დაბრუნებას დამატებითი გამოძიებისათვის. ვფიქრობთ, რომ საქართველოს სსრ სსსკ 352-ე მუხლის მსგავსად, რომელიც ჩამოთვლის განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველებს, საქართველოს სსრ სსსკ-ს უნდა დაემატოს ახალი მუხლი, რომელშიც 232-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე პუნქტის განსამარტავად ჩამოთვლილი იქნებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონის არსებითი დარღვევები, რომლებიც გამორიცხავს ბრალდებულის სამართალში მიცემას და იწვევს საქმის დაბრუნებას დამატებითი გამოძიებისათვის სამართალში მიცემის სტადიიდან. თუ ეს დარღვევები გამოვლენილ იქნა სასამართლო განხილვის დროს, მაშინ საქმე უნდა დაბრუნდეს დამატებით გამოძიებისათვის პროცესის ამ სტადიიდან.

სისხლის სამართლის პროცესისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში იყო ცდება განესაზღვრათ თუ რა ჩათვლილიყო წინასწარი გამოძიების დროს დაშვებულ საპროცესო კანონის არსებით დარღვევებად<sup>2</sup>.

არსებით დარღვევად უნდა იქნეს მიჩნეული და მას უნდა მოჰყვეს საქმის დაბრუნება დამატებითი გამოძიებისათვის ყველა შემთხვევაში, თუ: წინასწარ გამოძიებაში არ მონაწილეობდა დამცველი, როცა მისი მონაწილეობა აუცილებელია (საქართველოს სსრ სსსკ 44-ე მუხლი) ან როცა ამას მოითხოვდა ბრალდებული; გამოძიება წარმოებდა უთარჯიმნოდ, ხოლო ბრალდებული არ ფლობს ენას, რომელზეც მიმდინარეობდა სამართალწარმოება; არ ჩატარდა ექსპერტიზა იმ შემთხვევებში, როცა იგი სავალდებულო იყო (საქართველოს სსრ სსსკ 71-ე მუხლი); ბრალდებულს არ ეცნობა წინასწარი გამოძიების დამთავრება და მას არ გააცნეს გამოძიების მასალები, აგრეთვე მასალები, რომ-

<sup>2</sup> С. В. Бородин. Рассмотрение судом уголовных дел об убийствах. Изд-во «Юридическая литература», М., 1964, с. 35; Г. Омелянченко. Улучшить качество рассмотрения дел в распорядительных заседаниях суда. «Социалистическая законность», 1966, № 6, с. 78; Н. П. Митрохин. Окончание предварительного следствия в советском уголовном процессе. Автореферат кандидатской диссертации, Киев, 1964, с. 5.

ლებიც მიღებულ იქნა საქართველოს სსრ სსსკ 201-204-ე მუხლების მიხედვით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებათა შედეგად; დარღვეულია ბრალდების წარდგენისა და ბრალდებულის დაკითხვის წესები.

საგამოძიებო პრაქტიკაში ვხვდებით საქმეთა ქვემდებარეობის წესების დარღვევას, როდესაც მოკვლევის ორგანოები მთლიანად იძიებენ საქმეებს, რომლებზეც სავალდებულოა წინასწარი გამოძიება. სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ეს დარღვევაც არსებით დარღვევად უნდა ჩაითვალოს და საქმე დაბრუნდეს დამატებითი გამოძიებისათვის, რამდენადაც საქმეები, რომლებიც მოკვლევით მთავრდება, ითვალისწინებს პროცესის მონაწილეთა უფლებების უფრო ნაკლებ გარანტიებს.

რასაკვირველია, შეიძლება იყოს სამართალწარმოების ნორმების სხვა დარღვევებიც, რომლებიც შეიძლება არსებითად იქნას მიჩნეული, ამიტომ როცა ვაყენებთ წინადადებას, რომ საქართველოს სსრ სსსკ-ს დაემატოს მუხლი, რომელშიც ჩამოთვლილი იქნება ბრალდებულის სამართალში მიცემის დამაბრკოლებელი კანონის არსებითი დარღვევები, სრულიადაც არ ვგულისხმობთ სასამართლოს უფლებათა შეზღუდვას საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნების შესახებ. მაშინაც კი სასამართლოს შეუძლია არსებით დარღვევად მიიჩნიოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონის რაიმე სხვა დარღვევა, რომელიც არ იქნება მითითებული ჩამონათვალში; მაგრამ ჩამონათვალის დაწესება მაინც აუცილებელია, რამდენადაც ის ხელს შეუწყობს წინასწარი გამოძიებისა და პროკურატურის ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლებას გამოძიების ხარისხისათვის.

ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ პროცესუალურ დარღვევათა გამო საქმის დაბრუნება დამატებითი გამოძიებისათვის აუცილებელია, რადგან იგი შესაძლოა გამოსწორდეს მხოლოდ წინასწარი გამოძიების ორგანოთა მიერ<sup>3</sup>. ეს მცდარი აზრია. საქმე ის კი არ არის, რომ სასამართლოს არა აქვს მისი გამოსწორების შესაძლებლობა, არამედ ის, რომ მას კანონით ამის უფლება არა აქვს და ეს საპროცესო მოქმედებები სწორედ საგამოძიებო ორგანოებმა უნდა შეასრულონ.

საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების მესამე საფუძველი უფრო რთულია და გულისხმობს ბრალდების შეცვლას და ბრალდებულის მიმართ ახალი ბრალდების წარდგენის აუცილებლობას. ვანვიხილოთ ისინი ცალცალკე.

კანონში ჩამოყალიბებულია ზოგადი მითითება, რომელიც განსაზღვრავს სასამართლო განაჩენით საბრალდებო დასკვნაში ფორმულირებული ბრალდების შეცვლის წესს: „ბრალდების შეცვლა სასამართლოში დასაშვებია, თუ ამით არ უარესდება სამართალში მიცემულის მდგომარეობა და არ ირღვევა მისი დაცვის უფლება. თუ ბრალდების შეცვლა იწვევს სამართალში მიცემულის დაცვის უფლების დარღვევას, სასამართლო გზავნის საქმეს დამატებითი გამოძიებისათვის ან მოკვლევისათვის“ (საქართველოს სსრ სსსკ 255-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ამავე მუხლის მესამე ნაწილში კი მოცემულია იმის განმარტება, თუ ბრალდების როგორი შეცვლა ითვლება სამართალში მიცემულის მდგომარეობის გაუარესებად, კერძოდ, ასეთად მიჩნეულია ბრალდების შეცვლა ისეთი

<sup>3</sup> Г. Воробьев, Д. Гольдберг. Против необоснованного возвращения дел на следствие. «Социалистическая законность», 1964, № 10, с. 39.



ბრალდებით, რომელიც უფრო მძიმეა იმასთან შედარებით, რომლითაც პირი მიცემულია სამართალში. ჩვენი აზრით, ეს საკითხი უარესად არის გადაწყვეტილი უკრაინის სსრ სსსკ (227-ე მუხლი) და ყაზახეთის სსრ სსსკ (226-ე მუხლი), რომელთა მიხედვითაც დაუშვებელია ბრალდების შეცვლა სასამართლოში მაშინ, როცა აუცილებელია უფრო მკაცრი სანქციის სისხლის სამართლის კანონის გამოყენება. ნორმების ნაკლი აშკარაა: ისინი სამართალში მიცემულის მდგომარეობის გაუარესებას უკავშირებენ მხოლოდ კანონის იმ მუხლის სანქციის გაძლიერებას, რომელზეც უნდა გადაკვალიფიცირდეს სამართალში მიცემულის მოქმედება. მაგრამ სამართალში მიცემულის მდგომარეობა მძიმდება მაშინაც, როცა სასამართლოში საქმის განხილვისას დგინდება დანაშაულის ახალი ეპიზოდები, რომლებიც ბრალდების კვალიფიკაციაზე არ ახდენენ გავლენას, მაგრამ შეუძლიათ გამოიწვიონ სამართალში მიცემულის პასუხისმგებლობის გაძლიერება წარდგენილი ბრალდების სანქციის ფარგლებში, ე. ი. როცა ბრალდების იურიდიული კვალიფიკაცია უცვლელი რჩება, მაგრამ მისი შინაარსი გაფართოვდა.

ერთ-ერთ კონკრეტულ საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მიუთითა, რომ „თუ სასამართლო განხილვის მსვლელობაში დადგინდება გარემოებანი, რომლებითაც ფართოდება ბრალდების ფაქტობრივი შემადგენლობა, სასამართლო ვალდებულია დაუბრუნოს საქმე პროკურორს ბრალდებულისათვის ბრალდების ახალი ფორმულირებით წარსადგენად“<sup>4</sup>.

სამართალში მიცემულის მდგომარეობა უარესდება მაშინაც, როდესაც სასამართლოში დგინდება საქართველოს სსრ სსსკ 39-ე მუხლში მითითებული რომელიმე პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება, რომლებიც მას არ ჰქონდა წარდგენილი. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს იმას, იყო თუ არა ეს გარემოება გამოკვლევის საგანი წინასწარი გამოძიების დროს. მთავარია ის, რომ ბრალდებულს არა აქვს იგი წარდგენილი ბრალად სამართალში მიცემის დროს და ამის გამო მას წართმეული ჰქონდა ამ ბრალდებისაგან თავის დასაცავად მომზადების შესაძლებლობა. ზემდგომი სასამართლო ორგანოები ყოველთვის მიუთითებენ უშუალოდ სასამართლო განხილვის დროს ბრალდებაში ისეთი ახალი ფაქტების ჩართვის დაუშვებლობას, რომლებიც აუარესებენ ბრალდებულის მდგომარეობას. ასეთ ვითარებაში სასამართლოს არ შეუძლია თავდაპირველი ბრალდების შეცვლა წინასწარი გამოძიების ორგანოებისათვის საქმის დაუბრუნებლად.

დაუშვებელია აგრეთვე განაჩენში ცვლილების შეტანა იმავე მუხლის ფარგლებშიც, თუ ის დაკავშირებულია ერთი დამამძიმებელი გარემოების მეორეთი შეცვლასთან.

5. რ. ნახაევი სმოლენსკის საოლქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებული იქნა „რსფსრ სსკ 102-ე მუხლის „ბ“ პუნქტით (განზრახი მკვლელობა ხელიგნური ქვენავრძნობით). რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ნახაევის მოქმედება, ნაცვლად რსფსრ სსკ 102-ე მუხლის „ბ“ პუნქტისა, დააკვალიფიცირა იმავე მუხლის „გ“ პუნქტით (განზრახი მკვლელობა, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით). სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა გააუქმა რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება და მიუთითა, რომ „სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 42-ე, 46-ე, და 48-ე მუხლების თანახმად რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს უფლება არ ჰქონდა საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაუბრუნებლად ნახაევის მოქმედება გადაეკვალიფიცირებინა რსფსრ სსკ 102-ე მუხლის

ერთი პუნქტიდან მეორეზე, რამდენადაც ამის მოჰყვა ბრალდების შემადგენლობის ფაქტობრივი შეცვლა და ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევა. მოცემულ საქმეზე, — მითითებულია შემდგომ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში, — ნახევს. არ წარდგენია ბრალდება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისათვის. წინასწარი გამოძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის პროცესში ეს საკითხი არ ყოფილა მსჯელობის საგანი და ბრალდების ამ ფორმულირებისაგან, რომელიც ახლად წაუყენა მას რსდსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა, ნახევს თავი არ დაუცავს<sup>5</sup>.

ამრიგად, სასამართლოს ბრალდების შეცვლა შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ ამით სამართალში მიცემულის მდგომარეობა არ უარესდება. ბრალდების შემსუბუქება კი საერთო წესით მართლზომიერია. მაგრამ აქაც არის ერთი გამონაკლისი: სასამართლოს კომპეტენცია შემოიფარგლება მართოდენ თავდაპირველი ბრალდების შეცვლის უფლებით საქმის იმავე ფაქტობრივი გარემოებების დროს. ამიტომ საქმის სასამართლო განხილვის დროს არ დაიშვება ბრალდების შეცვლა, თუ იგი არსებითად ცვლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს (საქართველოს სსრ სსკ 255-ე მუხლის მე-3 ნაწილი). მაგალითად, თუ მატერიალურად პასუხისმგებელი პირის მიერ მისთვის მინდობილ ფასეულობათა მითვისების საქმის სასამართლო განხილვის დროს გამოირკვა, რომ სინამდვილეში მოხდა დაუდევრობა, რომელსაც შედეგად მოჰყვა საქონლის გაფუჭება, მაშინ უეჭველია, რომ ბრალდება უნდა შეიცვალოს ბრალდებულის სასარგებლოდ, მაგრამ ამის ვაკეთება სასამართლოს არ შეუძლია წინასწარი გამოძიების ორგანოებისათვის საქმის დაუბრუნებლად, ვინაიდან ამ დროს ღდება ბრალდების არსებითად შეცვლა და სამართალში მიცემული ფაქტობრივად მოკლებულია შესაძლებლობას თავი დაიცვას ბრალდებისაგან, რომელიც მისთვის არ წაუყენებიათ. თუმცა, ამ წესს შეიძლება ჰქონდეს გამონაკლისიც.

სოხუმის სასაბჭოებისა და რესტორნების ტრესტის რესტორან „ამრას“ მთავარი ბუღალტერი ს. დოლიძე მიცემულ იქნა სამართალში როგორც თანამონაწილე სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის მითვისების გზით (საქართველოს სსრ სსკ 17-94-ე მუხლის მე-3 ნაწილი). უარყოფდა რა თავის მონაწილეობას დატაცებაში, დოლიძე წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში აღიარებდა, რომ იგი სთანაღო კონტროლს არ უწევდა რესტორნის საწყობის გამვის ა. გულუას საქმიანობას ვინაიდან სამართალში მიცემული ამ ვერსიას დაბეჭდვით იცავდა, სასამართლოს არაფერი უშლიდა ხელს ეს ვერსია საფუძვლად დაედო, განაჩენისათვის. სასამართლო ასეც მოიქცა განაჩენით დოლიძეს ბრალდება გადააკვალიფიცირა და მას მსჯავრი დასდო საქართველოს სსრ სსკ 188-ე მუხლით (დაუდევრობა) საქმის დამატებით გამოძიებისათვის დაუბრუნებლად.

სასამართლო განხილვის დროს ბრალდების შეცვლის დაუშვებლობა, თუ ის არსებითად ცვლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, არის სოციალისტური მართლმსაჯულების დემოკრატიული ხასიათის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი. საბჭოთა სასამართლოს, მართლმსაჯულების ორგანოს, არ შეუძლია თავის თავზე აიღოს ბრალდების წარდგენის ფუნქცია. ამ ფუნქციას ახორციელებს პროკურორი — ბრალმდებელი, სასამართლოს ფუნქცია კი მართლმსაჯულების განხორციელებაა.

ზოგჯერ სამართალში მიცემული გაცნობილია ბრალდებას, რომლის მიხედვითაც, სასამართლო განხილვისას შეცვლილ გარემოებათა გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს განაჩენი, მაგრამ სასამართლოს მაინც არა აქვს უფლება გააკეთოს ეს საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნებლად.

მხედველობაში გვაქვს შემთხვევები, როცა პროკურორი ცვლის ბრალდებას შემსუბუქების თვალსაზრისით, სამსჯავრო განხილვისას კი აღმოჩნდება, რომ აღდგენილ უნდა იქნას თავდაპირველი ბრალდება: ასეთ შემთხვევაში სასამართლოს უფლება არა აქვს დაადგინოს განაჩენი შეცვლილი ბრალდების მიხედვით, რამდენადაც სამართალში მიცემული არ იყო მზად თავი დაეცვა ამ ბრალდებისაგან, თუმცა ეს მისთვის ცნობილი გახდა საქმის წარმოების განსაზღვრულ ეტაპზე. ანალოგიურად წყდება საკითხი მაშინაც, როდესაც ბრალდება შემსუბუქების თვალსაზრისით შეცვლილია გამწესრიგებელი სხდომის განჩინებით, ხოლო სამსჯავრო განხილვისას დგინდება, რომ აუცილებელია აღდგენილ იქნას საბრალდებო დასკვნის ფორმულირება.

აღვილად შესამჩნევია, რომ აქ წარმოიშობა საკმაოდ დელიკატური სიტუაცია: წინასწარი გამოძიება „ისჯება“ ისე, რომ მას არ დაუშვია არავითარი პროცესუალური დარღვევა. ამ არალოგიკური სიტუაციიდან გამოსვლისათვის შეიძლებოდა გვესარგებლა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმით, რომლის მიხედვითაც წყდება კანონიერების საკითხი იმ განაჩენისა, რომელიც დადგენილია გამწესრიგებელი სხდომის განჩინებით შეცვლილი ბრალდების მიხედვით, მაგრამ აუცილებელია პირვანდელი ბრალდების აღდგენა: ერთსა და იმავე დროს უქმდება განაჩენი და განჩინება სამართალში მიცემის თაობაზე და საქმე ბრუნდება ხელახლა განსახილველად სამართალში მიცემის სტადიიდან. მაგრამ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქმის არსებითად განმხილველ სასამართლოს შეუძლია ან დაადგინოს განაჩენი ან დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნოს საქმე. სასამართლო განხილვის სხვა შედეგი კანონით არ არის გათვალისწინებული. კანონის სრულყოფისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სასამართლოს მიეცეს იმის უფლება, რომ ასეთ დროს საქმე დააბრუნოს სამართალში მიცემის საკითხის ხელახლა გადასაწყვეტად. ეს არ დაარღვევდა ბრალდების დაცვის უფლებას, აბსოლუტურად ლოგიკურიც იქნებოდა და ხელს შეუწყობდა ოპერატიულობას.

ამ პრინციპული მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებას მონგუშ ბოლგან დაკაბი-ოლის საქმეზე წამოძვარებული აქვს თეზისი: „სასამართლოს, რომელმაც გამწესრიგებელ სხდომაზე შეამსუბუქა ბრალდების ფორმულირება, სამსჯავრო გამოძიებით კი სწორად მიიჩნია საბრალდებო დასკვნის ფორმულირება, უფლება არა აქვს დაადგინოს განაჩენი ამ ფორმულირების მიხედვით და საქმე უნდა დააბრუნოს ხელახალი გამოძიებისათვის“<sup>6</sup>.

თუ სასამართლო განხილვის დროს გამოვლინდა სამართალში მიცემულის მიმართ წინა ბრალდებასთან დაკავშირებული ახალი ბრალდების წარდგენის აუცილებლობა, კანონი თვლის, რომ საქმე უნდა დაბრუნდეს დამატებითი გამოძიებისათვის ერთდროულად რამდენიმე მიზეზით: სასამართლო განხილვის დროს წინასწარი გამოძიების უსრულობის შეუვსებლობის და, რაც მთავარია, ბრალდებულის მდგომარეობის დამძიმების და მისი დაცვის უფლების შეზღუდვის გამო: როცა ახალი ბრალდება მჭიდროდ არის დაკავშირებული ადრინდელთან და მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელია ყოველმხრივობის, სისრულესა და ობიექტურობისათვის ზიანის მიუყენებლად.

<sup>6</sup> „კრებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებებისა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებები სისხლის სამართლის პროცესის საკითხებზე“ 1946-1962 წ. წ.; გვ. 206.

დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების ორი სხვა საფუძვლის არსი (მოცემულ საქმეზე სისხლის სასმართლის პასუხისგებაში სხვა პირთა მიცემის აუცილებლობა, როცა მათ მიმართ საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფა შეუძლებელია, და საქმეთა არასწორი შეერთება და გამოყოფა) ასევე განსაზღვრულია წინასწარი გამოძიების სისრულისა და ყოველმხრივობის მოთხოვნებით. მართლაც, თუ სასამართლო განხილვისას დადგინდება, რომ ამ საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისგებაში სხვა პირიც არის მისაცემი, მაშინ ორი ან მეტი პირის სისხლის სამართლის საქმეთა ცალ-ცალკე განხილვა ერთი და იმავე ბრალდებით უსათუოდ უარყოფით გავლენას მოახდენს თითოეული ამ საქმის გარემოებათა სრულყოფილ და ყოველმხრივ გამორკვევაზე, გააძნელებს დანაშაულის ცალკეულ მონაწილეთა ბრალის ხარისხისა და მათი კონკრეტული როლის დადგენას. კანონს მხედველობაში აქვს როგორც ის, რომ მოცემულ საქმეზე სხვა პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის აუცილებლობა პირველად სასამართლოში გამოვლინდა, ისე ის შემთხვევებიც, როდესაც პასუხისგებაში მისაცემი ყველა პირი დადგენილი იყო ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დროს, მაგრამ საქმის გამოყოფა მოხდა საქართველოს სსრ სსსკ 23-ე მუხლის მოთხოვნათა დარღვევით. საქმე დამატებით გამოძიებას უნდა დაუბრუნდეს მაშინაც, როცა ერთ წარმოებად გაერთიანებულია საქმე ორი ან მეტი პირისა, რომელთა ბრალდებებსაც ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვს.

სავსებით ცხადია, რომ სასამართლო ვალდებულია თავის განჩინებაში მიუთითოს, რა საფუძვლით აბრუნებს საქმეს დამატებითი გამოძიებისათვის და დამატებით რა გარემოებები უნდა იქნეს გამორკვეული (საქართველოს სსრ სსსკ 232-ე მუხლის მე-2 ნაწილი). სამწუხაროდ, კანონის ამ მოთხოვნას სასამართლოები ყოველთვის არ იცავენ და გამოაქვთ არსებითად სწორი, მაგრამ დაუსაბუთებელი განჩინებები.

წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის თანაფარდობის თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი საკითხი: სასამართლომ საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნებისას, გარდა იმ გარემოებებისა, რომელთა გამოკვლევაც საჭიროა, უნდა მიუთითოს თუ არა იმ საგამოძიებო მოქმედებებზეც, რომლებიც ამისათვის უნდა ჩატარდეს. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის თეორიაში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა. ავტორთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების შესახებ სასამართლოს განჩინებაში მითითებულ უნდა იქნეს როგორც ის გარემოებანი, რომლებიც დამატებით გამოძიების პროცესში უნდა გაირკვეს, ისე საამისოდ საჭირო საგამოძიებო მოქმედებებიც<sup>7</sup>. სხვებს მიაჩნიათ, რომ თუ გარემოებანი, რომლებიც დამატებით გამოძიებით უნდა გაირკვეს, წარმოადგენს განჩინების აუცილებელ რეკვიზიტს, მაშინ მითითება საგამოძიებო მოქმედებებზე, რომელთა

7 И. М. Гальперин. Направление судом уголовного дела на следствие, с. 111; М. А. Чельцов, Советский уголовный процесс, М., 1962, с. 391; И. М. Гальперин, В. З. Лукашевич. Предание суду по советскому уголовно-процессуальному праву. Изд-во «Юридическая литература», М., 1965, с. 31, 40, 125; Г. Н. Омеляненко. Основания и процессуальный порядок возвращения судом уголовного дела на дополнительное расследование. Автореферат кандидатской диссертации. Киев, 1968, с. 25.

მეწვეობითაც უნდა შეივსოს წინასწარი გამოძიების ხარვეზები, უნდა იყოს სასამართლოს უფლება და არა მოვალეობა<sup>8</sup>.

მიუხედავად ამისა, სწორი არ იქნებოდა მოვთხოვით სასამართლოს, რომ მიუთითოს, რომელი საგამოძიებო მოქმედებანი უნდა ჩატარდეს დამატებითი გამოძიების დროს. საქმე ის არის, რომ ზოგჯერ სასამართლომ, რომელიც ადგენს, რომ საქმის ესა თუ ის გარემოება, არ არის გამორკვეული, შეიძლება ვერც განსაზღვროს, რომელი საგამოძიებო მოქმედებით შეიძლება მისი დადგენა. ამ საკითხს სწორად წყვეტს ლატვიის სსრ სსსკ 235-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების დროს სასამართლოს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის მიუთითოს კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებანი, რომელთა დახმარებითაც უნდა ჩატარდეს დამატებითი გამოძიება.

როცა საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების დროს დაშვებულ შეცდომებზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ დანაშაულობასთან ბრძოლა მოითხოვს არა მარტო სრულ, ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას, არამედ ბრალდების მაქსიმალურად სწრაფად გადაწყვეტას სასამართლოში, რათა განაჩენის გამოტანის მომენტი რაც შეიძლება მივუახლოოთ დანაშაულის ჩადენის მომენტს. ეს, როგორც ცნობილია, სამართალწარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი პირობაა. ამასთან, ახლანდელ ვითარებაში, როცა მოსამართლეთა მუშაობის ხარისხი ფასდება ძალაში დატოვებული განაჩენების რაოდენობით, მაგრამ საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ გაუქმებული დაუსაბუთებელი განჩინებების მხედველობაში მიუღებლად, ეს არ შეესაბამება საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულების ინტერესებს. დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების შესახებ დაუსაბუთებელი განჩინების გამოტანა უარყოფითს გავლენას ახდენს პროკურატურისა და სასამართლოს მრავალი რგოლის საქმიანობაზე. პროკურორები და მათი თანაშემწეები დიდ დროს კარგავენ კერძო პროტესტების დაწერასა და საკასაციო ინსტანციებში მათს მხარდაჭერაზე. ასევე დიდი დრო იკარგება ამ პროტესტების საკასაციო ინსტანციაში განხილვისას. და რაც მთავარია, ჭიანჭურდება საქმის და მასთან ერთად ცოცხალი ადამიანის ბედის გადაწყვეტა<sup>9</sup>. მიუხედავად ამისა, სასამართლოებს ზოგჯერ სავსებით დაუსაბუთებელი განჩინებები გამოაქვთ „არასასურველი“ საქმის განხილვის თავიდან ასაცილებლად და ამასთან არც პასუხისმგებლობისა ეშინიათ. ამასთან სასამართლომ წინასწარ იცის, რომ კანონი ჩვენს რესპუბლიკაში (საქართველოს სსრ სსსკ 54-ე მუხლი) გამორიცხავს მის მიერ საქმის შემდგომ განხილვაში მონაწილეობას.

გამომძიებელს, რომელსაც საქმე დამატებითი გამოძიებისათვის დაუბ-

<sup>8</sup> С. В. Бородин. Рассмотрение судом уголовных дел об убийствах, с. 59; см. также рецензию В. Божьева на книгу И. М. Гальперина и В. З. Лукашевича. Предание суду по советскому уголовно-процессуальному праву («Советская юстиция», 1965, № 23, с. 22); Д. П. Филатов, Возвращение судом уголовных дел на доследование в советском уголовном процессе. Автореферат кандидатской диссертации. Ленинград, 1965, с. 9; Ю. В. Корневский. Судебная практика и совершенствование предварительного следствия, «Юридическая литература», М., 1974, с. 80.

<sup>9</sup> რა თქმა უნდა, ასეთ ნეგატიურ შედეგებს თან სდევს უსაფუძვლო კერძო პროტესტების შეტანა დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების შესახებ სასამართლოს განჩინებებზე.

რუნდა, ეს მუშაობის უარყოფით მაჩვენებლად ეთვლება. უეჭველია, რომ ასეთივე მოთხოვნა უნდა წავუყენოთ სასამართლოსაც, რომელიც დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაუსაბუთებლად დაბრუნებით იწვევს საქმის შეუწყნარებელ გაჭიანურებას. ასეთი წესი მოსამართლეების უფრო პრინციპული და ობიექტური სულისკვეთებით აღზრდის საშუალებად გადაიქცევა<sup>10</sup>.

მაგრამ ამან არ უნდა დაამახინჯოს სწორი პერსპექტივა. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ დამატებითი გამოძიებისათვის საქმის დაბრუნების შესახებ განჩინებების მხოლოდ მეთედია დაუსაბუთებელი. მათვარი მაინც არის გამოძიების ხარისხი, რომლის დონეც ძალიან ხშირად არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და არ შეიძლება გამოდგეს სასამართლო განხილვის ბაზად. ამასთან, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ დამატებითი გამოძიებისათვის სისხლის სამართლის საქმეთა დაუსაბუთებლად დაბრუნების მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება, თუ გავითვალისწინებთ პირველი ინსტანციის მიერ გამოტანილ გამამართლებელ განაჩენებს, განაჩენების გაუქმებასა და საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებას ან წარმოებით შეწყვეტას დანაშაულის შემთხვევის ან დანაშაულის შემადგენლობის არარსებობის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებულის მონაწილეობის დაუდასტურებლობის გამო, რაც გამოვლენილია საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციების სასამართლოების მიერ. ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ სასამართლოების მიერ საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნება წარმოადგენს არა სასამართლოს თავისუფალი ნების გამოვლენას, არამედ მათ მიერ კანონის კატეგორიული მოთხოვნების ზუსტად აღსრულების შედეგს.

უდავოა, რომ საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნების შესახებ კანონის შესაბამისად გამოტანილი განჩინება ხელს უწყობს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, ეხმარება წინასწარი გამოძიების ორგანოებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, ამზადებს პირობებს, რომლებიც აუცილებელი და საჭიროა სასამართლოს მიერ საქმის ნორმალურად განხილვისა და სწორად გადაწყვეტისათვის.

<sup>10</sup> ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ.: Г. Н. Колбая, Против волокиты в уголовном судопроизводстве. «Социалистическая законность», 1964, № 7, с. 56—57.

# ნეგატიური მოვლენები და მათთან ბრძოლა

ლ. ხიბინი

სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს უმნიშვნელოვანეს ამოცანად უსახავს გააძლიერონ ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ.

ნეგატიური მოვლენები ფართო გაგებით ძველი საზოგადოების კონსერვატიულ ელემენტებს, წარსულის გადმონაშთებს განეკუთვნება და შეუსაბამო სოციალიზმისათვის. ვიწრო გაგებით ნეგატიური მოვლენა შეიძლება იყოს სოციალიზმის პირობებში შობილი, მაგრამ მისი ანტიპოდი. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია მათი წარმომშობი მიზეზების გაურკვევლად. მიზეზების დადგენა კი, თავის მხრივ, მოითხოვს წარსულის გადმონაშთების ბუნების, არსის გარკვევას.

წარსულის გადმონაშთების ბუნების და ცნების დადგენისას საჭიროა ყურადღება მიექცეს მისი წარმოშობისა და არსებობის მატერიალურ განპირობებულობას. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან გავრცელებულია აზრი, რომ წარსულის გადმონაშთების ძირითადი მიზეზები ცნობიერების სფეროში უნდა ვეძებოთ. წარსულის გადმონაშთების ცნობიერების სფეროში არსებობის აღიარება შეცდომა არ არის, მაგრამ მარტოოდენ ამ ფარგლებში მისი შემოსაზღვრა ზღუდავს თვით ცნების შინაარსს.

ზოგიერთი ავტორი აზვიადებს სუბიექტურ მომენტებს, რის გამოც გადმონაშთების ცნების შინაარსს განსაზღვრავს როგორც „ჩამორჩენილ წარმოდგენებს და შეხედულებებს, ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს“<sup>1</sup>.

ამ დებულებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ადამიანის ქმედება მხოლოდ ცნობიერებით, ფსიქიკურით შეიძლება აიხსნას. ეს მტკიცება კი უახლოვდება ფსიქიკური მიზეზობრიობის იდეალისტურ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც არ არის საფუძველი მიზეზის და მოტივის განსხვავებისათვის, რადგან მოტივი ის ფსიქიკური მიზეზია, რომელიც ქცევის საკმარის საფუძველად არის მიჩნეული. მართებულია პროფ. ბ. ხარაზიშვილის ის აზრი, რომ „თუკი სოციალიზმისათვის უცხო და მავნე შეხედულებანი და ჩვეულებანი წარმოადგენენ დანაშაულის ჩადენის მიზეზს, მაშინ რაღაში უნდა ვეძებოთ მოტივის როლი? რა განსხვავებაა ნებისმიერი ქცევის მიზეზსა და მოტივს შორის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ დავივიწყ-

<sup>1</sup> К. Свиридова — Непремиримость к пережиткам прошлого, Краснодарское кн. изд-во, 1962, с. 7.

ყებთ მიზეზის ობიექტურ ხასიათს, რომელიც გარკვეულ პირობებში მოტივაციის განწყობილებას ედება საფუძვლად“<sup>2</sup>.

საკითხის გარკვევა შეუძლებელია, თუ ჩვენ არ დავემყარებით მარქსისტული ფილოსოფიის ზოგადმეთოდოლოგიურ პრინციპს, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება პირველადია, საზოგადოებრივი ცნობიერება კი მეორეული. „იდეათა მსვლელობა საგანთა მსვლელობაზე და მოკიდებული“<sup>3</sup>. ცნობიერება ყოფიერებით განისაზღვრება. კ. მარქსისა და ფ. ენგელსის აზრით, ცნობიერება არასოდეს არ შეიძლება სხვა რაიმე იყოს, თუ არა შეცნობილი ყოფიერება<sup>4</sup>.

ამის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ წარსულის გადმონაშთები საზოგადოებრივ ცნობიერებაში განსაზღვრული და განპირობებულია საზოგადოებრივი ყოფიერებით, რომ ცნობიერებაში წარსულის გადმონაშთები იმთავითვე გულისხმობს მათი არსებობის საფუძველს ყოფიერებაში. წარსულის გადმონაშთები — ეს არის წინასოციალისტური საზოგადოებიდან მემკვიდრეობით გადმოსული ყოფისა და შეგნების კონსერვატიულ ელემენტთა ერთობლიობა, რომელიც არ შეესაბამება ახალ პირობებს და ჩვენი საზოგადოების ნაკლოვანებებთან შერწყმის გზით იძენს სიცოცხლისუნარიანობას.

ადამიანის მოქმედება ბიოლოგიურით, ფსიქოლოგიურით კი არ არის განსაზღვრული, არამედ სოციალური ბუნებით. ამ თვალსაზრისით განხილული ქმედება საზოგადოებისათვის ან სასარგებლოა, ან — საზიანო. ამიტომაც ყოველი ქმედება განისაზღვრება გაბატონებული წარმოების წესით.

ადამიანი ყოველთვის საზოგადოებრივ ურთიერთობაშია ჩართული და მის ქცევასა და მოქმედებას (სოციალურს, პოლიტიკურს, მორალურს, სამართლებრივსა და სხვა) განსაზღვრავს მოცემული საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა.

ამიტომაც ადამიანის ანტისაზოგადოებრივი ქცევა წარსულის გადმონაშთების სახით ვლინდება და სოციალური ხასიათისაა. ისინი წარმოიშვნენ ძველ ფორმაციებში და არსებობას განაგრძობენ სოციალისტურ საზოგადოებაშიც. სოციალისტური საზოგადოების დროებითი წინააღმდეგობანი ქმნის პირობებს მათი კვლავწარმოშობისათვის. ძველისა და ახლის ერთმანეთისაგან განპირობებულობის გათვალისწინება გვეხმარება გადმონაშთების არსისა და მიზეზების დადგენაში.

ზოგიერთი საბჭოთა ფილოსოფოსი და იურისტი დღემდე უარყოფს წარსულის გადმონაშთების სოციალურ ხასიათს. მაგალითად, ვ. ესაიაშვილი წერს, რომ წარსულის გადმონაშთებს „არავითარი საფუძველი არ გააჩნია ჩვენს საზოგადოებაში“<sup>5</sup>.

ზოგიერთი ავტორი მათ მიიჩნევს სოციალისტური საზოგადოებისთვის პარადოქსულ მოვლენებად და მიდის ადამიანის ანტისაზოგადოებრივი ქცევის ბიოლოგიური მიზეზების აღიარებამდე. მაგალითად, ი. ს. ნოის აზრით, საბჭოთა კრიმინოლოგები ერთგვარი აპრიორული წესით მსჯელობენ დანაშაულთა ბიოლოგიზაციის ანტიმარქსისტულობის შესახებ, მაშინ როცა ადამიანის გენეტი-

<sup>2</sup> ბ. ხარაზიშვილი — კრიმინალისტიკა, თსუ, 1969, გვ. 498.

<sup>3</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 150.

<sup>4</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ., ნაწ., ტ. II, 1950, გვ. 17.

<sup>5</sup> ვ. ესაიაშვილი — ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების დაძლევის შესახებ, 1952, გვ. 7.



კური კანონზომიერების კვლევა შესაძლებლობას მოგვცემდა უფრო სრულად გამოგვეკვლია პიროვნებისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულება. ამის უარყოფა, მისი აზრით, ვულგარულ სოციოლოგიზმამდე მიგვიყვანდა<sup>6</sup>.

თუმცა ბიოლოგიურ-მემკვიდრეობითობის თავისებურებანიც გადმონაშთების არსის გარკვევისას გასათვალისწინებელია, მაინც, მთავარია მისი სოციალური ხასიათი. ვ. ი. ლენინის აზრით, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების უმთავრესი მიზეზია ექსპლოატაცია და უუფლებობა, მაგრამ არა ერთადერთი. სოციალისტურ საზოგადოებაში გამორაცხულია ექსპლოატაცია და უუფლებობა, მაგრამ აქ ჯერ კიდევ მოქმედებენ ფაქტორები, რომლებიც აცოცხლებენ ძველის ნაშთებს.

მაშასადამე, წარსულის გადმონაშთები მოკლებული არ არიან კანონზომიერებას. ზოგიერთი საბჭოთა ავტორი, მაგალითად, გ. ბანძელაძე, ცნობს მათი წარმოშობის როგორც მატერიალურ, ისე სულიერ მიზეზებს<sup>7</sup>. ამავე აზრს იზიარებენ ბ. ლუტიძე, ა. სახაროვი, გ. სმირნოვა, ვ. ყურავლორავი, ს. კოვალიოვი, ფ. კონსტანტინოვი, ვ. ოსტრიაკოვი, პ. იგნატოვიჩი, მ. ჩალინი, ე. სტეფანიანი და სხვები.

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებენ სამართალდარღვევის კანონზომიერებას, მაგრამ უარყოფენ მის კავშირს სოციალიზმის ბუნებასთან. ეს დებულება წინააღმდეგობრივია. ი. კარპეცის აზრით, სამართალდარღვევა სოციალიზმში გარედან „შემოვიდა“. სამართალდარღვევას შეფარდებითი დამოუკიდებლობა ახასიათებს, რაც არ ეწინააღმდეგება მტკიცებას, რომ იგი უცხო მოვლენაა<sup>8</sup>.

სამართალდარღვევათა კანონზომიერებას მართლაც ახასიათებს შეფარდებითი დამოუკიდებლობა და სოციალიზმამდე არსებობდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას სოციალიზმთან კავშირი არა აქვს. თუ სამართალდარღვევა სოციალიზმის პრინციპებისათვის უცხოა, მაშინ გამოდის, რომ პრინციპი და პრაქტიკა ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

კ. ტუგარინოვის მიხედვით, ყველა ნეგატიური მოვლენა მხოლოდ კაპიტალიზმის გადმონაშთებით უნდა აიხსნას<sup>9</sup>. ა. ბუტენკოც დაახლოებით იმავე აზრისაა<sup>10</sup>.

ამ ავტორების აზრით, სოციალიზმის დროს არ უნდა იყოს სამართალდარღვევები. „არ უნდა იყოს“ ჯერარსულია, შეფასებითა და ვერ გამოხატავს მიზეზობრიობას, იმას, თუ რა განაპირობებს მოვლენას და რა კანონზომიერებას ექვემდებარება იგი. ერთია მოვლენის შეფასება, მეორე — მისი შემეცნება. შეფასება გულისხმობს მნიშვნელობა-ღირებულების გარკვევას, მის მიმართებას მოვლენებისადმი და საგნებისადმი. რადგან შეფასება ღირებულების საფუძველზე ხორციელდება, ღირებულება ყოვლთვის გამოიხატება ჯერარსული ფორმით, რომელიც შეიცავს მტკიცებას, კანონზომიერია თუ არა ესა თუ ის მოვლენა, აქვს მას რაიმე მიზეზი თუ არა. ამ კითხვაზე პასუხს იძლევა არა

<sup>6</sup> И. Ной — Методологические проблемы советской криминологии, Саратов, 1975, с. 89.

<sup>7</sup> გ. ბანძელაძე — ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის შესახებ, 1951, გვ. 40.

<sup>8</sup> И. Карпец — Проблема преступности, М., 1969, стр. 48.

<sup>9</sup> В. Тугаринов — Теория ценностей в марксизме, ЛГУ, 1968, с. 69.

<sup>10</sup> А. Бутенко — Социалистический образ жизни: проблемы и суждения, «Наука», М., 1976, с. 241—242.



ჯერარსული (ღირებულებით-შეფასებითი) მსჯელობა, არამედ რეალური სინამდვილის, ფაქტის მსჯელობა.

ამიტომაც მოვლენათა მნიშვნელობის გარკვევას წინ უნდა უსწრებდეს მოვლენათა არსის გარკვევა. ვ. ი. ლენინის აზრით, მოვლენათა არსი, მოვლენათა კანონზომიერებაშია ჩამარხული, სოციალიზმის დროს სამართალდარღვევა რომ შევაფასოთ, უნდა ვიცოდეთ მისი არსი, კანონზომიერება. ამიტომ შეფასება ვერ შეცვლის კანონზომიერების შემეცნებას. თვით რეალურ სინამდვილეში უნდა მოინახოს მიზეზები. შეფასებები, ღირებულებები კი იდეალურია. მარქსიზმის კლასიკოსები ილაშქრებდნენ სწორედ ასეთი შეფასებითი და შემეცნებითი მეთოდების აღრევის წინააღმდეგ.

როცა რეალური კავშირის პრობლემა შეცვლილია შეფასებით, იქმნება არა მარტო აქსიოლოგიზმი, არამედ იმის შესაძლებლობაც, რომ ნეგატიური მოვლენები, წარსულის გადმონაშთები სოციალიზმის პირობებისაგან სავსებით მოუწყვეტლად წარმოვსახოთ.

საზოგადოებრივი სინამდვილის განვითარების ხასიათი ქმნის ერთი მოვლენის მიერ მეორის განპირობებას მრავალი შუალედური რგოლებით, რაც დამოკიდებულების მკაცრ დეტერმინაციას გამორიცხავს. ნეგატიური მოვლენის მიზეზი შესაძლოა შემთხვევითი იყოს, არ გამოდინარეობდეს სოციალიზმის არსებიდან, მაგრამ გამოვლენილი უკვე გულისხმობს კანონზომიერებას. მას აქვს თავისი წარმოშობის მიზეზები და განმაპირობებელი ფაქტორები, რომლებიც ქმნიან ერთიან კავშირს. ამიტომაც, მიზეზობრივი პროცესი მიზეზის, არსებითი გარემო პირობების და ფაქტორების ერთობლიობას წარმოადგენს.

პირობები უშუალოდ არ იწვევს შედეგს, მაგრამ ხელს უწყობს მის წარმოშობას. არის ისეთი მიზეზები, რომლებიც ფატალური აუცილებლობით არ უკავშირდება შედეგს. ისინი შესაძლებელი მიზეზებია. არის ძირითადი მიზეზები და პირობებიც, რომლებიც უშუალოდ იწვევენ წარსულის გადმონაშთების გამოცოცხლებას. მაგალითად, სოციალიზმის დროს ეკონომიკური მომწიფების არსებული დონე, ეკონომიკური სიძნელები შეიძლება მივაკუთვნოთ უშუალო მიზეზს, რომელიც კვებავს კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას იმ შემთხვევაში, თუკი აღმოჩნდებოდა მუშაობა მოიკოჭლებს. მისი გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ნეგატიური ქმედების თავიდან აცილებას.

ნეგატიურ მოვლენებს ასაზრდოებენ სხვა ფაქტორებიც. ცნობილია, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში 70-იან წლებამდე უხეშად ირღვეოდა დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები, რამაც გამოაცოცხლა კერძომესაკუთრული ტენდენციები. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები მექრთამეობის, პროტექციონიზმის, გამოძალვის, უყაირათიანობის და სხვა მახინჯი მოვლენებისათვის.

ამრიგად, არსებობს წარსულის გადმონაშთების გამოცოცხლების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც ერთმანეთს განაპირობებენ და ორივე ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი. ერთ-ერთი მხარის უგულებელყოფა ხელს შეუშლის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი აღმოფხვრის საქმეს.

წარსულის გადმონაშთების გამოცოცხლების ობიექტური ფაქტორებია: სოციალიზმის დროებითი სიძნელენი და არაანტაგონისტური წინააღმდეგობანი; მატერიალური ცხოვრების და საწარმოო ძალების განვითარების დონე, რო-

მელიც მთელი სისრულით ვერ აკმაყოფილებს ადამიანთა მრავალფეროვან მოთხოვნილებებს; ქონებრივი განსხვავება, რომელიც შედეგად მოსდევს შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის მოქმედებას; გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავება; საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამორჩენა საზოგადოებრივი ყოფიერებისაგან და სხვა.

სუბიექტურ მხარეს განეკუთვნება: ნაკლოვანებანი ორგანიზაციულ, პოლიტიკურ, სამეურნეო და აღზრდის სფეროში, სოციალისტური პრინციპების დარღვევა, იდეოლოგიური მუშაობის, კონტროლის შესუსტება და სხვა. საბოლოოდ ისინი შეადგენენ სოციალისტური საზოგადოების წინააღმდეგობებს, რომლებიც გადაჭრით უნდა დაცლიოთ. ამ საკითხს ამხ. კ. უ. ჩერნენკომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია: „დღეს ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ მომწიფებული სოციალიზმისათვის დამახასიათებელი არაანტაგონისტური წინააღმდეგობანი, საბჭოთა საზოგადოების სულ უფრო მზარდი სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის პირობებში მათი გადაწყვეტის თავისებურებანი. აქ, ისევე როგორც ყოველ სოციალურ ორგანიზმში, მიმდინარეობს ახლისა და ძველის ბრძოლა, მოქმედებენ არა მარტო აღმშენებლობითი, არამედ ნეგატიური ტენდენციები. ეს, მაგალითად, არის კუთხურობა და უწყებრიობა, ბიუროკრატიზმი და კონსერვატიზმი. უნდა გამოვავლინოთ ამ და სხვა მსგავსი მოვლენების მიზეზები, გამოვჩახოთ მათი დაძლევის საშუალებანი“<sup>11</sup>.

წარსულის გადმონაშთების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა პარტიის სოციალური პოლიტიკის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია<sup>12</sup>. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე კ. უ. ჩერნენკომ ამის შესახებ თქვა: „ახალი ადამიანის აღზრდა განუყოფელია ლოთობის, ხულიგნობისა და მუქთახორობის, სპეკულაციისა და მომხვეჭელობის წინააღმდეგ ყველაზე ენერგიული ბრძოლისაგან“<sup>13</sup>.

საქართველოში ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა გამწვავდა 1972 წლიდან, როდესაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის თაობაზე. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მისმა ახალმა ხელმძღვანელობამ უკომპრომისო ბრძოლა გააჩაღეს ყოველგვარი მავნე მოვლენის, დრომოკმულის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლის სოციალიზმის წინსვლას.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლა შეიძლება სამ პერიოდად დაიყოს. პირველი მოიცავს პერიოდს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან 1976 წლის ივნისამდე, როცა რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინაშე ძირითად ამოცანად დაისახა ნეგატიური მოვლენების ანტისაზოგადოებრივი ხასიათის გამოაშკარავება, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება. ამას უნდა უზრუნველყო რესპუბლიკის ეკონომიკის მკვეთრი აღმავლობა, პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობაში დაშვებული სუბიექტური, ვოლუნტარისტული ხასიათის შეცდომების ლიკვიდაცია.

<sup>11</sup> Материалы Пленума Центрального Комитета КПСС, 14—15 июня 1983 г., М., 1983 г.

<sup>12</sup> სკკპ XXVI ყრილობის მასალები, 1981, გვ. 99.

<sup>13</sup> კომუნისტი, 1983 წ. 15 ივნისი.

ბრძოლის მეორე ეტაპი დაიწყო 1976 წლის ივნისიდან. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა მთელი მოსახლეობის აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციად იქცა, საერთო-სახალხო ხასიათი მიეცა; გამოიკვეთა პოზიტიური ტენდენციები, გაჯანსაღდა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი. ე. ა. შევარდნაძე აღნიშნავდა: „ჩვენ საჭიროდ მივიჩნით, რომ ეს გაგვეხადა მთელი ხალხის საქმედ და, მაშასადამე, აგვემაღლებინა მშრომელთა აქტიურობა, გაგვეძლიერებინა და გაგვეღრმავებინა თითოეული მშრომელის შეგნებაში ის გრძნობა, რომ იგი რესპუბლიკის ბატონ-პატრონია“<sup>14</sup>.

ბრძოლის მესამე ეტაპი დაიწყო 1982 წლის ბოლოდან. ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლას გადაწყვეტი ხასიათი მიეცა. საკავშირო მასშტაბით დიდი მუშაობა განხორციელდა სანიმუშო დისციპლინისათვის, უკომპრომისო ხასიათი მიეცა ყოველგვარი მანკიერის წინააღმდეგ ბრძოლას.

ნეგატიური მოვლენების დაძლევა კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას, ობიექტური და სუბიექტური ხასიათის გარდაქმნებს, ძალთა კოორდინაციასა და მაქსიმალურ დაძაბვას მოითხოვს.

ობიექტური ხასიათის გარდაქმნებში იგულისხმება საწარმოო-ეკონომიკური და მატერიალური ღონის ამბღლება, სოციალიზმის წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფა, რაც შეხამებული უნდა იყოს სუბიექტურ ფაქტორებთან. ერთმანეთისაგან მათი მოწყვეტა შეამცირებს წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. უ. ჩერნენკო აღნიშნავს, „ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის საჭიროა არა მარტო განუწყვეტელი პრობაგანდისტული მუშაობა, არამედ ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებებიც“<sup>15</sup>.

მაშასადამე, აუცილებელია კომპლექსურად განხორციელდეს იდეურ-აღმზრდელობითი, ორგანიზატორული, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და სხვა ღონისძიებანი.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სწორედ ამგვარად წარმართავდა წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლას. როგორც ე. ა. შევარდნაძე ამბობდა, „საჭირო იყო პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ახალი, უფრო ეფექტიანი, უფრო ქმედითი ფორმები და მეთოდები. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმმა ერთ-ერთ მიზანშეწონილ ფორმად მიიჩნია ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინირებული და დისციპლინის განმტკიცების მუდმივმოქმედი კომისიების შექმნა“<sup>16</sup>.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები შეიქმნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, მის განყოფილებებში, აგრეთვე რაიონულ და საქალაქო კომიტეტებში, სამინისტროებსა და უწყებებში, პირველად პარტიულ ორგანიზაციებში. კომისიებს დაევალიათ ნეგატიური მოვლენების გამომჟღავნება და ოპერატიული ზომების მიღება მათ აღსაკვეთად.

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ მიმართულებად

<sup>14</sup> კომუნისტი, 1978, 31 ოქტომბერი.

<sup>15</sup> კომუნისტი, 1983, 15 ივნისი.

<sup>16</sup> კომუნისტი, 1978, 29 ივლისი.

მიჩნეულ იქნა დამნაშავეობის პროფილაქტიკა, რომელიც სისტემატურ, თანმიმდევრულ ხასიათს უნდა ატარებდეს და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია მონაწილეობდეს. ეხებოდა რა ამ საკითხს, ვ. ი. ლენინი წერდა: „რატომ არ გვაქვს წარმატება ამ ბრძოლაში? იმიტომ, რომ ბრძოლას მარტო პროპაგანდით ვერ გამოიწვევ, მისი დამთავრება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით ხალხის მასა გვეხმარება“<sup>17</sup>.

ამ პრინციპით უნდა მიუდგნენ სამართალდაცვითი ორგანოები სხვა პროფილაქტიკურ ამოცანათა გადაწყვეტას (სამოქალაქო-სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სხვა გადაცდომათა წინააღმდეგ ბრძოლას).

ამის წყალობით, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული განვითარების კვალობაზე ნეგატიური მოვლენების პრობლემა სიმწვავეს დაკარგავს.

განსხვავებულად უნდა მივუდგეთ სხვა ნეგატიურ მოვლენათა პროფილაქტიკის ამოცანებს. პროტექციონიზმთან, ბიუროკრატიზმთან, ლოთობასთან და სხვა მოვლენებთან ბრძოლის პრობლემა ორგანულად არის დაკავშირებული სოციალიზმის სხვა ანტიპოდების დაძლევისასთან. იგი სისტემატურად და უწყვეტად უნდა წარმოებდეს. „ვინც წინადადებას გაძლევთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, ბიუროკრატიზმს ბოლო მოვუღოთ, ის შარლატანობს, დემაგოგობს, რადგან ამისათვის, რომ ბიუროკრატიზმი დაძლიო, საჭიროა ასობით ღონისძიება“<sup>18</sup>.

წარსულის მაგნე გადმონაშთების აღმოფხვრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სისხლისსამართლებრივ ღონისძიებათა განხორციელებას. საბჭოთა სამართლის ნორმები მართლზომიერი ქცევის ობიექტური კრიტერიუმი. საბჭოთა ადამიანების უმრავლესობა ნებაყოფლობით ასრულებს სსრ კავშირის კონსტიტუციით და სხვა ნორმატული აქტებით გათვალისწინებულ მოვალეობებს. მართლზომიერი ქცევა, როგორც სამართლის განხორციელების ინდივიდუალური აქტი, სამართლიანად დგას თეორიულ პრობლემათა რიგში. მისი გადაჭრა საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ სახალხო მეურნეობის და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწესრიგების შედეგები, დავსახოთ სამართლებრივი ნორმების რეალიზაციის და ეფექტიანობის გზებიც.

მართლზომიერი ქცევის პრობლემა უკავშირდება სამართალდარღვევას, მართლსაწინააღმდეგო ქცევას, რომლის მიმართ რეაგირებას ახდენენ სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. სახელმწიფო-ადმინისტრაციულ აპარატს აღმზრდელი და სამეურნეო-ორგანიზატორულ ფუნქციის განხორციელებასთან ერთად დიდი როლი აკისრია იძულების სფეროშიც. ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ უწინარეს ყოვლისა, უნდა დავარწმუნოთ, ხოლო შემდეგ ვაიძულოთ“...<sup>19</sup>

დანაშაულის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის საგრძნობ მუშაობას ეწევიან სახალხო რაზმელები, ამხანაგური სასამართლო, ადმინისტრაციული და არასრულწლოვანთა კომისიები და სხვა. ამოცანა ის არის, რომ არც ერთი სამართალდარღვევის ფაქტი არ დარჩეს რეაგირების გარეშე. ბევრ რამეს აკეთებენ სამართალდარღვევის პროფილაქტიკისა და ახალი ადამიანის აღზრდისათვის შინაგან საქმეთა სამინისტრო და სასამართლო. რაც უფრო

<sup>17</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 68-69.

<sup>18</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 65.

<sup>19</sup> В. И. Ленин, Полн. собр. соч., т. 43, с. 54.

ოპერატიულია სამართალდარღვევის ფაქტის მხილება და მასზე რეაგირება, მით უფრო ნაკლები აქვს დამნაშავეს რწმენა დაუსჯელობისა. სასჯელის გარდაუვალობა ამაღლებს სამართლის სოციალურ პრესტიჟსაც. უნერგავს ყველას კანონისადმი პატივისცემის გრძნობას. ვ. ი. ლენინი, მოითხოვდა რა ყველა სამართალდარღვევის ფაქტზე რეაგირებას, აღნიშნავდა: „არც ერთი გაიძვერა (მათ შორის მუშაობისაგან თავის დაძვრენაც) არ უნდა არსებობდეს თავისუფლად, არამედ საპატიმროში იჯდეს ან სასჯელს იხდიდეს უძნელესი სახის იძულებით სამუშაოზე“<sup>20</sup>.

განსაკუთრებით უნდა გაძლიერდეს ბრძოლა მუქთახორობასთან, რომელიც ჩვეულებრივ, სხვა დანაშაულის, მათ შორის ხულიგნობის, ძარცვის და მკვლელობის საფუძველიც ხდება. ბოლო ხანს ქმედითი ზომებია მიღებული მუქთახორობის ასალაგმავად. სახალხო დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შექმნილია მუქთახორობასთან ბრძოლის მუდმივმოქმედი კომისიები, რომელთაც გამოავლინეს, სამუშაოზე მოაწყვეს ასობით მუქთახორა, ხოლო ის პირები, რომლებიც ბოროტად არიდებენ თავს მუშაობას, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად გადასცეს სათანადო ორგანოებს.

კონკრეტულად მუშაობენ აგრეთვე სხვა ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრის მიზნით.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ აღმზრდელობითი და ადმინისტრაციული ღონისძიებების კომბინირებული ზემოქმედებით საბოლოოდ დაგძლიოთ ნეგატიური მოვლენები, განვამტკიცოთ სოციალისტური ცხოვრების წესი, რაც ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად.



## ახალგაზრდობის შრომითი უფლებები და მოვალეობები

ა. გოლოვნილი, ე. მისაპარიანი

საბჭოთა ახალგაზრდობა აქტიურად შრომობს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში. კარგი ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებითა და პროფესიული ცოდნით აღჭურვილი, იგი დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებში.

სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში, მათს აღზრდას კომუნისტური იდეურობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით. „ახალგაზრდები, რომლებიც დღეს 18-25 წლისანი არიან, ხვალ ჩვენი საზოგადოების ბირთვს შეადგენენ. — ითქვა სკკპ XXVI ყრილობაზე. — ხელი შეუწყოს პოლიტიკურად აქტიურ, საქმის მცოდნე, შრომისმოყვარე და მუშაობით გატაცებულ ადამიანთა თაობის ფორმირებას, რომლებიც მუდამ მზად არიან დაიცვან თავიანთი სამშობლო, — ასეთია კომკავშირის მუშაობის უმნიშვნელოვანესი, უმთავრესი ამოცანა“<sup>1</sup>. ახალგაზრდობა საზოგადოების მომავალია, მისი ხვალისდელი დღეა. სწორედ იგი უნდა გახდეს ყველა სოციალური ფუნქციის აქტიური მატარებელი, რათა შეიტანოს თავისი წვლილი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. „თქვენ უნდა იქნეთ კომუნისტური საზოგადოების პირველი მშენებლები იმ მილიონობით მშენებელთა შორის, რომელთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ყოველი ახალგაზრდა კაცი, ყოველი ახალგაზრდა ქალი“ — ამბობდა ვ. ი. ლენინი კომკავშირის III ყრილობაზე<sup>2</sup>.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდობის პრობლემებს, უქმნიან ახალგაზრდობას შრომის სათანადო პირობებს, შრომისა და სწავლის შეთავსების რეალურ შესაძლებლობას.

„ახალგაზრდობა“ სოციალური ცნებაა. საზოგადოების ამ ჯგუფში გაერთიანებულია განსხვავებული ასაკის ადამიანები. ამასთან მეცნიერების სხვადასხვა დარგსა და თეორეტიკოსებს, რომლებიც ახალგაზრდობის პრობლემებს იკვლევენ, არ შეუშუშავებიათ ერთიანი აზრი ახალგაზრდობის ასაკობრივი საზღვრების შესახებ. „ახალგაზრდობის“ ცნებაში ხშირად აერთიანებენ 16-დან 30 წლამდე ასაკის პირებს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. „სკკპ XXVI ყრილობის მასალები“, თბ., 1981, გვ. 103.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 348.

<sup>3</sup> იხ. Боряя В. Молодежь. Методологические проблемы исследования, Л., 1973, с. 65.

შრომის სამართალი ასაკობრივი ნიშნის მიხედვით მუშებსა და მოსამსახურეებს ორ ჯგუფად ყოფს: 16-დან 18 წლამდე (არასრულწლოვანები) და 18 წელზე მეტი ასაკისანი. კანონმდებელი, ითვალისწინებს რა არასრულწლოვანთა ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ თავისებურებებს, ადგენს მათთვის დამატებით გარანტიებსა და შეღავათებს, რომლებიც რეალურად უზრუნველყოფენ და იცავენ ყმაწვილებისა და ქალიშვილების შრომით უფლებებს.

ჩვენი კვლევის საგანია პირველი ასაკობრივი ჯგუფის შრომითი უფლებები და მოვალეობები ე. ი. 16-დან 18 წლამდე ახალგაზრდებისა, რომლებიც სახლხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში შრომობენ.

საბჭოთა შრომის კანონმდებლობით (საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 168-ე მუხლი) დადგენილია, რომ არასრულწლოვანები შრომით ურთიერთობებში უფლებრივად გათანაბრებულნი არიან სრულწლოვანებთან, ხოლო შრომის დაცვის, სამუშაო დროის, შვებულებებისა და შრომის ზოგიერთი სხვა პირობების მხრივ სარგებლობენ განსაკუთრებული შეღავათებით, რაც დადგენილია კანონმდებლობით. ამრიგად, საბჭოთა შრომის კანონმდებლობა აწესრიგებს ყველა მშრომელის, ე. ი. როგორც არასრულწლოვანების, ისე სრულწლოვანი მუშა-მოსამსახურეების შრომით უფლებებს. მაგრამ, ამასთან, გამოყოფილი და სისტემატიზებულია სპეციალური ნორმები, რომლებიც აწესრიგებს მარტოდენ არასრულწლოვანთა შრომას. ეს ნორმები განსაზღვრავს ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღებას, სამუშაო დროსა და დასვენების დროს, სამუშაოდან დათხოვნას და ა. შ.

მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების საერთო პირობებსა და წესს ადგენენ შრომის სამართლის ნორმები. ამასთან მოზარდთა სამუშაოზე მიღებისას დაწესებულია მთელი რიგი სპეციალური პირობები: ჯერ ერთი, განსაზღვრულია შრომის უფლებათუნარიანობის ასაკი. საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 167-ე მუხლისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ანალოგიური მუხლების მიხედვით, მოზარდებს შრომის უფლებათუნარიანობა წარმოეშვებათ 16 წლის ასაკიდან. პროფკავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების თანხმობით სამუშაოზე, როგორც გამონაკლისი, შეიძლება მიიღონ 15 წელს მიღწეული მოზარდი. ამასთან პროფკავშირული ორგანიზაციის თანხმობა არ არის უბრალო ფორმალურობა. ასეთი თანხმობის მიცემამდე პროფკავშირულმა ორგანიზაციამ უნდა გამოაკვილოს ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობა მოზარდის მიერ სკოლის მიტოვება და შრომითი მოწყობის საჭიროება, შეისწავლოს სამედიცინო დასკვნა მისი ჯანმრთელობის შესახებ და ამის საფუძველზე გადაწყვიტოს, დასაშვებია თუ არა მოცემულ საწარმოში ამ მოზარდის მუშაობა. პროფკავშირული ორგანოს ეს თანხმობა უნდა მივიჩნიოთ იმად, რომ მან იკისრა მოვალეობა მოზარდის ბედისათვის.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება (მაგ., გ. ი. ლიტვინოვას მიერ), რომ გამწვავებულ დემოგრაფიულ სიტუაციასთან დაკავშირებით ყველა მოზარდისათვის შრომის უფლებათუნარიანობის ასაკი დადგინდეს 15 წლიდან. ვფიქრობთ, რომ ეს ვერ გამოასწორებს ამ განსაზღვრულ სიტუაციას (სამუშაო ძალის ნაკლებობა) და ხელს შეუწყობს იმას, რომ ძნელად აღსაზრდელი და ნაკლებად დისციპლინირანი მოზარდები, მიეცემათ რა შრომითი მოწყობის შესაძლებლობა, 15 წლის ასაკიდან მიატოვებენ სკოლებს და ჩაებმებიან წარმოებაში ნაადრევად, სწავლადაუსრულებლები. ამ პრობლემას შე-



ორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი მომენტიც აქვს — 14-დან 16 წლამდე ასაკი არის ადამიანის ინტენსიური სოციალიზაციის, მისი ფიზიოლოგიური და მორალური ჩამოყალიბების ასაკი. ბუნებრივია, რომ მიზანშეწონილია ამ ასაკში მოზარდებს მუდმივად მეთვალყურეობდნენ პედაგოგები. ჩვენი აზრით, გაცილებით მიზანშეწონილია საშუალო სკოლებში გაიზარდოს მოსწავლეთა შრომითი სწავლების საათები. საშუალო სკოლის მოსწავლეები საწარმოში უნდა შრომობდნენ მეცნიერულად შემუშავებული შემცირებული საწარმოო გეგმით. ეს, ჯერ ერთი, გაზრდის მათს ინტერესს შრომისადმი, მეორეც, სანამ დაიწყებდნენ დამოუკიდებელ შრომითს საქმიანობას, განუვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას, გამოუმუშავებს შრომითს ჩვევებს. ეს საკითხი უკვე გადაწყდა. სკოლის რეფორმის მეშვეობით.

ყველა საწარმოს არ შეუძლია სამუშაოზე მიიღოს და დაასაქმოს მოზარდი. არასრულწლოვანთა შრომითი უფლებების რეალიზაციის სპეციფიკა ის არის, რომ განსაზღვრულია სამუშაოთა წრე, რომლებიც მათ არ იქნება მათი ჯანმრთელობისათვის. საწარმოების, პროფესიების, სპეციალობებისა და სამუშაოთა ნუსხა, რომლებზეც დაუშვებელია მოზარდთა შრომის გამოყენება, მოიცავს დაახლოებით სამი ათასამდე პროფესიას<sup>4</sup>. ამასთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 4 დეკემბრის დადგენილება „მოზარდთა შრომითი მოწყობის გაუმჯობესების შესახებ“<sup>5</sup> განსაკუთრებით მკაცრად აყენებს საკითხს მოზარდის სამუშაოზე მიღებაზე დაუსაბუთებელი უარის თქმის დაუშვებლობის შესახებ.

არასრულწლოვანები, რომლებიც იწყებენ მუშაობას, შრომითს ხელშეკრულებას დებენ უშუალოდ ადმინისტრაციასთან, თანხმდებიან მასთან პროფესიის სპეციალობისა და კვალიფიკაციის თაობაზე. ამჟამად არც ერთი ახალგაზრდა, რომელიც მიაღწევს 16 წლის ასაკს და იწყებს შრომითს საქმიანობას, უყურადღებოდ არ რჩება კომკავშირის, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების მხრივ. მათი შრომითს საქმიანობაში ჩაბმა ხორციელდება შრომითი მოწყობის კომისიების მიერ. სამრეწველო წარმოებაში ახალგაზრდობის ჩაბმის უზრუნველყოფის მიზნით ყველა საწარმოში, მშენებლობასა და ორგანიზაციაში გათვალისწინებულია სამუშაო ადგილების დაჯავშნა, რომლის ოდენობაც განისაზღვრება დიფერენცირებულად, თითოეული დარგის მიხედვით, საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 0,5-დან 10 პროცენტამდე<sup>6</sup>.

შრომითი მოწყობის კომისიების მიერ სამუშაოთა შესახებ ფართო ინფორმაცია იღებენ მოზარდები და მათი მშობლები ჯერ კიდევ საშუალო სკოლებში, მაგრამ განსაკუთრებით დიდ ორგანიზაციულ მუშაობას ეწევიან ეს კომისიები უმაღლეს და საშუალო სპეციალურ დაწესებულებებში მისაღები გამოცდების დროს. კომისიების წარმომადგენლები მუშაობენ თითოეულ უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში, იმ აბიტურიენტებს, რომლებიც სასწავლებლის გარეთ დარჩნენ, განუმარტავენ მათს შრომითს უფლებებს, დახმარებას უწევენ პროფესიის არჩევაში.

<sup>4</sup> იხ. Бюллетень Государственного комитета Совета Министров СССР по вопросам труда и заработной платы, 1959, № 6; 1963, № 7; 1965, № 3; 1967, № 1.

<sup>5</sup> იხ. СП СССР, 1963, № 21, с. 208, п. 1.

<sup>6</sup> იქვე.

ქ. თბილისის რაიონების მაგალითით არასრულწლოვანთა შრომითი განაწილების საერთო სურათი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ასეთია: (სქემა იხ. 42 გვ-ზე).


როგორც, ამ მონაცემებიდან ჩანს, საშუალო სკოლის 10.013 კურსდამთავრებულიდან უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოეწყო 3.158 კაცი, 1.702-მა კაცმა სწავლა განაგრძო პროფტექნიკურ სასწავლებლებში<sup>7</sup>, სამუშაოზე მოეწყო სულ 3.710 კაცი, ხოლო 1.086 მოზარდის ბედი უცნობია.

შრომითი მოწყობის მთავარი მიზანია, ჯერ ერთი, მოზარდისათვის ცხოვრების საგზურის მიცემა, მეორეც, მის მიერ განსაზღვრული პროფესიის ათვისება, რაც აუცილებელია სახალხო მეურნეობისათვის. ამ მიზნებისათვის არის დაარსებული პროფტექნიკური სასწავლებლები, რომელთა ფრიადოსან კურსდამთავრებულებს უფლება აქვთ ისარგებლონ უპირატესობით უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების დროს.

განსაზღვრულ ცვლილებებს მოითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მიღების ამჟამად მოქმედი წესი, საქმე ის გახლავთ, რომ თითოეულ საწარმოში სტრუქტურა და საშტატო განრიგი წარმოადგენს საუწყებო ნორმატიულ აქტს და აქვს იურიდიული ძალა. კადრების სწორი და რაციონალური გამოყენებისათვის საჭიროა ფაქტობრივი სამუშაო ძალის მუდმივობა, კვალიფიციური მუშებისა და მოსამსახურეების მდგრადი ბირთვი. ჩვეულებრივ ეკონომისტები საწარმოთა კადრებზე მსჯელობისას იყენებენ ტერმინს „სიის შემადგენლობა“, რომელშიც შედის აბსოლუტურად ყველა მუშაკი, გარდა 17 წელზე უფრო ახალგაზრდა პირებისა. ეს გამართლებულია, რამდენადაც „სიის შემადგენლობას“ აქვს არსებითი სამართლებრივი მნიშვნელობა, რამდენადაც გამოსაშვები პროდუქციისა და ხელფასის ფონდის დაგეგმვა პერსპექტიული პერიოდისათვის ხორციელდება საანგარიშო (სამეურნეო) პერიოდში სიის საშუალო შემადგენლობის საფუძველზე. ამასთან გამოსაშვები პროდუქციის გეგმის მოცულობა არ იზრდება წარმოებაში ჩაბმულ მოზარდთა ხარჯზე, სანამ ისინი არ მიაღწევენ 17 წლის ასაკს და არ შეიძენენ კონკრეტულ საწარმოში სპეციალობასა და კვალიფიკაციას.

ფაქტობრივად მდგომარეობა კი ასეთია: როგორც წესი, საშუალო სკოლიდან ზედიზედ სამუშაოდ საწარმოებში, სადაც მათ შეასწავლიან გარკვეულ სპეციალობას, წლის ბოლოსათვის (ხოლო ამ დროისთვის იგი აღწევს 17 წლის ასაკს) იგი შეჰყავთ „სიის შემადგენლობაში“ და საწარმოც მისი შრომის ნაყოფიერების გათვალისწინებით იღებს პროდუქციის გამოშვების გეგმას. ერთი წლის (ზოგჯერ კი უფრო ნაკლები) მუშაობის შემდეგ მოზარდი კვლავ იღებს სწავლის განგრძობის შესაძლებლობას (იწყება მისაღები გამოცდები უმაღლეს და სხვა სასწავლებლებში) და იგი ეთხოვება სამუშაოს გამოცდების ჩასაბარებლად. საწარმო კი ორმაგ ზარალს განიცდის. ჯერ ერთი, ფუჰად დაიკარგა დრო და სახსრები მისი საწარმოო სწავლებისათვის, მეორეც, მას რჩება პროდუქციის გამოშვების გაზრდილი გეგმა, რომლის შესრულების სიმძიმე აწევება სხვა მუშაკებს. თუ საწარმოში ბევრია ასეთი არასრულწლოვანი მუშაკი (ჩვენ კავიცით, რომ ისინი შეიძლება იყვნენ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის

<sup>7</sup> შემდეგში შემოკლებით — პტს.



ქალაქ თბილისში 1982/83 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლაში პირველი კლასის მოძრაობის შედეგები

ც ნ ო ბ ა

კლასი	საშ. სკოლადაძმთ. თ-ბა	შრომითი მოწყ. გეგმა	შრომითი მოწყობილი სულ	მათ შორის					შრომითი მოწყობილი სულ	მშენებლობაზე	სოფლის მეურნ.	სხვადასხვებზე ორგანიზ. ღირს.	ფერდღის სისწ.	საშ. სპეც. სისწ.	პრათეტქნ. სისწ.	ავადმყავთა	გათხოვდა	გასულია ქალაქიდან	გარდაიცვალა	დაზარადა დაღუ.
				მრეწველობაში	მშენებლობაზე	სოფლის მეურნ.	სხვადასხვებზე ორგანიზ. ღირს.	ფერდღის სისწ.												
1	1860	879	674	387	52	7	228	320	209	543	11	20	19	—	—	—	—	19	—	61
2	955	536	449	213	62	5	169	120	133	181	16	21	5	—	—	—	—	5	—	21
3	932	546	169	30	25	7	107	221	58	41	3	—	1	—	—	—	—	1	—	431
4	848	338	321	90	27	—	204	275	37	118	17	2	2	—	—	—	—	2	—	72
5	498	254	96	60	6	1	29	63	61	168	3	7	12	—	—	—	—	12	—	86
6	944	806	298	35	65	4	194	318	48	149	16	3	12	—	—	—	—	12	—	99
7	929	—	356	57	20	—	279	278	54	123	5	—	—	—	—	—	—	—	—	109
8	731	499	474	201	61	—	212	98	85	108	5	5	6	—	—	—	—	6	—	—
9	1256	676	443	221	28	7	187	203	303	133	8	25	32	—	—	—	—	32	—	103
10	1060	665	430	399	—	—	31	182	142	139	16	17	27	—	—	—	—	27	—	106
სულ	10013	5200	3710	1693	346	31	1640	2078	1080	1702	100	100	116	1	—	—	—	116	1	1096

0,5-დან 10 პროცენტამდე, მაშინ, მართლაცა, მძიმე მდგომარეობა იქმნება. ამიტომ მიზანშეწონილია უმაღლეს სასწავლებელში, დღის განყოფილებაზე განმეორებით გამოცდების ჩასაბარებლად დაშვებულ იქნეს აბიტურიენტთა მხოლოდ ის კონტინგენტი, რომელსაც ექნება ორი წლის მუშაობის სტაჟი, რათა საწარმომ მოასწოროს სწავლის გასაგრძელებლად მისაღები გამოცდების ჩაბარებასთან დაკავშირებით გათავისუფლებული მუშაკის შემცვლელი კადრის მომზადება.

მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 170-ე მუხლი), 18 წელს მიუღწეველი ყველა პირი სამუშაოზე მიიღება წინასწარი სამედიცინო შემოწმების შემდეგ. ამასთან ჯანმრთელობის როგორი კარგი მდგომარეობაც უნდა ჰქონდეთ მათ, ეკრძალებათ მიწისქვეშ მუშაობა, ისეთ სამუშაოზე შრომა, რომელიც მოითხოვს დიდ ფიზიკურ დაძაბვას, დაკავშირებულია ორგანიზმზე სამრეწველო შხამებსა და მავნე ნივთიერებების შესაძლო ზემოქმედებასთან, როგორც ზემოთ ითქვა, იმ სამუშაოების პროფესიების, სპეციალობებისა და საწარმოების ნუსხა, რომლებშიც აკრძალულია არასრულწლოვანთა შრომის გამოყენება, მოიცავს დაახლოებით სამი ათასამდე პროფესიასა და სპეციალობას. მოზარდთა შრომის გამოყენების სამართლებრივი რეგულირების სპეციფიკა სწორედ ის არის, რომ განსაზღვრულია იმ სამუშაოთა კონკრეტული წრე, რომლებიც შეიძლება მავნე აღმოჩნდეს მათი ჯანმრთელობისათვის. ადმინისტრაციის ნებისმიერი ბრძანება არასრულწლოვანის იმ სამუშაოზე ან სპეციალობაზე მიღების შესახებ, რომელიც მიითებებოდა ნუსხაში, უკანონოა.

არასრულწლოვანები თავიანთი შრომითი უფლებებით უთანასწორდებიან სრულწლოვანებს, მაგრამ შრომის დაცვის სფეროში, სამუშაო და დასვენების დროისა და შრომის სხვა პირობების მიხედვით მათთვის დაწესებულია მთელი რიგი შეღავათები.

არასრულწლოვანის სამუშაოზე მიღებისას ადმინისტრაცია ვალდებულია განუმარტოს მას თავისი შრომითი უფლებები და მოვალებები, შრომის ანაზღაურების პირობები, გააცნოს მუშაობის წესი, შრომის შინაგანაწესის წესები, ჩაუტაროს დაწვრილებითი ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებზე, სრულ ათვისებამდე შეასწავლოს ჩარხებითა და მანქანებით, მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით სარგებლობა და მხოლოდ ამის შემდეგ დართოს დამოუკიდებელი მუშაობის ნება.

არასრულწლოვანების სხვა სამუშაოზე გადაყვანა ხდება საერთო წესების შესაბამისად, ამასთან ყველა შემთხვევაში, ბრძანების გამოცემამდე, აუცილებელია არასრულწლოვანის წერილობითი ან ზეპირი თანხმობა გადაყვანის თაობაზე. გადაყვანის აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი თავს ვერ ართმევს დაკისრებულ სამუშაოს, ანდა მედიცინის მუშაკთა მოთხოვნით პერიოდული სამედიცინო შემოწმების შედეგების შესაბამისად.

არასრულწლოვანის სამუშაოდან განთავისუფლების წესი მკვეთრად განსხვავდება სრულწლოვანის განთავისუფლების წესისაგან. არასრულწლოვანის მიერ განთავისუფლების შესახებ განცხადების შეტანის ყველა შემთხვევას ადმინისტრაცია სამი დღის ვადაში აცნობს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, რომლის მოვალეობებში შედის იმ მიზეზების გარკვევა, რომლებმაც

განაპირობა არასრულწლოვანის მიერ განცხადების შეტანა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება მისი დატოვებისათვის აღრინდელ სამუშაოზე ანდა სხვა სამუშაოზე მისი მოწყობისათვის. ადმინისტრაციის ინიციატივით არასრულწლოვანი შეიძლება განთავისუფლდეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ამასთან, ამ დროს აუცილებელია როგორც პროფკავშირული კომიტეტის, ისე არასრულწლოვანთა რაიონული კომისიის თანხმობა.

არასრულწლოვანთან შრომის ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს არა მარტო მისი ან ადმინისტრაციის ინიციატივით არამედ მშობლებისა და იმ პირებისა თუ ორგანოების მოთხოვნით, რომლებსაც ეკისრებათ შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი ზედამხედველობის განხორციელება, თუკი მუშაობის გაგრძელება ვნებს არასრულწლოვანის ჯანმრთელობას ანდა არღვევს მის კანონიერ ინტერესებს (საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 178-ე მუხლი). ვფიქრობთ, რომ საჭიროა გარკვეული ცვლილებები ამ მუხლში: შრომის კანონთა კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად 18 წლამდე ახალგაზრდები სრულწლოვანების მიღწევამდე ექვემდებარებიან აუცილებელ სამედიცინო შემოწმებას. შრომის კანონმდებლობა აწესრიგებს არასრულწლოვანთა შრომის დაცვასაც, ასე რომ, პირობები, რომლებიც შეიძლება ვნებდეს არასრულწლოვანის ჯანმრთელობას, ჯერ ერთი, პრაქტიკულად არ წარმოიშობა, მეორეც, თუკი ასეთი მაინც იქნა, იგი აუცილებლად იქნება შემჩნეული მორიგი სამედიცინო შემოწმებისას. ამიტომ 178-ე მუხლიდან მთლიანად უნდა იქნეს ამოღებული ფრაზა: „ემუქრება არასრულწლოვანის ჯანმრთელობას“, ხოლო 170-ე მუხლს დაემატოს შემდეგი ნაწილი: „თუკი შრომის ხელშეკრულების შემდგომი მოქმედება ემუქრება არასრულწლოვანის ჯანმრთელობას, იგი მედიცინის მუშაკთა მოთხოვნით დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შეცვლილი ან გაუქმებული“.

კანონმდებლობა ახალგაზრდობის შრომის შესახებ თვალნათლივ მოწმობს, თუ რამდენად კარგი პირობებია შექმნილი ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობისათვის, მათ მიერ სპეციალობის დაუფლებისათვის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, წარმატებული შრომისა და სრულყოფილი დასვენებისათვის.

# საქართველოში ქალთა დამნაშავეობის დინამიკისა და სტრუქტურის ზოგიერთი საკითხი

ა. გაბიანი

ქალთა დამნაშავეობა ნაკლებად არის შესწავლილი, ამ პრობლემას სულ რამდენიმე ნაშრომი აქვს მიძღვნილი. ამიტომ არის, რომ ქალთა შორის ანტი-საზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლა ნაკლებად ეფექტიანია.

ქალთა ემანსიპაციის პროცესს, მათს სოციალურ აქტიურობას დადებითს შედეგებთან ერთად ახლავს ჩრდილოვანი მხარეებიც, რაც ხშირად თავს იჩენს ისეთი უარყოფითი მოვლენით, როგორც არის ქალთა კრიმინალური აქტიურობის ზრდა.

საქართველოში ამ საკითხების მეცნიერული კვლევა პირველად 70-იანი წლების დასასრულს და 80-იანი წლების დამდეგს განახორციელა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამნაშავეობის სოციოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის კოლექტივმა.

საკმაოდ ვრცელი პროგრამით, კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევის ფარგლებში. შესწავლილ იქნა დამნაშავეობის მდგომარეობა, დინამიკა და სტრუქტურა, გაანალიზდა ხანგრძლივი პერიოდის სტატისტიკური მონაცემები (1965-1981 წლები), დადგინდა ქალებისა და მამაკაცების მიერ ჩადენილ დანაშაულთა ზვედრითი წილი და სხვა. ამან საშუალება მოგვცა განგვესაზღვრა რესპუბლიკაში ქალთა დამნაშავეობის როგორც დინამიკა, ისე სტრუქტურა, აგრეთვე მისი თავისებურებანი.

ქალთა მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული დაიყო სახეებად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის თავების მიხედვით. ცალკეულ სახეებში კი გამოვყავით შედარებით მნიშვნელოვანი, დამახასიათებელი სამართალდარღვევები.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულთა მხოლოდ ექვსი სახე: დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ; დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ; დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ; სამეურნეო დანაშაული; თანამდებობრივი დანაშაული; დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ. სხვა სახის დანაშაულისათვის ქალთა მეტად მცირე რაოდენობა არის გასამართლებული.

1981 წელს ქალებისა და მამაკაცების მიერ ჩადენილი დანაშაულის თანაფარდობა ასეთია: სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული და-

ნაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის ქალია 13 პროცენტი; პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის გასამართლებულთა შორის ქალია 11,6 პროცენტი; მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის გასამართლებულთა შორის ქალები შეადგენენ 6 პროცენტს; სამეურნეო დანაშაულისათვის — 44,8 პროცენტს, თანამდებობრივი დანაშაულისათვის — 25,6 პროცენტს, საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის — 6,9 პროცენტს.

როგორც ვხედავთ, ქალთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა წილი არაერთგვაროვანია. კერძოდ, ძალზე მცირეა პირადი საკუთრების წინააღმდეგ, აგრეთვე საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის მსჯავრდადებულ ქალთა ხვედრითი წილი, მაშინ როდესაც სამეურნეო დანაშაულისათვის გასამართლებულ ქალთა პროცენტი დიდია.

თვით სხვადასხვა სახის დანაშაულთა შორის გამოიკვეთა ცალკეული დანაშაულობანი, რომლებიც განსაკუთრებით დამახასიათებელია ქალებისათვის. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ 95-ე მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცება) გასამართლებულთა შორის ქალები შეადგენენ 30,2 პროცენტს, 93-ე მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების თაღლითობით დატაცება) 20 პროცენტს, 94 მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება-მითვისებით, გაფლანგვით, ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით) — 16,3 პროცენტს.

სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის, რომელიც ძალადობასთან არის დაკავშირებული, მსჯავრდადებულთა ქალთა უმნიშვნელო ნაწილი. საქართველოს სსრ სსკ 96-ე მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ყაჩაღობის გზით დატაცება) მსჯავრდადებულთა შორის ქალია 4 პროცენტი.

მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის, როგორც უკვე ითქვა, ქალების ხვედრითი წილი არც თუ ისე მაღალია (11,6 პროცენტი). მაგრამ საქართველოს სსრ სსკ 122-ე მუხლით მსჯავრდადებულთა შორის ქალთა წილი დაახლოებით 4-ჯერ მაღალია საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით და 45,5 პროცენტს აღწევს. ამასთან ერთად, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-106 მუხლებით (განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, განზრახი მკვლელობა დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, განზრახი მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) მსჯავრდადებულთა შორის ქალების ხვედრითი წილი შეადგენს 4,8 პროცენტს, ხოლო გაუფრთხილებელი მკვლელობისათვის მსჯავრდადებულთა შორის — 3,7 პროცენტს.

მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის ქალთა ყველაზე მაღალ ხვედრით წილს (13,8 პროცენტი) გვაძლევს თაღლითობა (საქართველოს სსრ სსკ 153-ე მუხლი). ყველაზე დაბალს (1,8 პროცენტი) — ძარცვა.

სამეურნეო დანაშაულში ქალთა მონაწილეობის მონაცემები ასეთია: სპეკულაციისათვის მსჯავრდადებულთა შორის ქალია 42,9 პროცენტი, მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუებისათვის — 46,5 პროცენტი, ხოლო შინ გამოხდილი

მაგარი სპირტიანი სასმელების დამზადების ან გასაღებისათვის — 56,5 პროცენტი. საქართველოს სსრ სსკ 173-ე მუხლით გასამართლებული ქალების ხვედრითი წილი ყველაზე დიდია. სხვა არც ერთ დანაშაულში ქალები მამაკაცებზე დიდ პროცენტს არ იძლევიან.

თანამდებობრივი დანაშაული: საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლით (ქრთამის აღება) მსჯავრდადებულთა შორის ქალები შეადგენენ 10 პროცენტს ხოლო 189<sup>1</sup>-ე და 190-ე მუხლებით (მექრთამეობაში შუამავლობა და ქრთამის მიცემა) — 32,6 პროცენტს.

საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის ქალების ხვედრითი წილი მერყეობს 1,1 პროცენტიდან 19,1 პროცენტამდე. რაც შეეხება ხულიგნობას (საქართველოს სსრ სსკ 228 მუხლის 1 ნაწილი), იგი შეადგენს 3 პროცენტს, II ნაწილით მსჯავრდადებულებში — 6,5 პროცენტს. ხოლო III ნაწილით მსჯავრდადებულებში — 4,8 პროცენტს. ეს კიდევ ერთხელ ნიშნავს, რომ ქალები შედარებით ნაკლებად სჩადიან ძალადობასთან და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან დაკავშირებულ დანაშაულებებს.

ამგვარად, გამოკვლევით დადგინდა არსებითი განსხვავება ქალებისა და მამაკაცების მონაწილეობისა ამა თუ იმ სახის დანაშაულში. კერძოდ, ქალების ხვედრითი წილი დიდია ისეთ დანაშაულებრივ ქმედობებში, რომლებიც ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება და არ არის დაკავშირებული ძალადობასთან. ქალები ნაკლებად მონაწილეობენ აგრეთვე განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქონებრივ დანაშაულში და პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ მძიმე დანაშაულში.

შესწავლილ იქნა ქალთა დამნაშავეობის დინამიკაც საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე (1965-1981 წწ.) იმ თვალსაზრისით, თუ როგორი იყო მათი ხვედრითი წილი სხვადასხვა დანაშაულში განხილული პერიოდის ყოველ წელს. ქვემოთ მოცემულია მასალის შედარებითი ანალიზი ამ პერიოდის პირველი და ბოლო წლის მიხედვით.

ამ დინამიკის უფრო დაწვრილებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ ზრდის ტენდენცია არაერთგვაროვნად ვლინდება სხვადასხვა სახის დანაშაულში, ხოლო ზოგიერთ დანაშაულში ქალთა ხვედრითი წილი შემცირებულია. მაგალითად, სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენისათვის მსჯავრდადებულ ქალთა ხვედრითი წილი 1965 წელს შეადგენდა 7,6 პროცენტს, 1981 წლისათვის — 13 პროცენტს. ეს ზრდა ძირითადად მოხდა ზოგიერთი დანაშაულის ხარჯზე. თუ 1965 წელს საქართველოს სსრ სსკ 94-ე მუხლით (სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ქონების გატაცება მითვისებით, გაფლანგვით ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით) მსჯავრდადებულთა შორის ქალები შეადგენდნენ 9,7 პროცენტს, 1981 წელს მან უკვე 16,3 პროცენტი შეადგინა.

ამასთან ერთად, ქალთა დანაშაულის ხვედრითი წილი ერთგვარად შემ-





ცირდა პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში (13,9 პროცენტიდან 1965 წელს 11,6 პროცენტამდე 1981 წელს). შემცირდა ქალების რიცხვი 7,5 პროცენტიდან 6 პროცენტამდე მოქალაქეთა პირადი ქონების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის. განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა ქალების მონაწილეობა მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობაში. 1965 წელს ამ დანაშაულისათვის მსჯავრდადებულებს შორის ქალები შეადგენენ 9,4 პროცენტს, 1981 წელს კი 6,9 პროცენტს.

ქალების ხვედრითი წილის მკვეთრი ზრდა შეიმჩნევა სამეურნეო და თანამდებობრივ დანაშაულში. კერძოდ, თუ სამეურნეო დანაშაულისათვის მსჯავრდადებულებს შორის ქალებმა 1965 წელს შეადგინეს 26,6 პროცენტი, 1981 წლისათვის მან 44,8 პროცენტს მიაღწია. ზრდა ძირითადად მოხდა ისეთ დანაშაულთა ხარჯზე, როგორიც არის სპეკულაცია (საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლი) და მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუება (საქართველოს სსრ სსკ 169-ე მუხლი). სპეკულაციისათვის მსჯავრდადებულთა შორის ქალები 1965 წელს შეადგენდნენ 25,9 პროცენტს, 1981 წელს კი — 42,9 პროცენტს, მყიდველთა და დამკვეთთა მოტყუებისათვის შესაბამისად 28,4 პროცენტს და 46,5 პროცენტს.

გაიზარდა აგრეთვე ქალების ხვედრითი წილი თანამდებობრივი დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის (13,7 პროცენტიდან 1965 წელს 25,6 პროცენტამდე 1981 წელს). ეს ძირითადად მოხდა ცალკე აღებული რამდენიმე დანაშაულის ხარჯზე. სახელდობრ, ქრთამის აღებისათვის, საქართველოს სსრ სსკ 189-ე მუხლით. მსჯავრდებულთა შორის ქალებმა 1965 წელს შეადგინეს 4,8 პროცენტი, ხოლო 1981 წელს — 10 პროცენტი. თითქმის ორჯერ გაიზარდა ქალების ხვედრითი წილი ერთად აღებული საქართველოს სსრ სსკ 186-ე, 187-ე, 188-ე და 191-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდადებულთა შორის. ეს მაჩვენებლები 1965 წელს შეადგენდა 13,9 პროცენტს, ხოლო 1981 წელს — 26,6 პროცენტს.

საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში მსჯავრდადებული ქალების წილი უმნიშვნელოდ შეიცვალა (1965 წ. — 4,6 პროცენტი, 1981 წ. — 6,9 პროცენტი). საგრძობლად არის შემცირებული მსჯავრდადებულ ქალთა რაოდენობა საქართველოს სსრ სსკ 234-ე მუხლით (მაწანწალობა და მათხოვრობა) თუ ეს მაჩვენებლები 1965 წელს შეადგენდა 39,8 პროცენტს, 1981 წელს იგი 19,1 პროცენტს არ აღემატებოდა.

შესწავლილ იქნა განხილული პერიოდის ყველა წლისათვის ქალთა დანაშაულების სტრუქტურა. ჩვენთვის საბაზო, 1981 წელს დანაშაულთა სახეების მიხედვით მსჯავრდადებული ქალები შემდეგნაირად განაწილდნენ: სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — 12 პროცენტი, პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — 8,6 პროცენტი, მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული — 8 პროცენტი, სამეურნეო დანაშაული — 45,2 პროცენტი, თანამდებობრივი დანაშაული — 10,9 პროცენტი, საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინა-

აღმდეგ მიმართული დანაშაული — 14,5 პროცენტი, სხვა დანაშაული — 0,8 პროცენტი.

1965 წელს ყველა მსჯავრდადებული ქალიდან სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის მსჯავრი დაედო 11,7 პროცენტს, პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის — 34,5 პროცენტს, მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის — 8,2 პროცენტს, სამეურნეო დანაშაულისათვის — 21,1 პროცენტს, თანამდებობრივი დანაშაულისათვის — 11,6 პროცენტს, საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის — 12,6 პროცენტს, სხვა დანაშაულისათვის — 0,3 პროცენტს.

ეს მოწმობს, რომ განვლილი პერიოდის მანძილზე ქალთა დამნაშავეობის სტრუქტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა, რაც უპირველესად იმით გამოიხატა, რომ გაიზარდა იმ ქალთა ზვედრითი წილი, რომელთაც ჩაიდინეს არაძალადობითი ანგარებითი დანაშაული, თანაც ყველაზე დიდი ზრდა მოგვცა სამეურნეო დანაშაულმა. ამასთან ერთად, მნიშვნელოვნად შემცირდა ზოგიერთი სახის დანაშაულის ზვედრითი წილი ქალთა დამნაშავეობის სტრუქტურაში. მაგალითად, თითქმის 4-ჯერ შემცირდა პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რომლებიც ქალებმა ჩაიდინეს.

ეს მონაცემები საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქალთა დამნაშავეობის ერთგვარი ზრდა, რაც უკანასკნელ წლებში ხდება, შეიძლება მართვადი გახდეს, თუ ქალთა დამნაშავეობის პროფილაქტიკის ღონისძიებები მყარ პეცნიერულ საწყისებზე აიგება.

ამას გარდა, ქალთა დამნაშავეობის მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულობანი ხასიათდება არა მარტო ნაკლები საზოგადოებრივი საშიშროებით, არამედ, ამასთან ერთად, ისინი სოციალურად და ზნეობრივად ნაკლებად არიან დეგრადირებულები, ვიდრე მამაკაცები. ამის საფუძველზე შესაძლებელია სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპებზე დაყრდნობით უფრო ფართოდ გამოვიყენოთ მათ მიმართ ზემოქმედების ისეთი ზომები, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, აგრეთვე საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები. ეს არა მარტო არ ეწინააღმდეგება, არამედ სავსებით შეესაბამება საბჭოთა სისხლის-სამართლებრივი სასჯელის პოლიტიკის პრინციპებს.

## შრომითი კოლექტივის როლი სსსრ-ის პარტიაში

შ. კუბიძე,

თბილისის „ცხიმკომბინატის“ დირექტორი

სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფის პირობებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ თითოეული მშრომელი და თანამდებობის პირი პირნათლად ასრულებდეს თავის მოვალეობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებოდეს კონსტიტუციით გარანტირებულ მშრომელთა უფლებების რეალიზაციას.

საკვ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივლისის პლენუმზე ხაზგასმით ითქვა, რომ პარტიის ახალ პროგრამაში დიდი ადგილი დაეთმო საწარმოთა მართვაში დემოკრატიული საწყისების განვითარებას და კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ ამ გზაზე პირველი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

საწარმოს მართვის ახალი ფორმები შრომითი კოლექტივის მონაწილეობით მოითხოვს მუშაობის სტილის სრულყოფას, ინიციატივას, გაბედულებასაც და ნამდვილ მუშურ გერგილიანობასაც, საბოლოო შედეგისათვის კოლექტივის ყველა წევრის პასუხისმგებლობის გაზრდას. ცნობილია, რომ საზოგადოების მთავარი საწარმოო ძალა ადამიანია. მისი საქმიანობა, შრომისადმი ნოვატორული, შემოქმედებითი მიდგომა უზრუნველყოფს მთელი საწარმოს გამართულ მუშაობას, ახალი რეზერვების გამოვლენას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

შრომითი კოლექტივის შესახებ ახალი კანონის მიღების შემდეგ საწარმოს დირექციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თითოეული მუშის უპირველეს ამოცანად და ღირსების საქმედ იქცა შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცება. დისციპლინა და წესრიგი ხომ სოციალისტური დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია, შრომის ნაყოფიერების გაზრდის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა. დისციპლინის საკითხი შეუძლებელი იყო გადაწყვეტილიყო შრომითი კოლექტივების ყველა წევრის მონაწილეობის გარეშე. ბოლო ხანს ამის წყალობით კომბინატში მკვეთრად შემცირდა სამუშაოზე დაგვიანება, გაცდენა, კადრების დენადობა. საწარმოს დირექციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი მეცადინეობით მთლიანად დაძლიეთ ნეგატიური მოვლენები, რომლებიც წარსულში გვქონდა.

ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ შრომითი კოლექტივის უფლებების გაფართოება საწარმოს მართვაში კომბინატის განვითარების, მისი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მუდმივმოქმედი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს შრომისად-

მი კომუნისტური დამოკიდებულების ჩანერგვას, უვითარებს მუშებს იმის გრძობას, რომ ისინი არიან საწარმოს ნამდვილი ბატონ-პატრონნი.

შრომითი კოლექტივის კანონის შესაბამისად საწარმოს ხელმძღვანელობას ახორციელებს საერთო კრება. მანამდე კი საწარმოო საკითხების გადაწყვეტას ჩვენ ვიწყებთ უშუალოდ ბრიგადებიდან, რგოლებიდან, ვხვდებით და ვესაუბრებით თითოეულ მუშას, რათა კოლექტივის ყველა წევრი იცნობდეს შექმნილ მდგომარეობას და დაინტერესებული იყოს საერთო საწარმოო პრობლემების გადაწყვეტით. ბევრი წინათ გადაუჭრელი ან ძნელად გადასაჭრელი საკითხი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერით ახლა ოპერატიულად წყდება და შემდეგ აუცილებლად დასამტკიცებლად წარედგინება საერთო კრებას. ამასთან მხედველობაში ვიღებთ, რომ კომბინატის პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში შრომითი კოლექტივის წევრები არიან გაერთიანებული და ამდენად ისინი ყველა მუშის აზრს გამოხატავენ.

ახალი კანონის მიღების შემდეგ განსაკუთრებით აქტუალური მნიშვნელობა აქვს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში საწარმოს პარტიული ორგანიზაციის როლის ამაღლებას. თვისებრივად იცვლება აგრეთვე პროპაგანდისტების და ავიატორების ფუნქციები. ჩვენ ვზრუნავთ პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ფორმების შემდგომი სრულყოფისათვის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალი სასწავლო წლიდან სკოლებისა და სემინარების მსმენელთა ჯგუფები დავაკომპლექტოთ საწარმოო პრინციპის მიხედვით, კერძოდ სწავლების ამ ფორმებში გავაერთიანოთ ბრიგადული იჯარის მეოდიით მომუშავე მუშები.

კომბინატის სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფი, რომელშიც 19 კაცია გაერთიანებული, ყოველ ღონეს ხმარობს სოციალისტური საკუთრების დაცვის განსამტკიცებლად, შეუთრეგებლად იბრძვის წვრილმან დატაცებათა წინააღმდეგ და ზრუნავს იმისათვის, რომ საწარმოს ყველა უბანზე იყოს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი. ამ მიზნით ადგილებზე ჯგუფი ხშირად აწყობს ხოლმე რეიდებსა და მიზნობრივ მოულოდნელ შემოწმებას. გამოვლენილი დარღვევები ფართო მსჯელობისა და რეაგირების საფუძველი ხდება კომბინატის მთელი კოლექტივისათვის. დარღვევების ჩამდენ პირთა საქმეებს სისტემატურად განიხილავს ამხანაგური სასამართლო. აღნიშნული ღონისძიებანი ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკას.

ახალი კანონის მიღების შემდეგ საწარმოში უფრო მეტი ყურადღება ექცევა ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, განვითარებულ საწარმოო ურთიერთობათა გავალისწინებით შრომით კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესებას. ვითვალისწინებთ, რომ სოციალისტური შეჯიბრება წარმოადგენს საწარმოს მართვაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმის ყველაზე ეფექტიან ფორმას, კოლექტივის წინაშე მდგომი სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტის საიმედო საშუალებას.

კომბინატში, პირველად ჩვენს რესპუბლიკაში, განხორციელდა და დაინერგა ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა. ამან ხელი შეუწყო შრომის პირობების გაუმჯობესებას და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას. რამდენიმე წლის წინათ საცდელი წესით დაიწყო საწარმოში უდეფექტო შრომის სისტემა, რომლის განხორციელებაშიც ჩაება ყველა მუშა, სამსახური და

ქვეგანაყოფი, თითოეული ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე. შემოღებულ იქნა უდევექტო შრომისათვის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების მატერიალური სტიმულირება ხარისხის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

ამ სისტემის დანერგვამ ხელი შეუწყო გამოსაშვები პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესრულებას, შრომის ეფექტიანობის გაზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

კომბინატის ძირითად და დამხმარე საწარმოებში დაინერგა შრომის ანაზღაურების ბრიგადული ფორმა შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გამოყენებით. ამის შედეგად შრომის ნაყოფიერება 2,7 პროცენტით გაიზარდა.

საწარმოს ყველა მუშაკს აქვს თავისი პირადი წიგნაკი — „სოციალისტური ვალდებულება“, რომელშიც ასახულია მისი პირადი გეგმა მეთერთმეტე ხუთწლედისათვის. საწარმოო დავალება 1981-1985 წლებისათვის, ვალდებულების შესრულება თვეების მიხედვით. მასში აღინიშნება აგრეთვე, თუ როგორ ასრულებს მუშაკი შრომის ნაყოფიერების ზრდის და პროდუქციის ხარისხის ამაღლების დავალებას, როგორ ითვისებს მომიჯნავე პროფესიას, როგორ იმაღლებს წარმოების კულტურას, კვალიფიკაციას, ზოგადი განათლებისა და ტექნიკური ცოდნის დონეს და ა. შ. წიგნაკში შეიტანება საამქროს ან წარმოების უფროსის დახასიათება.

კომბინატის კოლექტივს არაერთხელ გაუმარჯვია სოციალისტურ შეჯიბრებაში რესპუბლიკური, დარგობრივი, საქალაქო და რაიონული მასშტაბით. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ეს წარმატებანი ბოლო ხუთწლედში.

1984 წლის 18 მაისს აღინიშნა თბილისის „ცხიმკომბინატის“ 50 წლისთავი. თუ კომბინატის დაარსებისას, 1934 წელს, გამოშვებული იყო სულ 6.000 ტონა პროდუქცია, 1983 წელს მან შეადგინა 37.000 ტონა, რომლის ღირებულებაა 84 მილიონი მანეთი. დარგში ჩამორჩენილი საწარმოდან „ცხიმკომბინატი“ საკავშირო მასშტაბით მოწინავეთა რიგებში ჩადგა. მიღწეული წარმატებებისათვის საკავშირო გაერთიანების „მარგარინმრეწვის“ კოლექტივებს შორის მას ერთ-ერთ პირველს მიენიჭა კომუნისტური შრომის საწარმოო სახელი.

მაღალი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის და მიღწეული წარმატებებისათვის კომბინატი დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ, აგრეთვე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და 26 კომისრის რაიკომის დროშებით.

წლიდან წლამდე ჩვენი საწარმო იმარჯვებს დარგის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ლებულობს კვების მრეწველობის პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის ფულად პრემიებს.

საწარმოს სრულყოფასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა კომბინატის სოციალური განვითარებს პროცესს. მწყობრში ჩადგა სოციალურ-კულტურული დანიშნულების სრულიად ახალი ობიექტების მეორე რიგი. კულტურულ-მასობრივი ღონისძიებებისათვის კომბინატს აქვს 350 ადგილიანი კლუბი. კვირაში ერთხელ მუშებს უფასოდ ვუჩვენებთ მხატვრულ და სამეცნიერო-პო-

პულარულ კინოფილმებს. შედგენილია კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების გრაფიკი, რომელთა შესრულებისადმი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დაწესებული აქვთ კონტროლი.

კომბინატის მუშებისა და მოსამსახურეების განკარგულებაშია შესანიშნავი 100 ადგილიანი სასადილო. კომბინატის მუშებისათვის კურორტ კიკეთში აშენდა დასვენების ბაზა, რომელსაც ზაფხულის სეზონში ერთდროულად შეუძლია მიიღოს 30 ოჯახი. საწარმოში მომუშავე დედებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად კომბინატში გახსნილია 50 ადგილიანი საბავშვო ბაღი. მუშათა შვილებისათვის აშენდა საცურაო აუზი, სპორტდარბაზი, საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე კი მინიატურული ზოოპარკი.


კომბინატში არის ტექნიკური კაბინეტი და ბიბლიოთეკა, მუშაობს მამაკაცთა და ქალთა საპარაკმახერო, ქიმშენდის და თეთრეულის რეცხვის პუნქტები. სტომატოლოგიური კაბინეტი, ფეხსაცმლის სამკერვალო ატელიე და სხვა. ყოველივე ეს ხელს უწყობს კოლექტივის წევრთა ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებას.

კომბინატში ფუნქციონირებს რესპუბლიკაში ერთადერთი ფსიქოლოგიური განტვირთვის კაბინეტი, რომელიც შესანიშნავად არის მოწყობილი და ეხმარება მუშებს დაღლილობის და ფიზიკური გადატვირთვის დაძლევაში.

კომბინატში არის კარგი სპორტული კომპლექსი, რომელსაც აქვს სპორტული დარბაზი, ჩოგბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ფიზიკური აბანო.

აშენდა ახალგაზრდული ბარი, სადაც ეწყობა საზეიმო ღონისძიებანი. შეხვედრები შრომის ვეტერანებთან, საშეფო სამხედრო ნაწილის მემორებთან და სხვ.

კომბინატის მუშაკები ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ არ შეანელონ შრომის ტემპი, გაზარდონ კომბინატის მაჩვენებლები, წარმატებით შეასრულონ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი. ამ ამოცანის გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის ნორმების დაცვას.



## კლასიკური ნაშრომი პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის შესახებ

### 3. ნაღარეიზმილი

ასი წლის წინათ ციურისში გერმანულ  
ენაზე გამოქვეყნდა ფრიდრიხ ენგელსის ნაშ-  
რომი „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელ-  
მწიფოს წარმოშობა“. მეცნიერული სოცია-  
ლიზმის ეს ერთ-ერთი უმთავრესი თხზულება  
დაწერილია მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან-  
ი წლების დამდეგს მოწინავე ქვეყნების  
მეცნიერთათვის მისაწვდომი ისტორიული მა-  
ხალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

ასი წელი საკმარისია იმისათვის, რომ მეც-  
ნიერული თხზულების შესახებ ისტორიამ გამო-  
იტანოს მიუღღსომელი და ობიექტური მსჯე-  
ღი. ფრ. ენგელსის ნაშრომის ძირითად დებუ-  
ლებებს დღესაც აქვთ მაღალი მეცნიერული  
ღირებულება, ხოლო თვით თხზულება საუ-  
კეთესოა იმ ნაწარმოებთა შორის, რაც კი  
ასი წლის მანძილზე ამ თემაზე დაწერილა.

დიალექტიკის დიდოსტატს, უკვე ნაშ-  
რომის სათაურშივე აქვს მოცემული დებუ-  
ლება, რომ არც ოჯახი, არც კერძო საკუთრება  
და არც სახელმწიფო არ არის მარადიული  
სოციალური კატეგორიები. ოჯახი, კერძო  
საკუთრება და სახელმწიფო ისტორიული კა-  
ტეგორიებია, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავ-  
შირებული სოციალური ინსტიტუტებია, რომ-  
ლებიც საზოგადოების განვითარების განსაზ-  
ღვრულ საფეხურზე წარმოიშვნენ. ღრმა თე-  
ორიულმა მომზადებამ, დიდმა ნიჭმა და ენ-  
ციკლოპედიურმა ცოდნამ, ფრ. ენგელსს  
საშუალება მისცა სწორად გადაეწყვიტა სამი  
უმთავრესი საზოგადოებრივი ინსტიტუტის —  
ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს  
წარმოშობის უღარესად პრობლემური საკითხი.

ფრ. ენგელსის ნაშრომის თვით აგებული-  
ბაც მიგვიჩვენებს მისი ავტორის დიდ გო-  
ნებრივ თვალსაწიერზე. ავტორს თავის თხზუ-  
ლებაში ცალკე თავებად აქვს გამოყოფილი  
შემდეგი საკითხები: 1) კულტურის წინაისტო-  
რიული საფეხურები, 2) ოჯახი, 3) იროკუზუ-

ლი გვარი, 4) ბერძნული გვარი, 5) ათენის სა-  
ხელმწიფოს წარმოშობა, 6) გვარი და სახელ-  
მწიფო რომში, 7) გვარი კელტებსა და გერ-  
მანელებში, 8) გერმანელების სახელმწიფოს  
შექმნა, 9) ბარბაროსობა და ცივილიზაცია.  
ყველა ამ რთულ პრობლემას ავტორი განი-  
ხილავს არა მარტო თავისი დროის მოწინავე  
მეცნიერების დონეზე, არამედ მთელ რიგ  
შემთხვევებში თვით გვევლინება გზის გამკ-  
ვლევადა.

ფრ. ენგელსის ნაშრომის არქიტექტონიკა  
გვიჩვენებს, რომ მასში განხილულია ადამიან-  
თა საზოგადოების ადრეული, პირველყოფილი  
ისტორიის ყველა ის ძირეული საკითხები, რო-  
მლებიც გასული საუკუნის ოთხმოციანი წლე-  
ბის დამდეგს მწვავედ იდგა ისტორიული მეც-  
ნიერების წინაშე.

თავისი თხზულების წერის პროცესში  
ფრიდრიხ ენგელსმა გამოიყენა კარლ მარ-  
ქსის მიერ შედგენილი კონსპექტი ლუის  
მორგანის წიგნისა — „ძველი საზოგადოება“,  
საყურადღებო შენიშვნებითურთ და საჭიროდ  
ჩათვალა აღენიშნა, რომ მისი წიგნი რამდენ-  
ნაღმე ანდერძის შესრულებას წარმოადგენდა.  
თვითონ კარლ მარქსს განზრახული ჰქონდა  
მორგანის გამოკვლევათა შედეგები გადმოეცა  
ისტორიის მატერიალისტური შესწავლის მონა-  
ცემებთან დაკავშირებით და ამ გზით გაერ-  
კვია მათი მნიშვნელობა. ფრ. ენგელსმა მა-  
ღალი შეფასება მისცა მორგანის დამსახურე-  
ბასაც: „მორგანმა ხომ ამერიკაში თავისებუ-  
რად ხელახლა აღმოაჩინა მარქსის მიერ ორ-  
მოცი წლის წინათ აღმოჩენილი მატერიალის-  
ტური გაგება ისტორიისა, და ამ გაგებამ იგი,  
ბარბაროსობისა და ცივილიზაციის შედარე-  
ბისას, მთავარ პუნქტებში იმავე შედეგებამდე  
მიიყვანა, რა შედეგებაც მარქსმა მიიღო“<sup>1</sup>.

ფრიდრიხ ენგელსი, როდესაც „ოჯახის,  
კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმო-

<sup>1</sup> ფრ. ენგელსი, „ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“,  
თბ. მარქსი და ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტომი II, თბ., 1950, გვ. 193.  
შტრ. Fr. Engels Der Ursprung der Familie, des Privat eigentums und des Staats, Berlin,  
1974, S. 7.



შობას“ წერდა, უკვე საქვეყნოდ სახელგანთქმული მკვლევარი იყო. ამ დროს მას სამოცდაოთხი წელი უსრულდებოდა. მაგრამ ასაკისთვის ხელი არ შეუშლია, რათა განეგრძოს წიგნში აღძრულ პრობლემებზე მუშაობა და წიგნის მეოთხე გამოცემაში 1891 წელს შეეტანა დამატებანი და ცვლილებანი. ნაშრომის მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორმა განიხილა პირველყოფილი ოჯახის ისტორიის საკითხები.

ფრ. ენგელსის ნაშრომი მისი გამოქვეყნებდან ერთი წლის შემდეგ ითარგმნა იტალიურ ენაზე (1885), შემდეგ რუმინულ ენაზე (1886), დანიურ ენაზე (1888), მომდევნო წლებში — ფრანგულ ენაზე და ა. შ. რუსული თარგმანი დაიბეჭდა 1894 წელს.

(წიგნმა ავტორს სიცოცხლეშივე უდიდესი პოპულარობა და სახელი მოუტოვა.) ნაშრომის მეოთხე გამოცემის წინასიტყვაობა დაიწერა ლონდონში 1891 წლის ივნისში, მაგრამ თავდაპირველად სტატიის სახით 1891 წელსვე დაიბეჭდა ჟურნალ „ნოი ცაიტ“-ში სათაურით „პირველყოფილი ოჯახის ისტორიისათვის“. ამ შედარებით მცირე მოცულობის სამეცნიერო წერილში, რომელიც შემდეგ ნაშრომის მეოთხე გამოცემას წინასიტყვაობის სახით დაერთო, მოცემულია ოჯახის, ამ უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტის მეცნიერული ისტორია.

წინასიტყვაობაში ფრ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ მისი წიგნის პირველი გამოცემის გამოსვლის შემდეგ შვიდმა წელმა განვლო, და ამ წლების მანძილზე ოჯახის პირველყოფილი ფორმების შესწავლა გადრმავედა. მაშასადამე, აუცილებელი გახდა გულმოდგინე მუშაობა შესწორებათა და დამატებათა შესატანად, შემდეგ ავტორი მიუთითებს:

„ამრიგად, მთელი ტექსტი გულდასმით გადავინჯე და მთელი რიგი დამატებანი შევიტანე, რითაც იმედი მაქვს, მართებულად გათვალისწინებულია მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა. შემდეგ ამ წინასიტყვაობაში მე ვიძლევი ოჯახის ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვას ბახოფენიდან დაწყებული მორგანამდე“<sup>2</sup>

ფრ. ენგელსი მართებულად მიუთითებს, რომ მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების დამდეგამდე ოჯახის ისტორიაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მაშინდელ სამეცნიერო წრეებში გავრცელებული იყო აზრი,

თითქმის ოჯახს საერთოდ არ განეცადოს არავითარი ისტორიული განვითარება. „სულ დიდი-დიდი, რასაც აღარებდნენ, ეს იყო ის, რომ შესაძლოა პირველყოფილ ხანაში უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობის პერიოდი არსებობდაო. რა თქმა უნდა, გარდა ერთცილიანობისა ცნობილი იყო აგრეთვე აღმოსავლური მრავალცილიანობა და ინდურ-ტიბეტური მრავალქმრიანობა; მაგრამ ამ სამი ფორმის ისტორიული თანმიმდევრობით დალაგება შეუძლებელი იყო და ისინი გვევლანებოდნენ ერთიმეორის გვერდით ყოველგვარი ურთიერთკავშირის გარეშე“<sup>3</sup>.

ფრ. ენგელსმა მთურედბლად ჩამოაგლიჯა ნილაბი პირველყოფილი ისტორიის ინგლისურ სკოლას, რომელსაც ნოვისისტური ელფერია გადაჰკრავდა და მიუთითა, რომ ოჯახის ისტორიის შესწავლა იწყება 1861 წლიდან, როდესაც გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა იოჰან-იაკობ ბახოფენის (1815-1887), შვეიცარიელი იურისტისა და ისტორიკოსის, პირველყოფილი საზოგადოებისა და სამართლის მკვლევარის, ბაუნდში რომის სამართლის ისტორიის პროფესორის კაპიტალური ნაშრომი „Das Mutterrecht“ ამ ნაშრომის სახელწოდებას ფრ. ენგელსის წიგნის ქართულ თარგმანებში გადმოსცემენ როგორც „დედის უფლებას“. უმჯობესია იგი ითარგმნოს როგორც „დედის სამართალი“, რადგანაც ბახოფენთან მას სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს. ბახოფენისათვის პირველყოფილი საზოგადოებაში სამართალი არსებობს. ბახოფენის „დას მუტტერრეხტ“ დაახლოებით იმას ნიშნავს, რასაც დღეს მატრიარქატს ვუწოდებთ. მხოლოდ ბახოფენის აზრით, დედის სამართლის ხანაში ქალები ბატონობდნენ მამაკაცებზე“<sup>4</sup>

ბახოფენმა წამოაყენა დებულება, რომ თავდაპირველად ადამიანები ისეთ ვითარებაში ცხოვრობდნენ, რომ მამობის უტყუარი გამოკვეთვა შეუძლებელი იყო და ამიტომ წარმომშობის გარკვევა შეიძლებოდა მხოლოდ დედის ხაზით. ამის გამო ქალებს, როგორც დედებს, როგორც ახალგაზრდა თაობის ერთადერთ უტყუარ მშობლებს, დიდი პატივისცემა და ღირსება ჰქონდათ მინიჭებული, რომელიც, ბახოფენის აზრით, ქალების მამაკაცებზე ბატონობამდე, ე. წ. გინეკოკრატიაში აღწევდა. ამ დროს დედა ფიზიკური ფაქტი იყო, ხოლო მამა უცნობი პირი. შესაძლოა, რომ ჭერ კიდევ

<sup>2</sup> იქვე, გვ. 196.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 197.



არ იყო მოპოვებული ცოდნა, რომ მამაკაცი ქალისთვის აუცილებელია შვილების გასაჩენად.

მატრიარქადან მომდინარე ცნებებისა და შეხედულებების ანალიზში ბახოფენი შეუდარებელი იყო.

მაგალითად, ძველ ებრაელებში მამით ერთ დანთან ძმას შეეძლო დაქორწინება, ხოლო დედით ერთი დის შერთვა სასტიკად იყო აკრძალული. ამგვარად განმარტავს ბახოფენი ესქილეს „ორესტას“, როგორც დაღუპვისკენ დაქანებული მატრიარქატა და გმირულ ეპოქაში აღმავალ და ძლიერაოსილ პატრიარქატს შორის წარმოშობილი ბრძოლის ტრაგიკულ, მაგრამ ისტორიულად მართებულ გამოსახულებას.

ესქილეს თხზულების მიხედვით, აგამემნონის შეუღლის — კლიტემნესტრასა და მისი საყვარლის — ეგისტოსის შეთქმულებამ იმსხვერპლა ტროადის ომიდან დაბრუნებული აგამემნონი. მაგრამ კლიტემნესტრასა და აგამემნონის ვაჟი ორესტი შურს იძიებს მამის მკვლელობისათვის და თავის დამნაშავე დედას კლავს.

დედის მკვლელ ორესტს დაუნდობლად დევნიან მატრიარქატის დემონური დამცველები, შურისმაძიებელი სულები, რომელთა თვალშიც დედის მკვლელობა უდიდესი, საზარელი და გამოუსყიდველი დანაშაულია. მაგრამ უკვე არსებობს სხვა შეხედულებაც. ღმერთი აპოლონი და ქალღმერთი ათენა უკვე ახალი, მამაკაცთა ბატონობაზე, პატრიარქატზე დამყარებული საზოგადოების ფასეულობათა სისტემით ხელმძღვანელობენ და იცავენ ორესტს. საინტერესოა სასამართლოში მხარეთა პაექრობა. ორესტი თავის საქციელს იმით ამართლებს, რომ კლიტემნესტრამ ორმაგი ბორტმოქმედება ჩაიდინა, როცა თავის ქმარს და ამასთანავე ჩემს მამას სიცოცხლე მოუსპო. აქი დედამაც ჩაიდინა ბორტმოქმედება. რა მაინცდამაინც მის დედას, ქმრის მკვლელს მოეყარნენ ერიონები ესოდენ ღმობიერად? — „მითომო, — უპასუხებენ ისინი, — რომ თქვენს დედას თავისი სისხლის ნათესავი არ მოუკლავსო“. ამის შემდეგ ორესტი დუმს და დასაცავ სიტყვას წარმოთქვამს აპოლონი, რომელიც ორ დებულებას ავითარებს, საიდანაც გამომდინარეობს, რომ კლიტემნესტრას

მკვლელობა სამართლიანი საქმეა, რადგან იგუნდა დასჯილიყო ორესტის მამის მუხანათური მოკვლისათვის. მეორე მხრივ კი დამნაშავე დედის მოკვლა ისეთივე მძიმე დანაშაული არ არის, როგორც მამისა, ვინაიდან მამაა ქემარიტი მშობელი, დედა კი მხოლოდ ჩანასახსასაზრდოებსონ.

ამის შემდეგ ქალღმერთი ათენა, როგორც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს თავმჯდომარე, კენჭს აყრევინებს არეოპაგიტებს. ხმები შუაზე იყოფა. თვითონ ქალღმერთი ათენა ხმას აძლევს ორესტის გამართლებას. მაშასადამე, მხოლოდ ათენას ხმის მეოხებით ამართლებენ ორესტს ნაფიცი მსაჯულები. ამრიგად, პატრიარქატმა გაიმარჯვა მატრიარქატზე — მამაკაცთა სამართალმა „დედაკაცთა სამართალზე“. აპოლონი და ათენა, „უმცროსი თაობის“ ღმერთები ამარცხებენ ერიონებს, უფროსი თაობის წარმომადგენლებს. ბოლოს და ბოლოს, ერიონები იძულებული ხდებიან ემსახურონ პატრიარქალურ საწყისებზე მოწყობილ საზოგადოებას.

ამრიგად, ესქილეს მიხედვით ორესტი მხოლოდ ღმერთთა ჩარევის მიხედვით არის გამართლებული. ღმერთებს შეებრალოთ უბედური ადამიანი, რომელსაც „სისხლის აღების წესის მიხედვით უნდა შური ეძია. ამავე დროს იძულებული გახდა „თავისი სურვილის წინააღმდეგ ბოროტმოქმედება ჩაედინა და საკუთარი დედა მოეკლა. შურისმაძიების წესი და სისხლის ხმა ერთიმეორეს შეეჭანა და, ვინაიდან ჩვეულებრივი კანონი ამ შემთხვევაში საქმეს არ შეეღობა, რაც ხმების შუაზე გაუფიქროვად დადასტურდა, ღვთაება დაეხმარა ამ უნებლიე ბოროტმოქმედს“.

ქალღმერთი ათენას ზეგავლენით ერიონები შეურიგდებიან მომხდარ ფაქტს და სამაგიეროდ ათენაში შესაფერ სალოცავს დებულობენ.

ესქილეს პიესის დედააზრის „სრულიად მართებული განმარტება, რასაც ბახოფენთან ვხვდებით, ფრ. ენგელსს მიაჩნია „ერთ-ერთ უმშვენიერეს და საუკეთესო ადგილად“.

ესქილეს თხზულების დედააზრთან დაკავშირებით შეიძლება მოვიგონოთ ცნობილი მეცნიერის გრ. წერეთლის მოხაზრებაც. რომლის მიხედვითაც, ესქილეს „პრომეთეოსსა“ და „ევმენიდებში“ გატარებულია დებულება, რომ

4 იქვე, გვ. 197. რიგ პირველყოფილ ტომებში გავრცელებული იყო შეხედულება, რომ შვილები ჩნდება ქალების ღმერთებთან კავშირის შედეგად.

5 იხ. პროფ. გრ. წერეთელი, „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტომი II, ტრაგედია ტვილისი, 1935, გვ. 105-106.

6 გრ. წერეთელი, ციტ. თხზულება, გვ. 106.



კონფლიქტი, დავა ახალ, შედარებით ზუმა-  
ნურ ღვთაება აპოლონსა და ძველ ღმერთებს  
— ერთინებს შორის ძნელი გადასაწყვეტია,  
ეს აღამიანს არ ძალუძს. იგი ისევ ღვთაებამ,  
ამ შემთხვევაში ათენამ უნდა მოაგვაროს, რო-  
მელიც აერთებს ახალსა და ძველს. „ხოლო  
აღამიანებისათვის აქამდე უცნობი ჭეშმარი-  
ტების (პატრიარქალური პრინციპების გ. ნ.)  
დამტკვლად გამოდის თვით ქალღმერთის მი-  
ერ დაარსებული სამსჯავრო, სახელდობრ,  
არეოპაგი. ავტორის აზრით, ესქილემ „მხო-  
ლოდ ეჭვი გამოთქვა იმის შესახებ, ყოველ-  
თვის დასაშვებია თუ არა სისხლის აღება“,  
მაგრამ საჭირობორტო საკითხზე პასუხის გა-  
ცემა ვერ მოახერხა. საზოგადოების განვითარ-  
ების პროგრესულმა ტენდენციებმა საბერ-  
ძნთში მოგვიანებით განსაზღვრა სისხლის  
აღების ჩვეულების უარყოფა და მამაკაცე-  
ბის ეკონომიურ ბატონობაზე დამყარებული სა-  
მართლის დამკვიდრება.

დღეს ერთი აღამიანის ძალ-ღონეს თითქმის  
აღმატება წაიკითხოს და შეისწავლოს ყვე-  
ლაფერი ის, რაც ოჯახის ისტორიის შესახებ  
არის დაწერილი, მაგრამ ამ ვითარებაშიც ბა-  
ზოფენის, მორგანის და ფრ. ენგელსის ნაშ-  
რობები საეტაპო მნიშვნელობისაა.

ფრიდრიხ ენგელსს უკრიტიკოდ არ მიუღია  
პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის  
მორგანისეული პერიოდიზაცია. აქვე უნდა  
ითქვას, რომ მორგანი ცდებოდა ისტორიაში  
აღამიანთა რასების როლის შეფასების საკით-  
ხშიც. ენგელსმა პირველყოფილი ანუ წინა-  
ლასობრივი საზოგადოების ისტორიაში გა-  
მყოფ ორი მთავარი ეტაპი: შემგროვებლობი-  
თი და მწარმოებლური მეურნეობისა. შემგ-  
როვებლობითი მეურნეობრიობის ხანაში აღა-  
მიანები უმთავრესად მზამზარეული ბუნებ-  
რივი პროდუქტების მითვისებით კმაყოფილ-  
დებოდნენ. მწარმოებლური მეურნეობის ხა-  
ნა კი გულისხმობდა მესაქონლეობასა და მი-  
წათმოქმედებაზე გადასვლას, რაც აღამიანთა  
საზოგადოების ისტორიაში რევოლუციას  
მოასწავებდა, რომელსაც უახლოეს ისტო-  
რიულ ლტერატურაში ზოგჯერ „ნეოლითის  
ხანის რევოლუციასაც“ უწოდებენ (ვირ გორ-  
დონ ჩაილდი).

მონადირეთა, მეთევზეთა და ბუნების მზა-  
მზარეული პროდუქტების მიმოთვისებელ თე-  
მებს, — აღნიშნავს ქ. მელლარტი, — რა ხელ-  
საყრელ ბუნებრივ გარემოშიაც უნდა ეცხოვ-  
რათ, მათი საწარმოო შესაძლებლობანი მაინც

მკვეთრად შეზღუდული იქნებოდა. ამიტომაც  
ისინი შედარებით სუსტად მრავლდებოდნენ.  
ფრ. ენგელსს აღნიშნული აქვს, რომ მარტო-  
ოდენ მონადირე ხალხები, როგორც ისინი წიგ-  
ნებშია აღწერილი არასოდეს არ არსებობდნენ.  
ხალხებში, სადაც კვების წყაროები მუდმი-  
ვად უზრუნველყოფილი არ იყო, ველურო-  
ბის ხანაში ჩნდებოდა კაცობრიობა.

და როდესაც აღამიანებმა ბარბაროსობის  
ეპოქაში შეძლეს ცხოველების მოშინაურება,  
მოშენება და მცენარეების გაშენება, ამით  
უკვე მნიშვნელოვანწილად, თუ საბოლოოდ  
არა, კვების მუდმივი წყაროების პრობლემაც  
გააღწევიტეს.


ისტორიის მეცნიერებისათვის ძვირფასია  
ფრ. ენგელსის წინაშეობა, რომ აღმოსავლეთ  
ნახევარსფეროში ბარბაროსობის შუა საფე-  
ხურზე დაიწყო რძისა და ხორცის მომცემი  
ცხოველების მოშინაურებით, მაშინ როდესაც  
მცენარეთა კულტურა, როგორც ეტყობა, ამ  
პერიოდში აქ ჯერ კიდევ დიდხანს უცნობი  
იყო. „ვერობედ და აზიელ არიელებს ში-  
ნაურის პირუტყვისათვის ჯერ კიდევ საერთო  
სახელები აქვთ, კულტურული მცენარეებისათ-  
ვის კი — თითქმის სრულიად არა“<sup>7</sup>. მასხა-  
დამე, გეროპეღია და აზიელი არიელები უფ-  
რო ადრე დაუფლდნენ ცხოველების მოშინ-  
აურება-მოშენებას, ვიდრე მემცენარეობას.  
ხორციისა და რძის სიუხვემ ხელი შეუწყო  
არიელ და სემიტ მეჩაგებებს წარმატებებისათ-  
ვის მიეღწიათ ცივილიზაციის სარბიელყო.  
მარტოოდენ მცენარეული საკვებით ამის მიღ-  
წევა შეუძლებელი იქნებოდა. „მართლაც,  
ახალი მექსიკის პუებლო-ინდიელებს, რომელ-  
ნიც იძულებული არიან თითქმის მარტო მცე-  
ნარეულით იკვებონ, უფრო პატარა ტვინი  
აქვთ, ვიდრე ბარბაროსობის დაბალ საფეხურ-  
ზე მყოფ ინდიელებს, რომელნიც შეტწილად  
ხორციითა და თევზით საზრდოობენ“<sup>8</sup>.

ფრიდრიხ ენგელსი ბევრ მასალას საბერძ-  
ნეთის, რომის, გერმანელების და სხვა ხალ-  
ხების შესახებ, რომლებიც დღეს გავარჩნია,  
არ იცნობდა. წიგნის პირველი გამოცემის  
დროს ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი  
არისტოტელეს თხზულება „ათენელთა სა-  
ხელმწიფო წყობილება“ და ა. შ., მაგრამ მისი  
დასკვნები მაინც მეტად საყურადღებო და  
ფუძემდებლურია.

ასეთია მისი მოსაზრებანი ჰომეროსის სა-  
ზოგადოების რაობის, ათენის სახელმწიფოს  
წარმოშობის, ბერძნული და რომაული გვა-

7 ფრ. ენგელსი, ციტ. თხზ., გვ. 215.

8 იქვე, გვ. 216.



რის, რომის სამართლის შესახებ. ფრ. ენგელსის აზრით, ისტორიულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში მოქალაქეთათვის მინიჭებული უფლებები შეფარდებული იყო მათს ქონებრივ მდგომარეობასთან და ამით პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სახელმწიფო ის ორგანიზაციაა, რომელიც იცავს მქონებელთა კლასს უქონელთა კლასისაგან.

ამისგან განსხვავებით გვაროვნულ საზოგადოებაში ადამიანთა უმდაბლესი ინსტიტუტები და ვნებანი — სიხარბე, მომხვეჭელობა და ა. შ. არ არის ამოძრავებელი. ოჯახი, გვარი, ტომი ადამიანს თავისუფლების, თანასწორობისა და ვაჟკაცობის პატივისცემას უნერგავდა.

ჰომეროსის გმირები თავის პატიოსან სახელსა და ვაჟკაცობას გაცილებით უფრო მალა აყენებენ, ვიდრე სიცოცხლეს და კეთილდღეობას.

რაც უფრო დიდი იყო ჰომეროსის გმირის ვაჟკაცობა, მით უფრო მეტად იყო პატივცემული იგი გვარში, ტომში, ხალხში — აქვეყლებში. ღირსების მასშტაბი, ღირსების საზომი აქ თავისუფალი ადამიანების უანგარო და ობიექტური შეფასებაა, საზოგადოებრივი აზრია, და არა ფული ან სხვა ქონება.

ჰომეროსის გმირთა თვალში სიმაშაცის, სიცოცხლისა და ნიჭის ღვთაებრივი ნაპერწკლები ბრწყინავს.

ახსიათებდა რა ჰომეროსის საზოგადოებას, ერთი გერმანელი მკვლევარი წერდა: „ჰომეროსის სიდიდის საიდუმლოება გარკვეულ ისტორიულ საფუძველზეა დაყრდნობილი. ის (ჰომეროსი) დგას ჩამოყალიბების პროცესში მყოფ დიდ მომავალსა და ჯერ კიდევ ცოცხალ დიდ წარსულს შორის. დასასრულიც და დასაწყისიც თავმოყრილია ერთში; იგი წარმოგვიდგენს ძველ გმირთა სახეებს გასაოცარი თავყვანისცემით და ამასთანავე მათში დებს ახალ მნიშვნელობას, გაახალგაზრდავების გზაზე მდგარი ხალხის მომავლის იდელებს შესაბამისს“<sup>9</sup>.

ფრიდრიხ ენგელსისათვისაც, რომელიც ვ. შადევალდტზე აღრე წერდა, ჰომეროსის საზოგადოება ბარბაროსობის უმაღლესი საფეხურია და, მაშასადამე, კლასობრივ, ცივილიზებული საზოგადოების წინა დღეცაა; აქაც დასაწყისი და დასასრული ერთში იყრის თავს.

ბარბაროსობა იმ სახით, როგორცადაც მას ჰომეროსის ეპოქის ბერძნებში ვხვდებით, გარ-

კვეულად მეორეული მოვლენა იყო, შემოდებული და გადმონერგული დორიელი დამპყრობელი ტომების მიერ, რომლებიც თავიანთ პირველსამშობლოში ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ.

მართალია, ჰომეროსის საზოგადოებაში ადამიანთა მონური და თავისუფალი შრომა ისე მკვეთრად არ უპირისპირდებოდა ერთმანეთს, როგორც, ვთქვათ, ძვ. წ. V-IV საუკუნეებში, მაგრამ „ოდიესაში“ ჩანს შეხედულება, რომ „მონა საქმეს არ დაგიდევს. თუ ბატონი იმას შაკცრად არ უბრძანებს იმუშაოს, ის საქმეს ხელს არ მოჰკიდებს. ზევსმა მონის მწარე ზვედრი თუ არგუნა ადამიანს, მაშინ იგი გულადობას სანახევროდ მოსპობს მასში“. შესაძლოა აქ კრეტა-მიკენის ხანის, დორიელების გადმოსახლებაამდელი ეპოქის ტრადიციის გამოხატულებასთან გვექონდეს საქმე.

დაპურობის შედეგად სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გაცილებით დაბალ საფეხურზე მდგომმა დორიელებმა უფრო განვითარებულ დაპურობილებს თავს მოახვიეს თავისი სოციალური ყოფა, მაგრამ უფრო მაღალკულტურული დაპურობილების ტრადიციამ და ყოფამ მაინც შეადგინა ჰომეროსის საზოგადოებაში. მიუხედავად ამისა, ასე თუ ისე სოციალური რეგრესი მაინც ფაქტი იყო. ეს გარემოება არც არის გასაკვირი. კ. მარქსს, მაგალითად, აღნიშნული აქვს, რომ „...კოლექტიური საკუთრება, როგორც ისინი გვხვდება, მაგალითად, პერუსში, ცხადია, მეორადი ფორმაა, შემოდებული და გადმონერგული დამპყრობელი ტომების მიერ, რომელიც თავიანთ სამშობლოში იცნობდნენ კოლექტიურ საკუთრებას და კოლექტიურ წარმოებას მათი იმ ძველებური მარტივი ფორმით, რა ფორმითაც იგი ინდოეთსა და სლავებში გვხვდება“<sup>10</sup>.

დაახლოებით ანალოგიურ, მსგავს მოვლენას ვხვდებით, კელტებთან. მაგალითად, უელსში კოლექტიური წარმოება და კოლექტიური საკუთრება წარმოადგენდა მეორეულ ფორმას, რომელიც შემოდებული იყო დამპყრობელთა მიერ. ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ ინგლისში ნორმან დამპყრობელთა მიერ შემოტანილ-შემოდებული ფეოდალიზმი ფორმით უფრო დამთავრებული იყო, ვიდრე ბუნებრივი გზით წარმოშობილი ფეოდალიზმი საფრანგეთში.

ყველაფერი ის, რაც ჩვენ ვიცით ჰომეროსამდელი საბერძნეთის ე. წ. მიკენური ეპო-

<sup>9</sup> იხ. „მომომხილველი“, 6-9, 1972, გვ. 323-324.

<sup>10</sup> კ. მარქსი, „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები“, თბ., 1952, გვ. 32-33.

ქის შესახებ, ფრიდრიხ ენგელსს არ შეიძლება სცოდნოდ. მიუხედავად ამისა, მის მახვილ თვალს არ გამოარჩენია ის გარემოება, რომ საერთოდ ოჯახის „ახალ ფორმას მთელი თავისი სისასტიკით ჩვენ ვხვდებით ბერძნებში. მაშინ როდესაც ქალღმერთების მდგომარეობა მითოლოგიაში — როგორც ამას მარქსიც აღნიშნავს — უფრო აღრინდელ პერიოდს გვიხატავს, როცა დედაკაცებს ჭირ კიდევ უფრო თავისუფალი, უფრო პატივსაცემი მდგომარეობა ებირათ, — გმირულ პერიოდში ჩვენ ვხვდებით, რომ დედაკაცი უკვე დამცირებულია მამაკაცების ბატონობისა და მხევლების მტოქეობის გამო“<sup>11</sup>. იქნებ აქაც მიკუენრი ტრადიციები ასრულებდა გარკვეულ როლს. საბერძნეთში ქალების დაჩაგრულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ფრ. ენგელსს მითითებული აქვს „ოლინეადანი“ ის ადგილი, სადაც ტელემაქი თავის დედას სიტყვას აწყვეტინებს და აიძულებს დადუმდეს. ჰომეროსის პოემებში ტყვედ ჩავარდნილი ახალგაზრდა ქალები გამარჯვებულთა ავზორცობის მხვერპლნი ხდებიან: მხედართმთავრები რიგრიგობით და თავიანთი წარჩინების მიხედვით ტყვე ქალებიდან ყველაზე ლამაზებს თავისთვის იჩივენ. მთელი „ილიადა“, აღნიშნავდა ფრ. ენგელსი, აგებულია იმ დავის გარშემო, რომელიც აქილეუსსა და აგამემნონს შორის წარმოებს ერთი მხევლის გულისთვის.

ჰომეროსთან ჩვეულებრივ წვრილ მშენაგამიურ ოჯახებს ვხედავთ, მაგრამ დიდი, პატრიარქალური ტიპის ოჯახებიც აღსებობენ. მაგალითად, ტროის მეფე თავის ორმოცდაათ დაოჯახებულ ვაჟიშვილთან და თორმეტ გათხოვილ ქალიშვილთან ერთად ერთ მეურნეობაში ცხოვრობს. თვით მეფეს რამდენიმე ცოლი და მხევალი ჰყავს.

ფრ. ენგელსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჰომეროსის პოემებში დაცულ საყურადღებო ცნობებს. იგი აღნიშნავდა: „ჰომეროსის ყოველი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი გმირის გვერდით მოხსენიებულია ახალგაზრდა ტყვე ქალიშვილი, რომელიც მისი კარავისა და სარეცლის მონაწილეა. ეს ახალგაზრდა ქალიშვილები თან მიჰყავთ აგრეთვე სამშობლოში და ცოლქმრის ოჯახში, როგორც, მაგალითად, ესქილეს აგამემნონმა კასანდრა წაიყვანა; ასეთ მხევლებთან გაჩენილი ვაჟები მამის შექვიდრეობიდან მცირე წილს ღებულობენ და სავსებით თავისუფალ მოქალაქეებად ითვლებიან: ტეკეროსი ტელამონის ასეთი ქორწინების გარეშე ნაშობი ვაჟია

და მას უფლება აქვს მამის სახელი ატაროს“. მონათმფლობელურ საბერძნეთში მეუღლური ერთგულების მოთხოვნის უფლება მითვისებული ჰქონდა ქმარს. ცოლი ვალდებული იყო მეუღლისთვის არ ელაღაბა, ბერძნული მორალი და სამართალი კი ქმრების მხრივ დალატს დასაშვებად მიიჩნევდა.

მონათმფლობელური საბერძნეთის ცალკეულ კუთხეებში ოჯახის, კერძო საყურებისა და სახელმწიფოებრიობის განვითარების დონე არ იყო ერთნაირი.

ფრ. ენგელსი მიუთითებს, რომ ძველ საბერძნეთში დორიელებს შენარჩუნებული ჰქონდათ ცოლქმრობის უფრო არქაული ურთიერთობანი, „ვიდრე თვით ჰომეროსის მიერ დასურათებული ურთიერთობანი“. იონიელებში უფრო მაღალ საფეხურზე იდგა ქორწინების ინსტიტუტი, ვიდრე სპარტაში, სადაც წყვილადი ცოლქმრობის ნაშთები იყო შენარჩუნებული, რომელიც ბევრ რამეში ჭგუფობრივ ცოლქმრობას მოგვაგონებდა. ათენისაგან განსხვავებით სპარტაში ცოლის დალატი ვერ წარმოედგინათ. მიკუენრი ტრადიციები კი იონიელებში უფრო საგრძობია, ამიტომ იქ ქალი უფრო დაჩაგრულიც იყო.

რას წარმოადგენდა საბერძნეთი ჰომეროსის ეპოქაში?

თვით ჰომეროსიდან ვიცით, რომ აქ მოსახლეობა ნათესაური ნიშნის მიხედვით იყოფოდა ტომებად, რომლებსაც ბერძნები ფილეს უწოდებდნენ, ფრატრიებად და გვარებად. ამ უკანასკნელთ გენები ეწოდებოდათ. სისხლიერი ნათესაობის სისტემა გვაროვნული წყობილებისთვის თავისთავად გასაგები და ბუნებრივი დანაწესია.

ფრ. ენგელსის აზრით, ფრატრია ძველ საბერძნეთში, ისევე როგორც ამერიკელ ინდიელებში, წარმოადგენდა დედაგვარს, რომელიც დანაწევრებული იყო მრავალ ქალიშვილისეულ გვარებად. დედაგვარი აერთიანებდა მათ, რომელსაც ყველა ისინი ხშირად ჭირ კიდევ საერთოდ მამათავრისაგან გამოჰყავდა.

როგორც ფრ. ენგელსი აღნიშნავს, ფრატრია ჭირ კიდევ ჰომეროსს ჰყავს გამოყვანილი სამხედრო ერთეულის სახით იმ ცნობილ ადგილას, სადაც ნესტორი აგამემნონს ურჩევს: „დააწვევ ადამიანები ტომებად და ფრატრიებად, ისე, რომ ფრატრია ფრატრიას მიეშველოს, ტომი კი ტომსო“. ფრატრიას, გარდა ამისა, უფლება ჰქონდა და ვალდებულიც იყო შური ეძია წვერის მკვლელობისათვის.

მასწავლა, უფრო ადრინდელ ხანაში მას სისხლის ადების ვალდებულება ეკისრებოდა. გარდა ამისა, ფრატრიას „ჭკონდა საერთო საკურთხევლები და დღესასწაულები, და საერთოდ მთელი ბერძნული მითოლოგიის განვითარება ბუნების ძველ-არიული კულტიდან, რაც მან თან მოიტანა, არსებითად გაპირობებული იყო გვარებითა და ფრატრიებით და ამ უკანასკნელთა ფარგლებში ხდებოდა“. შემდეგ ფრ. ენგელსი მიუთითებდა, რომ ფრატრიას ჰყავდა უბუცესა — ფრატრიარქი, რომელიც საერთო კრებებს იწვევდა, სავალდებულო გადაწყვეტილებებს ღებულობდა, მის ხელში იყო სასამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლება, მერმენდელმა „...სახელმწიფოშიც კი, რომელიც გვარს უფლებებლყოფდა, ფრატრიას ადმინისტრაციული ხასიათის ზოგიერთი საზოგადოებრივი ფუნქცია დაუტოვა“<sup>12</sup>.

გმირული ეპოქის ბერძნებში აშკარად შეიმჩნეოდა გვაროვნული ორგანიზაციის რღვევის პროცესი. უკვე არსებობდა „მამის უფლება და შვილების მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღება, რაც ხელს უწყობდა სიმდიდრის დაგროვებას ოჯახში და ოჯახის გაძლიერებას გვარის წინააღმდეგ“.

ფრ. ენგელსის აზრით, ქონებრივი განსხვავების წრდამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე. შეიქმნა „სამეფო ხელისუფლების პირველი ჩანახახები“, „მონობა“ და ა. შ.

შეკვლევარები ფიქრობენ, რომ ჰომეროსის საზოგადოება უკვე იცნობდა მიწის ინდივიდუალურ საკუთრებას, თუმცა მასთან ერთად არსებობას განაგრძობდნენ სოფლის თემის ძლიერი ელემენტებიც. „მერე თითონ ამ მიწის ინდივიდუალურ საკუთრებასაც ჰომეროსის თხზულებებში თავისებური ხასიათი აქვს. იგი არახვწით არ შეიძლება გავიგოს ბურჟუაზიული კერძო საკუთრების აზრით მისი განუზღვრელი განსხვავების უფლებითურთ. ჰომეროსისეული საკუთრება არის საოჯახო საკუთრება და როგორც ასეთი, იგი უძველესია მთელ რიგ შეზღუდვებს ემორჩილება“<sup>13</sup>

სამპრობატურია, რომ სიტყვა „ნომოს“ — კანონი ჰომეროსის პოემებში არ გვხვდება.

„ილიადა“-სა და „ოდისეა“-ს მიხედვით, ჰომეროსის დროინდელი ბერძნები შიმართავენ სამართლიანობას, ჩვეულებებს, რომელსაც „დეიკე“ ეწოდებოდა.

ფრ. ენგელსისათვის სავსებით ცხადი იყო ის გარემოება, რომ უკვე მონათმფლობელური ეპოქის საბერძნეთშიც ბევრი რამ შემორჩენილი იყო გვაროვნული ტრადიციებიდან. მაგალითად, ოჯახის უფროსი მიწას ნებისმიერ პირს ვერ უანდერძებდა. მიწა ოჯახს უნდა დარჩენოდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, გვარის შიგნით მაინც უნდა დარჩენილიყო. როგორც ცნობილია, ათენში ანდერძის თავისუფლება ძვ. წ. 594 წელს იქნა შემოღებული და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ანდერძის დამგდები უშვილო იყო. ანდერძის სრული თავისუფლება, რომელიც რომის სამართალში მოგვიანებით ჩნდება, უკვე კერძო საკუთრების პრინციპების სრულ გამარჯვებას მოასწავებდა.

დღემდე ინარჩუნებს ძალას ფრ. ენგელსის განსაზღვრება გვარისა და სახელმწიფოს შესახებ. ფრ. ენგელსს ფასეულად მიაჩნდა მ. კოვალევსკის მიერ გვარის აგებულების აღმოჩენა და აღწერა „ფშავებსა, ხეხსურებსა, სვანებსა და სხვა კავკასიურ ტომებში“<sup>14</sup>.

ფრ. ენგელსის ოჯახის, როგორც შედარებით მცირე, მაგრამ მყარი სოციალური და მწარმოებლური ჯგუფის ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო გვაროვნული წყობილების რღვევასა, კერძო საკუთრებისა და კლასობრივი საზოგადოების წარმოშობასთან. მონოგამიური ოჯახის წარმოშობა-ჩამოყალიბება განაპირობა კერძო საკუთრების სახით ქონების დაგროვებამ და ამ უკანასკნელის მემკვიდრისათვის გადაცემის საზოგადოებრივმა მოთხოვნილებამ. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობას საფუძვლად ედო არა გმირული ეპოქის რომელიმე მოღვაწის ან ადამიანთა ჯგუფის შეცდომა, არამედ ისტორიული აუცილებლობა. ეს იყო ბუნებრივი ისტორიული პროცესი.

ფრ. ენგელსის ნაშრომის ზემოთაღრესმა დებულებებმა გაუძლო დროის გამოცდას. ის წესრიგი; რომელიც ამ ნაშრომმა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიაში შეიტანა, ძირითად საზეზში დღესაც ძალაში რჩება.

<sup>12</sup> კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950, გვ. 305.  
<sup>13</sup> ს. ი. კოვალოვი. საბერძნეთის ისტორია. თბ., 1938, გვ; 107-108.  
<sup>14</sup> ფრ. ენგელსი, ციტ. თხზ., გვ. 338.

# უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო იურისტების დელეგაცია თბილისში



სურათში: უნგრელი სტუმრები რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელებთან.

სამ დღეს, 1984 წლის 30 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით, თბილისში იმყოფებოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო იურისტების დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ: უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე, იუსტიციის გენერალ-მაიორი, დოქტორი მიკლოშ მატინაში (დელეგაციის ხელმძღვანელი); უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრი, მთავარი სამხედრო განყოფილების უფროსი, იუსტიციის პოლკოვნიკი, დოქტორი იმრე ბანი; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს განყოფილების უფროსი, იუსტიციის მოდპოლკოვნიკი, დოქტორი ანდორ ბალი; უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის წევრი, იუსტიციის პოდპოლკოვნიკი, დოქტორი ედე რაბიცი. დელეგაციას მოგზაურობაში თან ახლდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე, იუსტიციის გენერალ-ლეიტენანტი ბ. ი. ბუშუპი, სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოს უფროსის თანაშემწე ე. ნ. მარტოვი.

სტუმრებს თბილისის აეროპორტში დახვდნენ: საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ა. ა. შუშანაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. ბ. პარბანაძე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ბ. ნ. კლიშანოვი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, გენერალ-მაიორი ნ. ა. მარტოვი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორი, იუსტიციის გენერალ-მაიორი მ. ი. გორდემი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე, იუსტიციის გენერალ-მაიორი ბ. ლ. სასტროვი, სხვა ოფიციალური პირები.



სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ქალაქის შემოგარენი, ქალაქ მუზეუმი მცხეთა.

სტუმრები იყვნენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და უმაღლეს სასამართლოში სადაც მათ ა. ა. შუშანაშვილმა და ა. გ. კარანაძემ გააცნეს სამინისტროს და უმაღლეს სასამართლოს სტრუქტურა, ფუნქციები და საქმიანობა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო დელეგაცია მიიღეს: ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. მ. პრსნიკოვმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრმა, პოლიტსამმართველოს უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ბ. ი. შირინაშვილმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ბ. ნ. კლემინაშვილმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ, იუსტიციის გენერალ-მაიორმა ბ. ლ. სპირინმა.

აეროპორტში სტუმრები გააცილეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ა. ა. შუშანაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ა. გ. კარანაძემ, წითელდროშოვანი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ა. ნ. კლემინაშვილმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო პროკურორმა, იუსტიციის გენერალ-მაიორმა ბ. ი. გორდეევმა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ, იუსტიციის გენერალ-მაიორმა გ. ლ. საფრონოვმა და სხვა პირებმა.

### საინტერესო წიგნი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსები, რომელიც 1971 წლის ბოლოს შეიქმნა, დიდ როლს ასრულებს სასამართლო ორგანოების და იუსტიციის დაწესებულებების თანამშრომელთა პროფესიულ დაოსტატებაში. მისი ათი წლის მუშაობა შეჯამებულია წიგნში „იუსტიციის ორგანოების მუშაკთა დახელოვნების კერა“, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა. ავტორია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი მ. კომბახიძე, რედაქტორი პროფ. ი. სინარულიძე.

ნაშრომში ნაჩვენებია მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების განვლილი გზა. ეს დაწესებულება გულმოდგინედ ადევნებს თვალს ყველა სიახლეს, რომელიც ზორციელდება სასამართლოს თეორიაში, სასამართლო პრაქტიკაში და სათანადოდ ეხმაურება მას. კურსების აღმავლობა იწყება 1975 წლიდან. ამ დროიდან გაუმჯობესდა არა მარტო სასწავლო აღმზრდელი მეთოდი პროცესი, არამედ განმტკიცდა დისციპლინაც.

კურსების მუშაობას წარმართავს სასწავლო-მეთოდოლოგიური საბჭო, რომელშიც შედიან ცნობილი სწავლული იურისტები და პრაქტიკული მუშაკები. კურსების სასწავლო-მეთოდოლოგიური მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ

პროფესორები გრ. ერემოვი, ა. ფალიაშვილი, ვ. ლორია, თ. ლილუაშვილი და სხვები.

სამოქალაქო სამართლის, სისხლის სამართლის და სხვა დისციპლინებთან ერთად კურსებზე იკითხება „ქართული სამართლის ისტორია“, რომელსაც უძღვება პროფ. ი. სინარულიძე. ამ ცოტა ხნის წინ კი, სადირექტივო ორგანოების მითითებით, შემოღებული იქნა კურსი „საბჭოთა კანონმდებლობა რელიგიური კულტების შესახებ“.

პროფესორ-მასწავლებელთა და კურსების მმართველთა მონაწილეობით ხშირად ეწყობა პრაქტიკული კონფერენციები აქტუალურ საკითხებზე, ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო 1982 წლის აპრილში რესპუბლიკური კურსებისა და თბილისის სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გამართული კონფერენცია თემაზე — „გეორგიევსკის 1788 წლის ტრაქტატის 200 წლის-თავი“.

სარეცენზიო წიგნში დოკუმენტურად არის ასახული კურსების საქმიანობის ყველა მხარე.

წიგნი კარგად არის ილუსტრირებული.

კარგი იქნება, თუ ასეთივე გამოკვლევები გამოიცემა იურიდიული განათლების სხვა ქართულ კერებზეც.

წ. მისენაშვილი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი

**1. სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულების 69-ე პუნქტის მიხედვით მყიდველი ვალდებულია არ გადაიხადოს უხარისხო პროდუქციის ღირებულება და ჩარიმის თანხა უაქცეპტო წესით ჩამოწეროს დამამზადებლის ანგარიშიდან.**

უხარისხო საქონლის მიწოდების ფაქტის სათანადო დადასტურების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია არ აანზღაუროს საქონლის ღირებულება და გადაახდევინოს დამამზადებელს ჩარიმა საქონლის ღირებულების 20 პროცენტის ოდენობით. ხოლო თუ საქონლის ღირებულება ანზღაურებულია, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს თანხის უკან დაბრუნება დადგენილი წესით.

სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების 69-ე პუნქტით გათვალისწინებული ჩარიმის გადახდევინება დამამზადებლისათვის ხდება უაქცეპტოდ. ეს წესი არ ვრცელდება უხარისხო ტარით საქონლის მიწოდების შემთხვევის მიმართ.

**2. საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხობრივი მიღების ინსტრუქციების 21-ე და 28-ე პუნქტების გამოყენების წესი.**

საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის და სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხობრივი მიღების ინსტრუქციის 21-ე და 23-ე პუნქტების შესაბამისად დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებში პროდუქციისა და საქონლის მიღებაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადოებრიობის წარმომადგენელს მოწმობა უნდა მიეცეს დასვენების ან სადღესასწაულო დღის წინა დღეს ყოველი ცალკეული დღისათვის პროდუქციის (საქონლის) კონკრეტული პარტიის აღწერილობა.

მიღების ინსტრუქციების ამ პუნქტების გამოყენებასთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, ნამდვილია თუ არა ღამის საათებში პროდუქციის (საქონლის) მისაღებად გაცემული მოწმობა, თუ მასში არ არის კონკრეტულად მითითებული, ტვირთის რომელი პარტიის მისაღებად არის გამოყოფილი წარმომადგენელი.

**3. უხარისხო საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ზარალის, აგრეთვე სავაჭრო დათმობის მოთხოვნის უფლება მყიდველს ეძლევა საქონლის უხარისხობის თაობაზე აქტის შედგენის დღიდან ან იმ დღიდან, როცა ასეთი აქტი უნდა შემდგარიყო.**

სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულების 81-ე პუნქტის მიხედვით არაჩეროვანი ხარისხის, დაუკომპლექტებელი, არამარკირებული საქონელი არ ჩაითვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების ანგარიშში. ამიტომ,

საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდებისას ამ ურთიერთობის მოწესრიგება ხდება საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების დებულების 72-ე პუნქტით.

საქონლის მიუწოდებლობისათვის პირვასამტეხლო დამამზადებელს გადახდება, თუ მყიდველსა და დამამზადებელს შორის დადებულია ხელშეკრულება. ხოლო უხარისხო პროდუქციის მიწოდების შემთხვევაში მხარეთა შორის ხელშეკრულების არარსებობა არ ათავისუფლებს დამამზადებელს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

საწარმოს მისამართით ღამის საათებში მოსული ტვირთის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მიღებაში მონაწილეობისათვის მიმღები საწარმოს მიერ საზოგადოებრიობის წარმომადგენლისათვის გაცემულ მოწმობას ხელს უნდა აწერდეს ამ საწარმოს ხელმძღვანელი. მოწმობა გაიცემა საწარმოს სამუშაო საათებში და მასში მითითებული უნდა იყოს, რომ საზოგადოებრიობის წარმომადგენელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს იმ პროდუქციის (საქონლის) მიღებაში, რომელიც შემოვა საწარმოში სამუშაოს დამთავრებიდან მომდევნო სამუშაო დღის დაწყებამდე, მაგალითად, მიმდინარე დღის 18 საათიდან მომდევნო სამუშაო დღის 8 საათამდე.

ამნაირად გაცემულ მოწმობაში შეიძლება არ იყოს აღნიშნული მისაღები ტვირთის პარტია.

თუ მყიდველმა მოითხოვა, დამამზადებელმა ასეთი საქონელი უნდა შეეცვალოს ხარისხიანი საქონლით მიწოდების მიმდინარე პერიოდში ან მხარეთა შეთანხმებით, სხვა ვადაში.

უხარისხო საქონლის მიწოდებულთა მხრივ მყიდველისათვის ზარალის ანზღაურებისას





წამოიჭრა საკითხი — რა მომენტიდან აქვს მყიდველს უფლება მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება მიუღებელი სავაჭრო დათმობის სახით, თუ დამამზადებელმა დებულების 81-ე პუნქტში გათვალისწინებულ ვადაში არ შეცვალა მიწოდებული უხარისხო საქონელი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება იმ მომენტიდან, როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო თავისი უფლებების შელახვა.

**4. სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულების 87-ე პუნქტით ჩარიმის მოთხოვნის უფლება აქვთ მხოლოდ ამ პუნქტში აღნიშნულ ორგანიზაციებს.**

„ცეკავშირის“ გურჯაანის სავაჭრო ბაზამ სახელმწიფო არბიტრაჟში შემოიტანა სარჩელი თბილისის სამკერვალო ფაბრიკისაგან 10.950 მანეთის გადახდევინების შესახებ, რაც უგანრიგოდ საქონლის გაცემისათვის ჩარიმის თანხას შეადგენს. მოსარჩელის მოთხოვნა ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულებით გურჯაანის ბაზისათვის განკუთვნილი სამკერვალო ნაწარმი ფაბრიკამ გადაუტვირთა არა ამ ბაზას, არამედ თელავის ბაზას.

სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულების 87-ე პუნქტის შესაბამისად, გეგმიანი წესით გასანაწილებელი საქონლის გაგზავნისათვის იმ მყიდველის მისამართით, რომლისთვისაც აღნიშნული საქონელი არ არის

**5. ხელშეკრულების პროექტის გაგზავნა ევალდება ხელშეკრულების ერთ რომელიმე მხარეს, თუ ასეთი წესი პროდუქციის ან საქონლის მიწოდების განსაკუთრებული პირობებით არის გათვალისწინებული.**

„კავკაზელექტროქსელმშენის“ ტრესტის სამშენებლო კონსტრუქციების წარმოების კომბინატმა სახელმწიფო არბიტრაჟში აღძრა სარჩელი რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „მეორეულითონთან“ მიწოდების ხელშეკრულების იძულებით დადებისა და ხელშეკრულების დადების ვადაგადაცილებისათვის ჩარიმის გადახდევინების შესახებ.

ანალოგიური სარჩელი სახელმწიფო არბიტრაჟში შემოიტანა რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „მეორეულითონმა“.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მხარეებს დევალათ ხელშეკრულების დადება, გაერთიანებას აგრეთვე დევალა 1.000 მანეთი ჩარიმის გადახდა ხელშეკრულების დადების ვადაგადაცილებისათვის.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დადგენილებით ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა შემდეგი საფუძვლის გამო: ჩართისა და შავი ლითონის მიწოდების გან-

საფუძვლების 47-ე მუხლის თანახმად, უხარისხო საქონლის მიწოდებიდან გამომდინარე დავებზე სასარჩელო ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადა გამოითვლება მყიდველის მიერ სთანადო წესით უხარისხობის დადგენის დღიდან.

ვინაიდან ჩარიმის მოთხოვნის უფლება მყიდველს აქვს უხარისხობის გამო სათანადოდ აქტის შედგენის დღიდან, უხარისხო საქონლის მიწოდებიდან გამომდინარე ზარალის მოთხოვნის უფლებაც ამ დღიდან აღძვრება.

ამაგვიფილი, დამამზადებელი შესაბამის საბითუმო სავაჭრო ან მომმარაგებელ-გამსაღებელ ორგანიზაციას გადაუხდის ჩარიმის ამ საქონლის ღირებულების 25 პროცენტიდან 100 პროცენტამდე ოდენობით.

დებულების ამ პუნქტით დადგენილია მკაცრი პასუხისმგებლობა გეგმით გასანაწილებელი საქონლის თვითნებური გადატვირთვისათვის. ჩარიმა აღნიშნული დარღვევისათვის აღმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათისაა. ამიტომ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისდა მიუხედავად, იმყოფება თუ არა საბითუმო სავაჭრო ან მომმარაგებელ გამსაღებელი ორგანიზაცია სახელშეკრულებო ურთიერთობაში მიმწოდებელთან.

საკუთრებული პირობების მე-5 პუნქტის თანახმად, მიწოდების ხელშეკრულების პროექტს ჩართის ჩამბარებელს უგზავნის საწარმოო გაერთიანება, და არა პირიქით — ჩართის ჩამბარებელი — საწარმოო გაერთიანებას.

აქედან გამომდინარე, ჩართის ჩამბარებელი კომბინატი სწორად არ მოიქცა, როცა მიწოდების ხელშეკრულების პროექტი გაერთიანებას გაუგზავნა და შემდეგ სარჩელი წარადგინა არბიტრაჟში.

ჩართის ჩამბარებელი ვალდებული იყო გაერთიანებიდან მიღებული ხელშეკრულების პროექტზე ხელი მოეწერა, თუ არ ეთანხმებოდა, უთანხმოების ოქმი შეედგინა და ეს უქანასკნელი ხელშეკრულების პროექტთან ერთად გაერთიანებისათვის დაებრუნებინა. ესე იგი არბიტრაჟში ხელშეკრულების დადებაზე მიმართვის უფლება აქვს გაერთიანებას, ხოლო ხელშეკრულების დადების ვადაგადაცილებისათვის ჩარიმის მოთხოვნის უფლება აქვს შესაბამისად ორივე მხარეს.



# ორგანიზებული დანაშაულის საყაროვი\*

კლასუს პოლკანი, ჰორსტ სტაონიკი

## „3-12“ გისმენთ!

ამ წარუმატებლობამ ლუჩანოს გული არ გაუტეხა, იგი ხომ მეთაურობდა არა მარტო „კოზა ნოსტრას“, არამედ „დიდ ექვსეულსაც“ — ამერიკის განგსტერების გაერთიანებას, რომელმაც საქმიანობა „მშრალი კანონის“ გაუქმების შემდეგ გაშალა. ამ განგსტერულ სინდიკატს უზარმაზარი გავლენა ჰქონდა ამერიკის დანაშაულებრივ სამყაროში. მის შტაბში ლუჩანოსთან ერთად შედიოდა: კოსტელო კასტილია, მეტსახელად ფრენკ კოსტელო ნიუ-იორკის მაფიის „ოჯანის“ მეთაური, რომელსაც თავისი ძალადი თანამდებობის მეგობრის ჯიმი ჰაინსის საშუალებით ხელში ეჭირა მთელი „ტამანი-პოლი“.

ჯოზეფ დოტო, იგივე ჯო ადონისი, გავლენიანი მაფიოზი, წარსულში „ღირსების საზოგადოების“ წარმომადგენელი იყო „დიდ შვიდეულში“.

ლუის ბუსალტერი, მეტსახელად ლეპკე, ებრაული ბანდის მეთაური, რეკრეტიორი, ნარკოტიკებით მოვაჭრე, ლუჩანოს ძველი მეგობარია კომპანიონი.

ეისერ ცვილმანი, მეტსახელად ლონგი, რეკრეტიორი, უმთავრესად დასპეციალებული იყო საფეიქრო მრეწველობაში.

ბენეამინ ზიგელი, ბაგსი (არანორმალური), მკვლელი ძველი განგსტერული სკოლიდან, რომლის ძირითად შემოსავალს წყაროს აზარტული თამაშები შეადგენდა. „დიდ ექვსეულში“ იგი აგრეთვე თავის ძმაცაცის ცნობილი განგსტერის მეიერ ლანსკის ინტერესებს წარმოადგენდა.

აგრძელებდა რა ალკოპოლური კონტრაბანდის სუპერტრესტის — „დიდი შვიდეულის“ ტრადიციებს, „დიდმა ექვსეულმა“ გააერთიანა მაფიის და სხვა ამერიკული განგსტერული ბანდეების შეყვადინება დანაშაულებრივი საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორც იყო ბუკმეკრობა, არალეგალური აზარტული თამაშები, მრეწველობის და ვაჭრობის რეკრეტი, ნარკოტიკებით ვაჭრობა, დაკვეთით მკვლელობა.

ორგანიზებული დამნაშავეების ბანდის მეთაურს საღვატორე ლუჩანოს არავინ და არაფერი არ უშლიდა ხელს, ისევე ხელგაშ-

ლილად ეცხოვრა, როგორც ცხოვრობდა სამრეწველო მაგნატი. მას უყვარდა ნაზი აბრეშუმის საცვლების ტარება, მოგზაურობდა უკანასკნელი მარკის ავტომანქანით, ჰქონდა საკუთარი პატარა თვითმფრინავი, ფეშენებულურ მესუთე ავენიუზე მდებარე ატელიეების ცნობილი თერძები უყვარდნენ ტანსაცმელს, ცხოვრობდა საუცხოო სასტუმროში. ტელეფონის ზარზე იგი მუდამ ასე უპასუხებდა: „3-12 გისმენთ!“ „3“ ნიშნავდა ლათინური ანბანის მესამე ასოს — C — ჩარლზს, მის სახელს, „12“ — მეთორმეტე ასო F ლუჩანოს გვარს. „3“ და „12“ ციფრების შეთანაწყობას ლუჩანო მაგიურად თვლიდა.

ლუჩანოს წესად ჰქონდა თავისი ძმაცაცებისთვის და მეგობრებისათვის მოეწყო ვერეთ წოდებული „პარტი“-სალამოს წვეულებები, რომლებიც სქელჯიბიანთა ცხოვრების წესის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო. სტუმრების გასართობად ქირობდნენ სტატისტ ქალიშვილებს — „პარტი გიორლებს“. სტუმრებთან ძალადი წრის დამახასიათებელი ლაყბობისათვის ქალიშვილები ერთ საღამოში ნამდვილად მეფურ ჰონორარს ღებულობდნენ — 50 დოლარს.

რა თქმა უნდა, გავლენიანი მაფიოზის ყველა ძველა „საქმიანი მეგობარი“ ვერ შეძლებდა ამ ცვლილებათა სწრაფად ათვისებას. ერთ-ერთ ასეთ მიღებაზე, ლუჩანოს მიერ მოწვეულ დეტროიტის „პიორპლ მოზის“ განგსტერებმა თავისებურად შეაფასეს „სიანლე“. საღამოს დამთავრებისას „პარტი გიორლებს“ შეუჩნდნენ. „გამიგონეთ, ბიჭებო! — დაიყვირა მასპინძელმა დარბაზში, როცა სტუმრები მეტისმეტად ახმაურდნენ, — ეს ქალიშვილები აქ მოწვეულნი არიან ძალადი წრის წარმომადგენელთა გასართობად, და არა სხვა რამისთვის!“ ამ განმარტებამ ვერ დააშოშმინა „ცხოვრებას ჩამორჩენილი“ „დეტროიტელი მოზები“. მაშინ ლუჩანომ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე მდიდრულ საროსკიპოს დიანასლისს პოლი ადლერს დაურეკა და მან დაუყოვნებლივ გამოგზავნა თავისი საუკეთესო გოგონები.

ის ანქარება, როგორითაც პოლი ადლერმა ცნობილი მაფიოზოს თხოვნა შეასრულა, გასაგები იყო. პოლიციამ დიდი ხანია იცოდა,

\* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, 1984 წლის № 2, 3.  
5. „საბჭოთა სამართალი“, № 4.



რომ ლუჩანოს დოვლათის არსებითი წყარო, ნარკოტიკებით ვაჭრობასთან ერთად, პროფესიული პროსტიტუციის კარგად ორგანიზებული რეკტი იყო. პროფესიული პროსტიტუციიდან მოგების მიღების იდეა ახალი არ იყო. წინათ ალ კაპონემ ჩიკაგოში უკვე გამოიყენა იგი პრაქტიკაში. დაწყებული 1933 წლიდან, კაპონეს ამ პრაქტიკამ ლუჩანოს წყალობით ნიუ-იორკში მართლაც დიდი გაქანება მიიღო.

ერთხელ, ნიუ-იორკის საროსკიპოების მეპატრონეებს და სუტენიორებს შეატყობინეს, რომ მათი ინტერესებიდან გამომდინარე საჭიროა განსაზღვრულ დროს, მალბერ-სტრიტზე, ლილი დეივი ბერტილიოს სასტუმროში შეიკრიბონ. ყველანი მივიდნენ.

ლუჩანოს ნდობით აღჭურვილმა პირმა მოკლედ და გასაგებად აუხსნა მათ შეკრების მიზეზი: „ბიჭვო! ჩვენ ახალ საქმეს ვიწყებთ და წინადადებას გაძლევთ თითოეულმა თქვენგანმა ამ კვირაში შემოიტანოს თავისი წილი. ვისაც სურს შევიდეს საქმეში, შეუძლია ათ შეკვრად შეიძინოს წილი“. ლუჩანოს ნდობით აღჭურვილი პირი „შეკვრაში“ 1000 დოლარს გულისხმობდა. მისი წინადადება უმბრავლესობამ მიიღო.

**ზუსტად 20.00**

პროფესიული პროსტიტუციის რეკტი სრულყოფილებამდე აიყვანა ლუჩანომ. მან საქმის წარმოება ლილი დეივი ბერტილიოს მიანდო. რეკტიორების შტაბ-ბინა მოაწვევს მალბერ-სტრიტზე, პოლიციის სამმართველოს მახლობლად მდებარე საკონდიტროში. ბერტილიოს ექვემდებარებოდა რამდენიმე სპეციალური განყოფილება, მათ შორის უშიშროების განყოფილება, რომლის ამოცანა იყო საროსკიპოების დაცვა მოქიშვე ბანდებისა და პოლიციისაგან. ცალკეულ შემთხვევებში კი კონკურენტების მხრივ გამოძალვის აღკვეთა, აგრეთვე ჭირვეულებისათვის „ჭკუის სწავლება“. ამ განყოფილებას ხელმძღვანელობდა რალფ ლიგორი, მეტსახელად რალფ სუტენიორი. მთავარი ბუღალტერი ნიკი მონტანა „სამუშავე“ საროსკიპოს პატრონის მიერ ვალის გადახდის გადაცილების ყოველი ფაქტის შესახებ ლიგორის დაუყოვნებლივ აწვდიდა ცნობებს. მაგალითად, როცა დავო ჯინიმ დაუდევრად დაიწყო შეწერილის გადახდა, ლიგორის ბიჭები მას დაწესებულებაში შეუცვიდნენ დაუღწევს ავეჯი, დაუმსხვრიეს ჭურჭელი.

ერთ-ერთ სასტუმროში რეკტიორების საინფორმაციო ცენტრში თავს იყრიდა ყველა

უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, ცენტრს ხელმძღვანელობდა ენტონი კურფო, რომელმაც თავისი კარიერა ნიუ-იორკის ერთ-ერთი საროსკიპოს პორტიეს თანამდებობით დაიწყო. ლუჩანომ იზრუნა აგრეთვე, რომ ჰქონოდა იურიდიული განყოფილება, რომელიც კონსულტაციას უწევდა იმ მებავეებს, რომელსაც უსამოხებება ჰქონდა პოლიციისთან. ამ განყოფილებას განაგებდა თავისი საქმის მცოდნე ეიმ კარპი, არც მეტი არც ნაკლები, ყოფილი პროკურორი! და, ბოლოს, აქ რამდენიმე ექიმი მუშაობდა, რომელთა მოვალეობა იყო „გოგონების“ რეგულარული სამედიცინო შემოწმება.

საქმის კულისებს ნიუ-იორკის პროკურორი თომას დიუი ჯერ კიდევ არ იცნობდა, როცა 1936 წელს პროფესიული პროსტიტუციის რეკტის გამოძიებას შეუდგა. ენერგიულმა პროკურორმა საქმის ძაფს ხელი შევსო კალიფორნიაში სუტენერ დეივი მილერის შემთხვევით დაჭერის შემდეგ, მან დიუისთან აღიარა, რომ პროფესიული პროსტიტუციის რეკტის ავანჩავანია ლილი დეივი ბერტილიო და რომ ბერტილიოს ზურგს უკან ლუჩანო დგას. დიუიმ მშვენივრად იცოდა, რომ არსებობდა დამნაშავეების გამოამჟღავნების მხოლოდ ერთი შესაძლებლობა: წარედგინა სასამართლოსათვის საკამო მოწმენი, და ვინაიდან ცხადია, არავის სურდა ნებაყოფლობით გამოსულიყო მოწმედ „ძღვეამოსილ მაფიოზის“ წინააღმდეგ, აუცილებელი იყო რაიმე სხვა საშუალებით მოწმეების გამოხსნა.

ნიუ-იორკის პროკურატურამ ოპერაცია დაამუშავა არმიის გენერალური შტაბის სულიცკეთებით. 1936 წლის 1 თებერვალს დიუის კაბინეტში შეიკრიბა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი სამძებრო პოლიციის რამდენიმე მოსამსახურე. ისინი დაიყვანნ ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა, რომელშიც სამი კაცი შედიოდა, ჩაიბარა დაბეჭდილი კონვერტები, რომლებზეც მისამართები ეწერა. ბრძანება იუწყებოდა: კონვერტი გაიხსნას იმ ადგილის მახლობლად, რომელიც აღნიშნულია კონვერტზე და ზუსტად შესრულდეს მასში მოცემული ინსტრუქცია.

ზუსტად 20 საათზე სამძებრო პოლიციის თანამშრომლები შევიდნენ მანჰეტენის და ბრუკლინის ორმოციდაერთ საროსკიპოში, ჩაიწერეს ყველა იქ მყოფის სახელი და მისამართი და მოახდინეს საკანტორო წიგნების კონფისკაცია. დიუის უკვე მეორე დღეს შეეძლო ეცნობებინა პრესისათვის, რომ ოპერაციის მსვლელობაში დააპატიმრეს ასზე მეტი ქალი და ჩვიდმეტი მამაკაცი. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ლილი დეივი ბერტილიო და მი-

სი აღიუტანტი ტომი პინოქიო. მაგრამ ისინი ყველანი დუმდნენ. „გოგონებსაც“ კრინტი არ დაუძრავთ.

მეძავე ტელმა ჯორდანმა ასე აუხსნა პოლიციელებს თავისი უარის თქმის მიზეზი: „მე რომ ვიცი, რას უშვრებიან ეს ყმაწვილები ჩვენისთანებს, ვინც ზედმეტს ლაყბობს, ისინი ანთებული სიგარეტებით უწვავენ ტანსა და ფეხისგულებს, ენას აჭრიან. მორჩა, მეტს არაფერს ვეტყვი“.

23-ე სტრიტზე ერთ-ერთ საროსკიპოში დაკავებული მეძავე, ვინმე ნენსი პრესერი, ჩვენების მიცემაზე დათანხმდა. ამან დიუი ძალიან გაახარა.

### ნენსის აღმოჩენა

სწორედ ნენსი პრესერის აღიარება გახდა გრძელი ძაფის ბოლო, რომლის საშუალებითაც „ლუჩანოს საქმე“ დიუიმ გახსნა.

პოლონელი ქალის და სკანდინავიელის შვილი ნენსი, არაჩვეულებრივად ლამაზი გოგონა, თექვსმეტი წლისა სახლიდან გაიქცა და თავისი „კარიკრა“ ოლბანში ოფიციალტობით დაიწყო. ჩვიდმეტი წლისა რომ შესრულდა, ერთმა სენატორმა იგი თავის საწოლში შეათრია. იმავე წელს ნენსი ნიუ-იორკში ჩავიდა, სადაც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული „სოლოლორლისი“ გახდა, ესე იგი ქალიშობი, რომელსაც ტელეფონით უკვეთავდნენ. მაშინ პირველად გაეცნო განგეტერებს.

იმ ხანებში მისი მეგობარი ქალი ბეტი „პეკარობდა“ ახალგაზრდა მაფიოზოს, რომელსაც ლუჩანო ერქვა, ერთხელ ნენსი გააცნო მას, არ შიშობდა მის დაკარგვას, ვინაიდან იმ დროს ლუჩანო ჯერ კიდევ არ იღვა დანაშაულებრივი სამყაროს სათავეში, ხოლო ნენსი მარტო „დიდებულებს“ წყალობდა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ჯო მასერიასთან ერთ-ერთ საღამოს, წვეულებაზე ნენსი ერთმა მეგობართაგანმა ლუჩანოსთან მიიყვანა და უთხრა: „ეს იღბლიანია და მას შუნი ახლო გაცნობა სურს“. ამ დროს ნენსის საყვარელი იყო რალფ ლიგუორი. მას ტყუილად არ შეარქვეს სუტენერი: ყველაფერს, რასაც ნენსი შოულობდა, რალფი მთლიანად აჩთმევდა მას. ბოლოს და ბოლოს, ყოველივე ეს ნენსის მომეზრდა და მან ლუჩანოს მიმართა:

— ძალიან მჭირდება ფული, თუ ვერ ვიშოვე, იძულებული ვიქნები საროსკიპოში წავიდე.

როგორც ჰემშარიტი ჯენტლმენი, ლუჩანო შეესიტყვა:

— ისეთ ლამაზ ქალს, როგორც თქვენ ბრძანდებით, საროსკიპოში რა უნდა.

— არ ვიცი, რა ვიღონო? ლიგუორი მაიძულებს.


— თუ საქმე მხოლოდ ფულზეა დამოკიდებული, — მშვიდად უპასუხა ლუჩანომ, — მე მოგცემ.

ასე გახდა საღვატორე ლუჩანო ნენსი პრესერის კლიენტი. ამის შემდეგ იგი მისი დიდებული აპარატამენტების სწორი სტუმარი იყო და, უნდა ითქვას, რომ ლუჩანო უხვად უხდიდა მას. მაგრამ მოხდა ისე, რომ ნენსი ერთხელ როგორღაც გაველენიანი მაფიოზო თავმოყვარეობას შეეხო, პოდა, სიცილიელმა ლუჩანომ ხელი აიღო მის მფარველობაზე. ნენსი ისევ ლიგუორის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც მას ლალატი არ აპატიო. მან იგი საროსკიპოში, „ჯეი ფექტორში“ მოათავსა. სხვა მეძავეებისგან განსხვავებით, იგი არც ერთ ცენტს არ იღებდა ლიგუორისგან, თანაც საშინელ დაცივნას და უღმობულ ექსპლოატაციას განიცდიდა. ქვემოთ, მისაღებში იჯდა და პირადად აკონტროლებდა, რამდენ ხანს ატარებდა ნენსი კლიენტბთან. თუ რომელიმე მათგანი თხუთმეტ წუთზე მეტს დაყოვნებდა, იგი საჩქაროდ აღიოდა ზემოთ, უბრაუნებდა ნენსის ოთანის კარებს და ღრიალებდა: „გამიგონეთ, გეთაყვა, უფრო სწრაფად არ შეიძლება“.

ამიტომაც, დაპატიმრების შემდეგ საღამოს, 1936 წლის 1 თებერვალს, ნენსი პრესერი მზად იყო ჩვენება მიეცა პოლიციისათვის.

პროკურორმა დიუიმ პრესას განუცხადა: „ლუჩანო ალ კაპონეს მემკვიდრეა და ნიუ-იორკის საზოგადოების ნომერ პირველი მტერია“. მაგრამ პოლიციამ დიდხანს ვერ შეძლო ლუჩანოს დატუსაღება. ხმების მიხედვით იგი თავისი „ლოკიდიო“ ფლორიდაში გადაფრინდა. იქ მას პოლიცია არ იცნობდა. მაგრამ არკანზასის შტატში ერთმა პოლიციელმა იგი იცნო და დააპატიმრა. პატარა ქალაქ ლიტლ-როკის საპატიმროში ელოდა, როდის გადასცემდნენ ლუჩანოს ნიუ-იორკის შტატის ხელისუფლებას. აფორიაქდა „კოზა ნოსტრა“. ყოველი მხრიდან ჩამოდიდოდნენ მაფიოზები ლიტლ-როკში. ხელისუფლებამ გააძლიერა საპატიმროს დაცვა, კომუკურებზე მძიმე ტყვიამფრქვევები დააყენეს.

ამაო გამოდგა გველენიანი მაფიოზის ძალით განთავისუფლების ცდა. და მალე ნიუ-იორკში „კოზა ნოსტრას“ ძღვევაბოსილი შეფის და მისი სამი თანამზრახველის სენსაციური სასამართლო პროცესი გაიმართა. სასამართლოს შენობის დერეფნებში ადგილი დაიკავა ორმოცმა თავით ფესამდე შეიარაღებულმა პოლიციელმა. პროკურორმა დიუიმ სასამართლოზე სამოცდარვა მოწმე გამოიძახა, მათ შორის ორმოცი მეძავე და საროსკიპოს მეპატრონე, აგრეთვე ოცი სუტენერი.



მოსდენილად გამოწყობილი ლუჩანო განსასჯელის სკამის ზურგზე დაუდევრად გადაწოლილიყო. თავდაჭერილობამ მას მხოლოდ 1936 წლის 6 ივლისს უმტყუნა, როცა ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდების პუნქტებიდან 52 პუნქტით მისი დანაშაული დამტკიცებულია. განაჩენის გამოცხადების წინ ლუჩანოს უკანასკნელი სიტყვის უფლება მისცეს:

— თქვენო აღმატებულებავ! — განუცხადა მან მოსამართლეს, — ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ის არის, რომ მე არა ვარ დამნაშავე!

მეორე დღეს მოსამართლემ გამოაცხადა სასამართლოს გადაწყვეტილება: ლუჩანოს მიესაჯოს ორმთვიანი წელი საკატორლო პატიმრობა, ლიგუორის — თხუთმეტი, ფრედერიკოს და ტომი პინოქიოს — ოცდასთუთ-ოცდასთუთი წელი. მალე ლუჩანო დანემორის საკატორლო საპატიმროში გაგზავნეს.

რამდენიმე თვის შემდეგ, ღამით ვაშინგტონის ერთ-ერთი პოლიციის უბანში გაისმა ტელეფონის ზარის ხმა: „მიშველეთ!“ გულშემაზრავი ხმით კიოდა ქალი. რამდენიმე წუთის შემდეგ პოლიციამ დაადგინა, რომ ტელეფონის ზარი ნიუ-ჰემპშირის-დეპარტამენტში იყო. ამ მოსამართლით სსსრაფოდ გაიგზავნა პოლიციის განაჩენი. იატაკზე სისხლის გუბეში ხელბეჭდვარული იწვა წითელთმიანი ქალიშვილი, რომელსაც სულ მთლად შემოხეოდა ღამის პერანგი. იგი დანის რამდენიმე დარტყმით სასიკვდილოდ დაეჭრა. თეძოზე მას ამოჭრილი ჰქონდა მსხვილი ასოები C და და რიცხვი „3-12“. პოლიციამ მსხვერპლის სახელი სწრაფად დაადგინა: მაჩარეტ ლუიზ ბელი, იგივე ჯინი კოსტელო, იგივე ვანეტა ლუისი ლუჩანოს საქმეში იგი ბრალდების მოწმედ გადიოდა.

**ფირმა „კოსტელო ვნდ კომპანი“**

ლუჩანოს გასამართლება არ იყო ერთადერთი დარტყმა, რომელიც ხელისუფლებამ ოცდაათიან წლებში „კოზა ნოსტრას“ მიყენა 1933 წელს, რუზეველტის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა განგეტერების საქმის გამოსაძიებლად დანიშნა კომისია სენატორ კოუპლენდის თავმჯდომარეობით. ამ კომისიამ თუმცა ვრცელი მამხილებელი მასალა შეაგროვა, მაგრამ იგი საფუძვლიანი მანიც არ იყო. ამიტომ სენატის კომისიის მიერ ჩატარებულ გამოძიებას და გამოტანილ დასკვნებს საარქივო მასალების მნიშვნელობა თუ ჰქონდა. მართალია, ამის

შემდეგ ნიუ-იორკის პოლიციამ განგეტერების წინააღმდეგ, უფრო სწორად, მისი ზოგიერთი გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო გააძლიერა.

თუმცა ეს დაუჯერებელია, მაგრამ მაფიატამანი — პოლში ყველაფერი იღონა, რათა ხელი შეეშალა ნიუ-იორკის გუბერნატორის პოსტზე იტალიური წარმოშობის ამერიკელის არჩევისათვის. მაგრამ უშედეგოდ. ახალი გუბერნატორ ფორელი და გუარდიას გულწრფელად სურდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლა იმ პროგრამის სულისკვეთებით, რომელიც პრეზიდენტმა, რუზეველტმა გამოაცხადა.

ფორელი ლა-გუარდიას თვალში ეკალივით ესობოდა აზარტული თამაშების რეკეტი, რომელსაც ფრენკ კოსტელო და მისი მაფიის „ოჯანი“ ეწეოდა. ფრანჩესკო კოსტელო სიცილიაში დაიბადა 1893 წელს. და თავისი კარიერა ნიუ-იორკში დაიწყო, როგორც წვრილფეხა ტრივერმენა. 1908 წელს თავდასხმაში მონაწილეობისათვის იგი პირველად გამოამწყვდიეს საპრობილეში. 1915 წელს იარაღის არღვევალური ტარებისათვის მას ერთი წლის საკატორლო პატიმრობა მიუსაჯეს. „მშრალი კანონის“ დროს იგი უკვე გაქნილ ბუტლკვერად ითვლებოდა. 1927 წელს ისევ სასამართლოს წინაშე წარდგა. ამჯერად ამერიკის სანაპირო დაცვის მოსამსახურის მოქროთავის ბრალდებით, მაგრამ „მტკიცებულებათა უკმარისობის გამო“ გაათავისუფლეს. 1929 წელს კოსტელო უკვე მაფიის ზედა ფენას მიეკუთვნებოდა და მონაწილეობს ატლანტიკის სიტიში მაფიოზების ცნობილ კონფერენციაში. კოსტელო ერთ-ერთი მარჯვე „ახალგაზრდა“ იყო „კოზა ნოსტრას“ იმ წევრთა შორის, რომლებმაც კონფერენციის შემდეგ სწრაფად გარდაიქმნენ და „ლევალურ“ ბიზნესს მოჰკიდეს ხელი.

ლუჩანოს მსგავსად, რომელიც თავის დროზე გავრთიანდა არა სიცილიური წარმოშობის განგეტერებთან — ბუხალტერთან, ზიგელთან და ლანსკთან, კოსტელომ თავის კომპანიონად გაიხადა ამერიკელი განგეტერი კასტელი, მეტსახელად დენდი ფილი, რომელიც აზარტული თამაშების რეკეტს მისდევდა. კოსტელომ და კასტელიმ გადაწყვიტეს საქმისთვის ფართო გაქანება მიეცათ. ამისათვის მათ დააარსეს ლევალური ფირმა „ტრუ მინტ კომპანი“ და ოფიციალურად გაატარეს ის რეგისტრაციაში. ფირმამ გამოიყენა კასტელის სპეციალური ცოდნა, რომელიც მას ბიზნესის ამ სპეციფიკურ სფეროში ჰქონდა მიღებული, კოსტელომ კი „მშრალი კანონის“ დროს მიღებუ-

ლი თავისი უზარმაზარი მოგებიდან ფირმისათვის გამოყოფულ.

ახლადგამომცხვარი ფირმის სახელით კასტელიმ „მილზ ნოველტი კომპანი იფ ჩიკაგოს“ კომპანიისაგან შეისყიდა რამდენიმე ათასი სათამაშო ავტომატი, რომელსაც ირონიულად „ცალხელა ბანდიტებს“ უწოდებდნენ. თამაშის პრინციპი მარტივი იყო. მითამაშე ავტომატის ჭრილში მონეტას ან რამდენიმე მონეტას ყრიდა (ფსონის მიუსვდავად) და ამოძრავებდა სახელურს ან ბერკეტს — „ხელს“. ამის შედეგად მოძრაობას იწყებდა ციფრებით ან ნახატებით აღნიშნული სამი დისკო. ავტომატის მინაზე აღნიშნული ხაზის დონეზე დისკოს გაჩერების შემდეგ ფიქსირდებოდა ციფრებიდან ნახატების რაიმე კომბინაცია. თუ დამთხვევოდა ყველა სამივე ციფრი ან ერთნაირი ნახატი ავტომატი იძლეოდა ფულად მოგებას.

1929-1934 წლებში კოსტელომ და კასტელიმ ნიუ-იორკში 5 ათასზე მეტი „ცალხელა ბანდიტი“ დაამონტაჟეს. და ვაი იმ რესტორნის ან აფთიაქის მკაპრონეს, რომელიც უარს განაცხადებდა დაედა „ტრუ მინტ კომპანიის“ ავტომატი.

**გაფიის დონი ყიდულობს სენატორს**

იმ დროს როდესაც ლა გუარდიამ კაშკაშა შეღებილი ავტომატები გაანადგურა, 5 ათასი ავტომატი უკვე გამოსული იყო მწყობრიდან, მაგრამ მანამდე მათ, უკვე მოასწრეს უზარმაზარი მოგების მოტანა. ერთ სათამაშო ავტომატს კვირაში მოჰქონდა 50 დოლარი სუფთა მოგება. კოსტელო და მისი კომპანიონი დიდი ხანია ცდილობდნენ თავისი გავლენის სფეროს გაფართოებას. მათი ყურადღება მიჰყობილი იყო სამხრეთისაკენ, ლუიზიანის შტატისაკენ, რომლის უდიდეს ქალაქში, ნიუ-ორლეანში 1890 წელს ჩაისახა ამერიკული მაფია.

ერთხელ ნიუ-იორკში ფრენკ კოსტელომ გაიყნო ამ შტატის სენატორი ჰიუ ლონგი, რომელიც იმ პერიოდში მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო. რომელიღაც წვრილფეხა განგსტერს გაეყო ზოგი რამ ლონგის სასიყვარულო თავადასავლებიდან და ცდილობდა შანტაჟი მოეწყო სენატორისათვის. ლონგმა თავისი წუხილი კოსტელოს გაუზიარა. მაფიოზი შეპირდა მას, რომ გამომძალეულს ჩამოაცილებდა, თუ საპასუხო სამსახურს გაუწევდა.

ჰიუ ლონგის მართლაც შექმლო სამაგიეროდ განგსტერისათვის შეუთავაზებინა რაღაც რაღაცა, სახელდობრ მთელი შტატი. ლონგმა თავისი კარიერა კომპროვაიჯერობით დაიწყო, შემდეგ

სამართალი შეისწავლა და პოლიტიკოსობას მიჰყო ხელი. თავისი საჯარო გარიგების დროს იგი ცხოვრების ზოგიერთ ჭეშმარიტებას ნახსენებდა. ოცდაათობმეტი წლისა იგი ლუიზიანას შტატის გუბერნატორი გახდა. მისი საარჩევნო კომპანიის ძირითადი ლოზუნგები იყო: „თითოეული — თავისთავად მეფე“ და „ყველაფერი ერთად გავიგოთ“. ლონგმა ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ შეამცირებდა სამმართველო აპარატს, ხოლო, დაზოგილ ფულს ჭლეტიანების საავადმყოფოს ასაშენებლად გამოიყენებდა. არჩევნების შემდეგ ლამაზი სიტყვები დავიწყებას მიეცა, უფრო მეტი, ჰიუ ლონგიმ ლუიზიანა „კორუფციის ჭაობში“ ჩაფლო. დაშინებისა და მოწყიდვის საშუალებით ლონგს მტკიცედ ეპყრა თავის ხელში შტატის პარლამენტი. ერთხელ ლონგის მიერ შეტანილი კანონპროექტის განხილვისას დემუტატების უმრავლესობამ ხმა მისცა მის წინააღმდეგ. გუბერნატორს ბევრი არ უფიქრია, ბრძანება გასცა კენჭისყრა ხელახლა ჩატარებიათ. როდესაც კბილებამდე შეიარაღებული მისი გვარდია სამხედრო ნაბიჯებით სხდომის დარბაზში შევიდა და პოზიციები დაიკავა „ხალხის წარმომადგენლები“ მიხვდნენ რა უნდა ექნათ. კანონი ერთსულთვნად მიიღეს. ბოლოსდაბოლოს ლონგი ამერიკის სენატში აირჩიეს. თავისი მემკვიდრე გუბერნატორის პოსტზე მას ასევე გამოჭერილი ჰყავდა და იმსახურებდა როგორც მოსამსახურე ბიჭს.

ერთი სიტყვით, სენატორი ჰიუ ლონგისათვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა ლუიზიანაში განსაკუთრებული სარფიანი კონცესიებით უზრუნველყოფრენკ კოსტელო და მისი კომპანიონი კასტელი. „ცალხელა ბანდიტები“ შტატს კეთრივით მოედო. მოგებები იძღვნად უზარმაზარი აღმოჩნდა, რომ უკვე 1939 წელს, კონცესიის გაცემის სამი წლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სავადასახადო სამმართველომ კოსტელოს ფირმას სასამართლოში უჩივლა. 793 ათასი დოლარის გადასახადის გადაუხდელობისათვის.

მაგრამ, საქმე ჰიუ ლონგის „იმპერიაში“ ირჩეოდა, ამიტომ ფრენკ კოსტელოც და მისი კომპანიონიც სასამართლომ გაამართლა.

**პროკურორის სისოცხლეს უნარჩუნება**

**მკვლელები**

მიუსხედავად მთავრობის მიერ მიღებული ზომებისა, მაფიოზების მყუდროება არ დარღვეულა. „მშრალი კანონის“ დროს მათ მიერ დაგროვილი კაპიტალი უკვე დაბანდებული იყო არამართო არალეგალური ბიზნესის ახალ დარ-

გებში, არამედ მსხვილ საადგილმამულო კომპანიებში და სოლიდურ ფირმებშიც. მათ იცოდნენ, რომ ლა გუარდია და დიუი მუდამ არ იქნებოდნენ. ის განსტერები კი, რომელთაც ზურგს არ უმაგრებდა ისეთი მძლავრი ორგანიზაცია, როგორც იყო „კოზა ნოსტრა“ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდა არტურ ფლევენსაიმერი მეტსახელად დატჩ შულცი, რომელიც რესტორნების რეკვტს ეწეოდა პარლემში. ზანგების კვარტალში მას არალეგალური ლატარეა ჰქონდა გამართული, გარდა ამისა იგი „მკვლევების კორპორაციის“ ტრიგენმერი იყო. დრო და დრო დატჩ შულცი „დიდ ექვსეულთან“ ერთად ზოგიერთ საქმესაც ატრიალებდა, მაგრამ ამ განგსტერული სინდიკატის ხელმძღვანელობაში არ შედიოდა. 1932 წელს ფედერალური საგადასახადო სამმართველო შულცის საქმიანობის გამოძიებას შეუდგა, მაგრამ სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ შეწყდა, რადგან საოლქო პროკურორი უილიამ დოჯი, რომელსაც გამოძიება დაევალა, ამ თანამდებობაზე არჩეული იქნა იმ 30 ათასი დოლარის მეშვეობით, რომელიც მას შულცმა გადასცა. ნიუ-იორკის პროკურორმა დიუიმ საოლქო პროკურორის დოჯის გადაწყვეტილება გააუქმა და პირადად შეუდგა გამოძიებას.

შულცს, რომელიც თვალყურს ადევნებდა დიუის მშვიდ და გულმოდგინე მუშაობას მოსვენება დაეკარგა. ამ დროისათვის ლუჩანო სასჯელს იხდიდა ციხეში. კოსტელო და კასტლი ლუიზიანაში მიიმალნენ. ადონისი, ანასტაზია, ზიგელი, ბუხალტერი და ლანსკი დიუის შავ სიაში ჰყავდა.

შულცმა გადაწყვიტა თავიდან მოეცილებინა მოუსყიდველი პროკურორი. დასმარებისათვის მან „მკვლელთა კორპორაციას“ მიმართა. „კორპორაციის“ ხელმძღვანელობამ ეს წინადადება განიხილა. ლუჩანოსთანაც ითათბირეს. ყველამ, შულცის გარდა ერთსულოვნად გამოთქვა აზრი: დიუის მოკვლა საჭირო არ არის. ცნობილი პროკურორის მკვლელობა იმდენად ააღვლევებდა და ალაშფოთებდა საზოგადოებას, რომ უდავოდ გამოიწვევდა მასობრივ ოპერაციას მაფიის და მასთან დაკავშირებული განგსტერული ბანდების წინააღმდეგ.

გაშმაგებულმა შულცმა მიიტოვა „მკვლელთა კორპორაციის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა. „თუ თქვენ ასეთი ლანჩრები ხართ, მაშინ ამას მე თვითონ მოუვლი!“ იყვირა მან გამოთხოვებისას.

ხელმძღვანელობამ განგსტერ დატჩ შულცს სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. იურიდიულად

ეს ასე დაასაბუთა: „სასამართლოს უპატივე მლობისათვის“.

შულცმა განიზრახა დიუის მკვლელობა განხორციელებინა 1936 წლის 25 ოქტომბრისათვის. განგსტერმა ზუსტად შეისწავლა პროკურორის დღის განრიგი. დიუის ჩვეულებად ჰქონდა ყოველ დღითი ერთსა და იმავე დროს გამოსულიყო სახლიდან და ახლო მდებარე აფთიაქიდან დაერეკა თავის ბიუროში. „მე არ შემძლია სახლიდან დაერეკო მეუღლის გაღვიძებას ვერიდები“ — განმარტა მან. ტელეფონზე ლაპარაკის დროს დიუის პირადად მცველი მუდმივად იმყოფებოდა ქუჩაში, აფთიაქის შესასვლელთან. სწორედ ამ დროისათვის შულცის ერთ-ერთი ტრიგერმენი უნდა დარჩენილიყო აფთიაქში, თითქოს კბილის პასტის ამოსარჩევად. შემდეგ მას ავტომატით უნდა ესროლა დიუისათვის, ხოლო დანაშაული გაამყიდველისათვის დაგზარალებინათ.

„მკვლელთა კორპორაციის“ ხელმძღვანელობამ თავის დირექტორს დაავალა პირადად განხორციელებინა დიუიზე თავდასხმის აღკვეთის ოპერაცია. ამ დავალების შესასრულებლად ანასტაზიამ ამოირჩია თავისი საუკეთესო ტრიგერმენი ჩარლი უორკმენი, მტკსახელად ბალდინჯო. უორკმენს დამსმარედ გამოუყვეს ორი განგსტერი: მენდი ვაისი და პიგვი.

23 ოქტომბერს, პროკურორზე თავდასხმამდე ორი დღით ადრე „მკვლელთა კორპორაციის“ ტრიგერმენები რესტორანში შევიდნენ, სადაც შულცი ჩვეულებრივად თავისი მცველებით იმყოფებოდა. მენდი ვაისმა და პიგვიმ თავზარდაცემულ კლიენტებს ავტომატები დაუმოხვნეს, ჩარლი უორკმენმა კი ამ დროს ავტომატით ხელში სხვა ოთახები შემოიარა. მისი ყურადღება ტელეტის კარმა მიიპყრო. ყოველ შემთხვევისთვის კარები გამოაღო. იქ ზურგშექცევით ვიღაც კაცი იდგა, უორკმენი არც დაფიქრებულა და ავტომატი ესროლა. შემდეგ განცალკევებული განყოფილებისაკენ გაეშურა, კარები გამოწია, მაგიდასთან მჯდომი სამი მამაკაცისკენ ავტომატის ჯერი გაუშვა და გაუჩინარდა.

მეორე დღეს საავადმყოფოში შულცი გარდაიცვალა. სწორედ იგი აღმოჩნდა მამაკაცი რომელსაც უორკმენმა ტელეტში ესროლა.

გადარჩენილმა პროკურორმა ჩარლ უორკმენს ამ ოპერაციისათვის „უმაღურობით“ გადაუსადა: მას ბრალად წარუდგინა ბრალდება წინასწარ განზრახვით ოთხი კაცის მკვლელობისათვის, რის გამოც ბალდინჯო 23 წლით ჩასვენცინებში.

# ინფორმაცია

## საპარტილოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

1984 წლის 6-7 ივლისს ბ. ზ. პარანაძის თავმჯდომარეობით გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

პლენუმმა მოიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის ვ. ბ. ელიშვიტაშვილის მოხსენება „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს კანონების ზუსტი დაცვის შესახებ“ — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1983 წლის 18 მარტის № 2 დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სასამართლოები ძირითადად უზრუნველყოფენ კანონების სწორ გამოყენებას, სისხლის სამართლის საქმეთა კანონიერად გადაწყვეტას.

ამასთან ზოგიერთი სასამართლო ზუსტად არ იცავს კანონის ყველა მოთხოვნას, რასაც შედეგად მოსდევს გამოტანილი განაჩენების გაუქმება და შეცვლა.

პლენუმმა საგანგებო ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სასამართლო შეცდომების აბსოლუტური უმრავლესობა (51 პროცენტი), რომლებმაც განაჩენების გაუქმება და შეცვლა გამოიწვია, ქალაქ რუსთავის, გარდაბნის, ქარელის, კასპის, თიანეთის, ყაზბეგის, ახალციხის, წითელწყაროს, მესტიის, ბოლნისის, ზუგდიდის, ვანის, საჩხერის და ქ. ქუთაისის ლენინის რაიონების სახალხო სასამართლოებმა დაუშვეს. ხაზგასმით ითქვა აგრეთვე, რომ შეცდომების საში მეთოხედვი, რომლებმაც განაჩენების გაუქმება და შეცვლა გამოიწვია, სასამართლოებმა დაუშვეს მხოლოდ რვა კატეგორიის საქმეებზე: ავტოსატრანსპორტო, პიროვნების სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ხულიგანობის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, თანამდებობრივი დანაშაულის, მოქალაქეთა პირადი ქონების დატაცების, სპეკულაციის და ნარკომანიის საქმეებზე.

განაჩენების გაუქმების ყველაზე გავრცელებული მიზეზია ის, რომ სასამართლოები არ იცავენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნებს.

სისტემური ანალიზის საფუძველზე დადგინდა სამართლის ის ნორმები, რომლებსაც განსაკუთრებით ხშირად არღვევენ სასამართლოები, რაც შემდგომ განაჩენების გაუქმებასა და შეცვლას იწვევს. ამით გამოიკვეთა ის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტას უნდა მოხმარდეს სასამართლოების მთელი ძალები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში კანონიერების თანმიმდევრულად უზრუნველყოფის მიზნით. დაშვებული შეცდომების ოდენობის მიხედვით გაუქმებული და შეცვლილი განაჩენების ხვედრითი წილი და შესაბამისად ამ პრობლემათა რიგითობა ასეთია:

1. სასჯელის დანიშვნის დროს დაშვებული შეცდომები — 28,4 პროცენტი.
  2. საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის, აგრეთვე ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემების დადგენის შესახებ საქართველოს სსრ სსსკ მე-18, 59-ე, 59<sup>1</sup>-ე მუხლების მოთხოვნათა შეუსრულებლობა — 23,8 პროცენტი.
  3. დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაციის არასწორი განსაზღვრა — 18 პროცენტი.
  4. „სასამართლოს განაჩენის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის იმ მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომ განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ დამამტკიცებელ საბუთებს, როდესაც საქმეზე გამოკვლეულია ყველა წამოჭრილი ვერსია, ხოლო არსებული წინააღმდეგობანი გარკვეული და შეფასებულია — 12 პროცენტი.
  5. სამსჯავრო გამოძიების არასრულყოფილად ჩატარება და სამსჯავრო სხდომის ოქმის უზარისხობა — 11,9 პროცენტი.
  6. ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევა — 5,4 პროცენტი.
  7. ბრალდებულის სამართალში მიცემის თაობაზე კანონის დარღვევა — 5,4 პროცენტი.
- პლენუმზე გაიმართა საქმიანი საუბარი აღნიშნული პრობლემების გადაჭრის კონკრეტული მეთოდებისა და გზების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სასჯელის დანიშვნის პრაქტიკის საკითხებს. პლენ-





ნუმზე იმსჯელებს დამნაშავეთათვის აშკარად ლობიერი და აშკარად მკაცრი სასჯელების დანიშვნის შემთხვევების აღმოფხვრის აუცილებლობაზე. სასამართლოებმა მტკიცედ უნდა დაიცვან სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, უზრუნველყონ რომ დამნაშავეს სასჯელი დაენიშნოს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხასიათისა და ხარისხის, მისი პიროვნებისა და პასუხისმგებლობის შემამსუხუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა გათვალისწინებით.

საქიროა, რომ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მკაცრი ღონისძიებანი სასამართლოებმა განუხრებლად გამოიყენონ იმ პირობაში, რომლებსაც ჩადენილი აქვთ მძიმე დანაშაულები ან რომლებიც ნასამართლები არიან და ჭიუტად არ სურთ დაადგნენ პატიოსანი შრომითი ცხოვრების გზა. იმ პირობისათვის სასჯელის ხანისა და ზომის განსაზღვრისას, რომლებმაც პირველად ჩადინეს ისეთი დანაშაული, რომელიც თავისი ხასიათით არ არის დიდი საზოგადოებრივი საშიშროების შემცველი, კანონით გათვალისწინებული საფუძვლების და პირობების არსებობისას, სასამართლოებმა უნდა იმსჯელონ თავისუფლების აღკვეთის პირობითად მისჯის, მსჯავრდებულის შრომაში სავალდებულო ჩაბმის ან განაჩენის აღსრულების გადადების თაობაზე.

პლენუმმა მოითხოვა სასამართლოებისაგან ზუსტად შეასრულონ „სასამართლოების მიერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთათვის შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობის დანიშვნის პრაქტიკის შეახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1971 წლის 19 ოქტომბრის № 8 დადგენილების მოთხოვნები; განუხრებლად შეასრულონ „სასამართლოების მიერ დამატებითი სასჯელების დანიშვნის პრაქტიკის შეახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1980 წლის 29 აგვისტოს დადგენილების განმარტებანი.

პლენუმმა საგანგებოდ მიაქცია სასამართლოების ყურადღება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შეახებ საქართველოს სსრ სსსკ მე-18 მუხლის მოთხოვნათა განუხრებელი დაცვის აუცილებლობას. მათ მოეთხოვათ სრულყოფილად დაადგინონ საქართველოს სსრ სსსკ 59-ე და 59-1-ე მუხლებში მითითებული გარემოებანი, რომლებიც გავლენას აქდენენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხარისხსა და ხასიათზე. სრულად გამოიკვლიონ ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემები, ვინაიდან

ანას არსებითი მნიშვნელობა აქვს სასჯელის ხანისა და ზომის განსაზღვრის, მისი მოხდის რეჟიმის დანიშვნის, პირის განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობისა და სხვა სიკითხვების გადასაწყვეტად. არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეების განხილვისას საფუძვლიანად შეამოწმონ, რამდენად დაიცვეს წინასწარი გამოძიების ორგანოებმა საქართველოს სსრ სსსკ 59-1-ე მუხლის მოთხოვნები, ამოწმონ და დაადგინონ თუ არა ამ მუხლში მითითებული ყველა გარემოება. მიიღონ ზომები გამოძიების შესავსებად, როცა ეს არ სცილდება სასამართლოს შესაძლებლობის ფარგლებს.

სასამართლოებს დავეალათ, განუხრებლად იხელმძღვანელონ კანონის მოთხოვნით დანაშაულის ქმედობის იურიდიული კვალიფიკაციის განსაზღვრის დროს. მტკიცედ დაიცვან სსრ კავშირის კონსტიტუციით გარანტირებული მოქალაქეთა უფლებები, არ დაუშვან მათი უკანონო მსჯავრდადების შემთხვევები.

საქიროა, რომ სასამართლოებმა მკვეთრად აამაღლონ სამსჯავრო სხდომების დონე, გააუმჯობესონ სამსჯავრო სხდომის ოქმების ხარისხი. უზრუნველყონ, რომ ოქმი უპასუხებდეს საქართველოს სსრ სსსკ მე-100 მუხლის მოთხოვნებს, ზუსტად და ამომწურავად ასახავდეს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას. თანამიმდევრულად უნდა შესრულდეს საქართველოს სსრ სსსკ 810-ე მუხლის და „სასამართლო განაჩენის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1969 წლის 30 ივნისის № 4 დადგენილების მე-2 პუნქტის მითითება იმის თაობაზე, რომ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ დამამტკიცებელ საბუთებს.

სასამართლოები ვალდებული არიან მკაცრად დაიცვან საქართველოს სსრ სსსკ მე-17 მუხლის მოთხოვნა კანონით დადგენილი საშუალებებით და ხერხებით ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფის შესახებ; მაღალი პასუხისმგებლობით მოეციდონ ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიას. გამოავლინონ სათანადო მომთხოვნელობა წინასწარი გამოძიების ხარისხისადმი. არ დაუშვან სამსჯავრო სხდომაზე განსახილველად ისეთი საქმის გატანა, რომელიც გამოძიებულია საპროცესო და მატერიალური ნორმების არსებითი დარღვევებით, რომელთა გამოსწორება სცილდება სასამართლოს შესაძლებლობებს. აღმოფხვრან დამატებითი გამოძიებისათვის საქმეების უსაფუძვლოდ დაბრუნების შემთხვევები.



მკვეთრად უნდა ამაღლდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმეთა პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვის ხარისხი.

წმირია საქმეთა განხილვის კანონით დადგენილი ვადების დარღვევების შემთხვევები.

სასამართლოები ზოგჯერ არ მიმართავენ ხთანადო ზომებს სახელმწიფოსათვის დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის სრული და ოპერატიული ანაზღაურებისათვის.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის ბ. ბ. ლევიტარძანის მოხსენება „სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს კანონმდებლობის ზუსტი დაცვის შესახებ“.

მომხსენებელმა დაასკვნა, რომ სასამართლოები ძირითადად ზუსტად იყენებენ სამართლის საპროცესო და მატერიალურ ნორმებს, სწორად წყვეტენ სამოქალაქო დავებს.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ამასთან ზოგიერთ სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი მეტად დაბალია. ყურადღება, რომ გაუქმებული და შეცვლილი გადაწყვეტილებების საერთო რიცხვის აბსოლუტური უმრავლესობა (53,9 პროცენტი) მოქმედის სასამართლოების უმცირეს ნაწილზე — ქ. ქუთაისის, ლენინისა და ავტოპარხნის, ზესტაფონის, საჩხერის, ლანჩხუთის, გორის, საგარეჯოს, ღმანისის რაიონების, აგრეთვე ქ. გორის სახალხო სასამართლოებზე.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, სასამართლო გადაწყვეტილებები ყველაზე უფრო მეტად უქმდება და იცვლება სამართლის პროცესუალური და მატერიალური ნორმების შემდეგი დარღვევის გამო.

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებების არასრულყოფილი გამოკვლევის მიზეზით — ყოველი მეორე გაუქმებული გადაწყვეტილება.

ამის გათვალისწინებით პლენუმზე ითქვა, რომ სასამართლოებმა საგანგებოდ უნდა იზრუნონ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-11 და 52-ე მუხლების მოთხოვნების დასაცავად, ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოარკვიონ საქმის გარემოებები და მხარეთა უფლება-მოვალეობანი, დაეხმარონ საქმეში მონაწილე პირებს მათი უფლებების განხორციელებაში, საჭიროების შემთხვევაში თავიანთი ინიციატივით შეკრიბონ მტკიცებულებები. არ და-

უშვან საქმეში არსებული მტკიცებულებების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება. უზრუნველყონ საქმეზე წარმოდგენილი ყველა ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულების სათანადო შეფასება.


2. საქმის განხილვა იმ პირთა მონაწილეობის გარეშე, რომელთა ინტერესებს ეხება დავა, — ყველა გაუქმებული და შეცვლილი გადაწყვეტილებების 11,5 პროცენტი. პლენუმზე ხაზი გაესვა იმას, რომ სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ საქმეთა განხილვა იმ პირთა მონაწილეობით, რომელთა უფლებებსა და მოვალეობებს ეხება დავა. მხედველობაში მიიღონ, რომ კანონის ამ მოთხოვნის დარღვევა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 820-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-4 პუნქტის თანახმად წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების უდავო საფუძველს. გაითვალისწინონ, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 164-ე მუხლის შესაბამისად, გამოუცხადებელი პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სათანადო წესით ეცნობა სამსჯავრო სხდომის დრო, ადგილი და არ არის ცნობა გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ, ან თუ გამოუცხადებლობის მიზეზს სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს.

არცთუ იზვიათან სასამართლოები უსაფუძვლოდ არ იღებენ სასამართლო ქვემდებარე დავებს ან, პირიქით, წარმოებაში იღებენ სასამართლოს არაქვემდებარე დავებს.

3. ყოველი მეცხრე გადაწყვეტილება უქმდება ან იცვლება საქმის ქვემდებარეობის შესახებ კანონის მოთხოვნათა დარღვევის შედეგად. სასამართლოები ხშირად არღვევენ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე, 226-ე მუხლების პირველი პუნქტების მოთხოვნებს.

პლენუმზე აღინიშნა, რომ სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარი დაიშვება მხოლოდ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველით, სარჩელის მიუღებლობა ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით ფაქტობრივად წარმოადგენს უარს მართლმსაჯულების განხორციელებაზე, რაც ეწინააღმდეგება ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მოთხოვნას. ხანდაზმულობა მატერიალურ-სამართლებრივი კატეგორიაა და მასზე სასამართლომ უნდა იმსჯელოს საქმის არსებითი განხილვისას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პლენუმზე საბინაო, შრომის, საოჯახო სამართ-



ლებრივ, ზიანის ანაზღაურებისა და სამემკვიდრეო დავების საქმეთა განხილვის საკითხებს, ვინაიდან ოთხი მენუთედი სასამართლო შეცდომებისა, რომლებმაც გადაწყვეტილებების გაუქმება და შეცვლა გამოიწვია, სწორედ ამ კატეგორიათა წილად მოდის.

საბინაო საქმეთა გადაწყვეტისას სასამართლოები არ იცავენ ტექნიკური ექსპერტიზის დანიშვნის წესებს, ექსპერტიზის დასკვნას არ აფასებენ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, საჭიროების შემთხვევაში არ ახდენენ ადგილობრივ დათვალიერებას და არ არკვევენ, იზღუდება თუ არა მოპასუხის ინტერესები საცხოვრებელი სადგომიდან იზოლირებული ფართობის გამოყოფით. სასამართლო შეცდომების 41,8 პროცენტი ამ კატეგორიის საქმეებზეა დაშვებული.

პლენუმზე აღინიშნა, რომ საბინაო დავების გადაწყვეტილებისას სასამართლოებმა განუხრებლად უნდა იხელმძღვანელონ „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების გამოყენების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1982 წლის 9 დეკემბრის დადგენილებით, არ უნდა დაუშვან ბინიდან გამოსახლების, საცხოვრებელი სახლის გაყოფის, ბინების გაცვლის საქმეთა განხილვა ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის მონაწილეობის გარეშე, არ უნდა მიიღონ წარმოებაში მოქალაქეთა ბინიდან გამოსახლების შესახებ სარჩელი ამ საკითხზე შესაბამისი სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების წარმოუდგენლად.

სამუშაოზე აღდგენის საქმეთა განხილვისას სასამართლოებმა უნდა გაარკვიონ, როდის ჩაბარდა მოსარჩელეს სამუშაოდან დათხოვნის ბრძანების პირი და დაიცვა თუ არა მან სასამართლოში მიმართვის კანონით დადგენილი ვადა. ხანდაშულოების ვადის გაშვების შემთხვევაში იმჭელონ ამ ვადის გასვლის საპატიოდ ან არასაპატიოდ ცნობის შესახებ.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მუშაკის განთავისუფლების შემთხვევაში ყოველთვის უნდა შემოქმედეს მოსარჩელისათვის წინათ დადებული დისციპლინური სასჯელების კანონიერება.

საქორწინო და საოჯახო დავათა განხილვისას სასამართლოებმა განუხრებლად უნდა შეასრულონ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსის 36-ე მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად, მეუღლეთა შორის ქონებრივი დავა განქორწინების საქმესთან ერთად შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ ეს დავა არ ენება მესამე პირთა ინტერესებს. მოაქციონ ყურადღება იმ გარემოებას, რომ საკოლმეურნეო კომლში საოჯახო ქონებრივი გაყოფა და სხვა სამართლებრივი საკითხები ძირითადად განსხვავებული სამართლებრივი საფუძვლებით წესრიგდება, ვიდრე მუშა-მოსამსახურის ოჯახში. ამიტომ სოფლად ოჯახებში ქონებრივი დავის განხილვისას სავალდებულოა მეურნეობის ტიპის სწორად განსაზღვრა. ამ საკითხის გადაწყვეტისას არ დასჭირდნენ სახალხო დეპუტატთა სწოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ გაცემულ ცნობებს და თვითონ გაარკვიონ მხარეთა ოჯახის კატეგორია.

დასახიჩრებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეთა განხილვისას სასამართლოებმა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 457-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით უნდა გაარკვიონ მოპასუხის ბრალი, მაგრამ ყოველთვის არ აკეთებენ ამას, შეცდომებს უშვებენ ზიანის მოცულობის ხასიათისა და ოდენობის განსაზღვრაში. ამ დარღვევებზე მოდის სასამართლო შეცდომათა 11,5 პროცენტი.

მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა, აგრეთვე მხარეთა მორიგების პირობები შეიტანება ოქმში და ამას ხელი უნდა მოაწერონ შესაბამისად მოსარჩელემ ან მოპასუხემ, მორიგების შემთხვევაში კი ორივე მხარემ.

პლენუმზე ყურადღება მიექცა იმას, რომ სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან საქმეთა უსაფუძვლო აცილების არც ერთი შემთხვევა. გაითვალისწინონ ის გარემოება, რომ საქმეთა აცილება იწვევს ამ საქმეების ერთი რაიონიდან მეორეში გადაზვანას, მათი განხილვის გაჭიანურებას, დაკავშირებულია მხარეთა და საქმეთა მონაწილე სხვა პირთა მატერიალურ ხარჯებთან, სამუშაო დროის დანაკარგებთან.

აცილების საკითხის გადაწყვეტისას განუხრებლად დაიცვან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-20, 22-ე, 25-ე, 27-ე მუხლების მოთხოვნები.

ჯერ კიდევ ირღვევა კანონის მოთხოვნა სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ, რაც იწვევს საქმეთა განხილვის გაჭიანურებას და სახელმწიფო ბიუჯეტისათვის თანხების დაკლებას.

პლენუმზე სასამართლოების ყურადღება მიექცა იმას, რომ განუხრებლად დაიცვან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის მოთხოვნა სასამართლო გადაწყვეტილების გამო შეტანილ

საკაციაო საჩივარზე ხანელმწიფო ბაჟის გა-  
ღანდევინების შესახებ.

პლენუმზე საგანგებოდ და ხაზგასმით აღი-  
ნიშნა, რომ სასამართლოების ნაწილი სათანა-  
დოდ არ ზრუნავს სამსჯავრო სხდომის გამო-  
ტანილი განაჩენების (გადაწყვეტილებების)  
დამაჯერებლობასა და ავტორიტეტულობაზე.  
მდგომარეობას განსაკუთრებით ართულებს  
დამკვიდრებული მანკიერი პრაქტიკა, როცა  
სასამართლოები მოქალაქეებთან მუშაობას ამ-  
თავრებენ კონკრეტული სისხლის (სამოქალა-  
ქო) სამართლის საქმის განხილვით, არ იჩე-  
ნენ დაინტერესებას დაარწმუნონ უკმაყოფი-  
ლო, სასამართლოს ობიექტურობაში დაეკვე-  
ბული ადამიანები მიღებული გადაწყვეტილე-  
ბის სისწორეზე. დასაბუთებულობასა და კან-  
ონიერებაში. ივიწყებენ, რომ სწორი განა-  
ჩენის (გადაწყვეტილების) გამოტანაზე არა-  
ნაკლებ მნიშვნელოვანია მის კანონიერებასა  
და სამართლიანობაში მოქალაქეთა დარწმუ-  
ნება.

საქმისადმი და ადამიანებისადმი ასეთი  
ფორმალური, გულგრილი დამოკიდებულება  
აყენებს სასამართლოების ავტორიტეტს, კან-  
ონის აღმზრდელი ფუნქციას, უარყოფის  
გავლენას ახდენს სწორი მართლმგე-  
ნების ფორმირების პროცესზე, იწვევს მოქა-  
ლაქეთა უკმაყოფილებასა და საჩივრებს, ახ-

შობს მათ სოციალურ აქტიურობას და ხელს  
უშლის რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკუ-  
რი კლიმატის გაჯანსაღებას.

სასამართლო შეცდომები ყოველთვის დრო-  
ულად არ სწორდება საკაციაო წესით, რის  
შედეგად ბევრი უკანონო განაჩენი (გადაწყვე-  
ტილება) შედის ძალაში, სისტემატურად,  
ზოგჯერ მეტად ხანგრძლივი პერიოდით ირღ-  
ვევა კანონიერება და მოქალაქეთა უკვე შე-  
ღაბული უფლებების აღდგენა ხდება დაგვიან-  
ებით, ზედამხედველობის წესით, მაშინ რო-  
ცა მათთვის მიყენებული მორალური და ზოგ-  
ჯერ მატერიალური ზიანის ანაზღაურება ფაქ-  
ტობრივად შეუძლებელია.

ზოგიერთ სასამართლოში დაშვებული შეც-  
დომების გასწორება ზედამხედველობის წესით  
აღმართება საკაციაო წესით განაჩენების (გა-  
დაწყვეტილებების) გაუქმებას და შეცვლას.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესა-  
ბამისი დადგენილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სა-  
ქართველოს სსრ პროკურორის მოვალეობის  
შემსრულებელი მ. ა. შარაშენიძე, საქართვე-  
ლოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის  
ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების  
გამგის მოვალევი თ. მ. ძოღუა, საქართვე-  
ლოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე  
ა. ა. პპიჭინია.

## მოზარდი და სამართლებრივი აღზრდა

„1984 — სამართლებრივი პროპაგანდის  
წელი“ — ამ დევიზით წლიელს, 20 აპრილს,  
ქერენსკის სახელობის კულტურის სახლში  
გაიმართა საქართველოს სსრ პროფესიულ-  
ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომი-  
ტეტის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა  
სამინისტროს, საქართველოს სსრ იუსტიციის  
სამინისტროს კოლეგიებისა და საქართველოს  
ალკა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გა-  
ერთიანებული გაფართოებული სხდომა. იგი  
მიეძღვნა საქართველოს სსრ პროფესიულ-  
ტექნიკური სწავლებლებში მოსწავლეთა სა-  
მართლებრივი აღზრდის გაუმჯობესებისა და  
სამართლდარღვევების პროფილაქტიკის კომ-  
პლექსურ ღონისძიებათა შემდგომი სრულყოფის  
საკითხებს, რომლებიც უნდა განხორ-  
ციელდეს რესპუბლიკის პარტიული აქტივის  
კრების 1984 წლის თებერვლის გადაწყვე-  
ტილებათა შესაბამისად.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქარ-  
თველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათ-  
ლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე  
მ. ს. რიბვაძემ. ასეთი შემადგენლობით,  
თქვა მან, დღეს პირველად ვიკრიბებით. ახ-  
ლა, როცა ხელთა გვაქვს „ზოგადსაგანმანათ-  
ლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის  
ძირითადი მიმართულებანი“, რომელიც მოი-  
წონა სკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ  
კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო 12 აპ-  
რილს, ჩვენს შეკრებას უაღრესად დიდი  
მნიშვნელობა აქვს და იგი უპასუხებს დროის  
მოთხოვნებს. კომუნისტური პარტია და საბ-  
ჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ  
ახალი ადამიანის ფორმირების, მოზარდის  
ფიზიკური და სულიერი სრულყოფის სა-  
კითხებს, რომლებსაც ქეშმარიტად დიდი სა-  
ხელმწიფო და პოლიტიკური მნიშვნელობა  
აქვს ჩვენ მოვალენი ვართ მუდმივად და

მტკიცედ ვაზორციელებდეთ ამ კურსს.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. კაპანაძე. ბოლო ხანს, თქვა მან, განმტკიცდა კონტაქტები ჩვენს სისტემასა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის, ამაჲ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა სამართალდარღვევებთან ბრძოლის ეფექტიანობაზე. მრავალ საყურადღებო თაოსნობას ჩაუყარა საფუძველი საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ. შეიქმნა ერთობლივი საკოორდინაციო მეთოდოლოგიური საბჭო, რომლის თაოსნობითაც პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებში სისტემატურად იმართება კითხვა-პასუხის საღამოები, ლექცია-საუბრები სამართლებრივ თემებზე, ახალი ფილმებისა თუ სპექტაკლების განხილვა. სისტემის სასწავლებლებში დაწესდა „იუსტიციის ორგანოების მუშაკთა დღე“, სამინისტროს მუშაკები ხვდებიან პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს, იმართება ცოცხალი სჯა-ხასი მოსწავლეთათვის საინტერესო საკითხებზე.

ქმედითი აღმოჩნდა ურთიერთობა, რომელიც დამყარდა საქართველოს ალკა ცენტრალურ კომიტეტთან, განაგრძო მომხსენებელმა, ერთობლივი ღონისძიებების განხორციელების შედეგად ნაყოფიერად მუშაობენ „ახალგაზრდა ძერუნიანკელთა რაზმები“, „მამათა საბჭოები“, „კანონი და კანონიერების“ კლუბები. ყოველ წელიწადს უაღრესად საინტერესოდ ეწყობა კომპაგვირული ორთვიურები.

გაფართოვდა ჩვენი კავშირი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთანაც. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების პედაგოგიური კოლექტივები და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები ხშირად აწყობენ ერთობლივ რეიდებს, რასაც კარგი შედეგები მოჰყვა. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, თქვა მომხსენებელმა, რომ ჩვენსა და შინაგან საქმეთა ორგანოებს შორის არ არის მოგვარებული ოპერატიული ინფორმაციის მიწოდება. ხშირად ამა თუ იმ დანაშაულის ჩამდენი პირი თავს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლედ ასაღებს, სიმართლის დადგენისათვის კი თავს არავინ იწუხებს. ამ გზით სისტემას ეწერება სხვა პირთა მიერ ჩადენილი დანაშაული. ეს მრავალ უზუსტობასა და გაუგებრობას იწვევს. საკითხის მოგვარება კი იოლად შეიძლება.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ. კვანტალიანამ დაწვრი-

ლებით ილაპარაკა იმ პრობლემებზე, რომლებიც აშუამად დგას სამართალდარღვევებთან წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ასეთი ერთობლივი, მჭიდრო კონტაქტები უდავოდ კეთილნაყოფიერი გავლენას მოახდენს დანაშაულის შემცირებაზე. დანაშაულის პროფილაქტიკის საქმეში განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს თითოეულ სამართალდარღვევაზე ოპერატიულ რეაგირებას, მისი გამოწვევი მიზეზების დადგენას და მათ უსწრაფესად აღმოფხვრას. სამწუხაროდ, ყოველთვის ასე არ ვიქცევით.

კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, განაგრძო ორატორმა, რომ რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთელი სისტემა დღენიადავ იღვწის, რათა თემურშაოს ადმინისტრაციულ ორგანოებთან თანამშრომლობის ეფექტიანი სისტემა. ეს დიდ დახმარებას გვიწევს დანაშაულთან ბრძოლაში. უკვე მივალწიეთ იმას, რომ ბევრ პროფტექნიკურ სასწავლებელში წლების მანძილზე დანაშაული არ მომხდარა, მაგრამ გვაქვს, როგორც იტყვიან, „ცხელი წერტილებიც“, მაგალითად, გასულ სასწავლო წელს თბილისის კაპიტან ბუხაიძის სახელობის მშ-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა დროის მცირე მონაკვეთში სისხლის სამართლის სხუთი მძიმე დანაშაული ჩადინეს. ეს, რაღა თქმა უნდა, უაღრესად დამაფიქრებელი ფაქტია. სამართალდარღვევები ჭერ კიდევ არის თბილისის 110-ე 140-ე, რუსთავის მე-17 86-ე ქარელის მე-40, ახმეტის 180-ე, ხობის 80-ე № სოხუმის 45-ე, 58-ე, ჭუთაისის 21-ე, ტყვარჩელის 22-ე, და სხვა პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლებში. სავალალოა, რომ დანაშაულთა დიდი უმრავლესობა ჭკუფურად არის ჩადენილი. ღრმად გვწამს, რომ იქ, სადაც ფიზიკად არიან სასწავლებლის ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომპაგვირული აქტივი, დანაშაულის მომხადება შეუძნელებელი არ რჩება და მათი თავიდან აცილების ღონისძიებებსაც დროულად მიმართავენ.

განსაკუთრებით განაზუსტუნდა იწვევდეს ისეთი მომავლინებელი სენი, როგორც არის ნარკომანია, რომელიც მთელი სახლის, ჩვენი მომავალი თაობის საშიში მტერია. ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარება ხშირად დანაშაულის გამოწვევს მიზეზად გვევლინება. ნარკომანიასთან უკომპრომისო ბრძოლაში არ არსებობს ავანგარდი და არიერგარდი — მას ყველანი უნდა ვებრძოლოთ. მის წინააღმდეგ უნდა შევქმნათ ერთიანი ფრონტი, რადგან ნარკომანია იწვევს მოზარდის არა



მართო ფიზიკურ, არამედ წინეობრივ, ინტელექტუალურ და სოციალურ დეგრადაციას. მოზარდის სამართლებრივი აღზრდის კომპლექსურ საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალი დროის სწორად, მიზანმიმართულად გამოყენების საკითხს, თქვა დასასრულ მომხსენებელმა. უნდა მივიღწიოთ იმას, რომ თითოეული მოსწავლის თავისუფალი დრო ხმარდებოდეს ფიზიკულტურასა და სპორტს, თვითშემოქმედებას, ახალგაზრდის ესთეტიკურ განვითარებას.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. შჩერბატკისმა ილაპარაკა იმ მრავალფეროვან ღონისძიებებზე, რომლებსაც საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისათვის, დანაშაულის შემცირებისათვის, მისი პროფილაქტიკისათვის, დიდი რეზონანსი გამოიწვია, თქვა მან, კომპაქტურულ ქალაქ ბორის ქნელაძეში მიმდინარე წლის 6 იანვარს გამართულმა სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს სასწავლებლების კომპაქტური კომიტეტების მდივნებმა და დირექტორთა მოადგილეებმა სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. კონფერენციაზე წარმოდგენილი თემები ძირითადად სასწავლო-აღმზრდელობით პროცესსა და განსაკუთრებით სამართლებრივი აღზრდის პრობლემებს შეეხებოდა. ყველა მოხსენებაში გამოიკვეთა ერთი მთავარი მიმართულება. ეს არის სამართალდარღვევების პროფილაქტიკა. ამ საქმეში საბოლოოდ უნდა დავძლიოთ ფორმალიზმი და ბიუროკრატია.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსმა გ. შიქინაძემ დაწვრილებით ილაპარაკა იმ საქმიანობაზე, რომელსაც ეწევა სამინისტრო სამართლებრივი პროპაგანდის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი დახვეწისათვის. აღზრდის ეს ამოცანა მთელი სერიოზულობით დგას პარტიული, საბჭოთა, კომპაქტური, ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე. მისი ხორცშესხმა თითოეული საბჭოთა ადამიანის წმიდათაწმინდა მოვალეობად უნდა იქცეს. მისასაღებელია, რომ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადეს ყოველგვარ სამართალდარღვევას. აქ შექმნილია დანაშაულის

პროფილაქტიკის მწყობრი სისტემა, რომელსაც კარგად ხელმძღვანელობს სახელმწიფო კომიტეტთან არსებული „დისციპლინის განმტკიცების, ნეგატიურ მოვლენათა ამოღებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ მებრძოლი საკოორდინაციო კომისია“.

გადაუდებელ ამოცანად გვესახება, თქვა მომხსენებელმა, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში „სამართლის საფუძვლების“ კურსის სწავლების გაუმჯობესება. ამ მნიშვნელოვან საქმეში ჭერ კიდევ ჭარბობს ფორმალიზმი. ცოტა როდია ისეთი შემთხვევა, როცა მოსწავლეს წარმოდგენა არა აქვს სამართლის ელემენტარულ საკითხებზე. ეს კი ხშირად დანაშაულის წარმოშობის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო მოწოდებულია, გვერდში ამოუდგეს და ქმედითი დახმარება გაუწიოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ხელმძღვანელობას სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში წამოჭრილი თეორიული თუ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში. ყველაფერს ვიღონებთ, რათა დღითი დღე უფრო ქმედითი გახდეს თანამშრომლობა.

კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულების სოციალოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბ. ბაბინი, საქართველოს ალკა თბილისის გლდანის რაიკომის პირველი მდივანი გ. სტობაშვილი, რესპუბლიკის პროკურატურის არასრულწლოვანთა შესახებ კანონების შესრულების სადმი უზედამხედველობის განყოფილების უფროსი ი. მახარაძე, ქ. ქუთაისის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი ვ. ჩაბუჭაძე, ქ. ცხინვალის სპეცსასწავლებლის დირექტორი ვ. მელქონიძე, ქ. ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე რ. აბანიძე, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს მეთოდური კაბინეტის დირექტორი ი. ცუცქერიძე, ახმეტის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი შ. ვიცხელაშვილი, საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტთან და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური

განათლების სისტემის მოსწავლეთა კულტურულ-ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ბ. ჯორჯაძემ, ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტანაილში მ. შირცხლაიშვილი.

გაერთიანებული გაფართოებული სხდომა შეაჯამა საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. რიგვაძემ. მართალია, თქვა მან, მოზარდის სამართლებრივი აღზრდის პრობლემის გადაჭრას საკმაოდ დრო და თავდაუზოგავი შრომა სჭირდება, მაგრამ, მწამს, რომ დღევანდელი ჩვენი შეხვედრა უაღრესად კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ამ საქმის სასიკეთოდ მოგვარებაზე. აქ ბევრი რამ ითქვა მუშაობის სამომავლო გეგმებზე, დღეისათვის არსებულ ნაკლოვანებებზე და ხარვეზებზე; დაისახა მათი აღმოფხვრის ოპტიმალური გზები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის დანაშაულებრივ ქმედობათა მინიმუმად შემცირებას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მოკამათის სიტყვაში არსებული ვითარება გამუქებული იყო. ჩვენს სისტემაში რამდენიც გნებავთ, რომდენია პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, სადაც, დღიდან მათი დაარსებისა, არც ერთი დანაშაული არ მომხდარა. ეს გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც პედაგოგიურ კოლექტივს გულთან მიაქვს მოზარდის ბედ-იღბალი, კეთილსინდისიერად ასრულებენ დაკისრებულ

მოვალეობას, შედეგიც სასიკეთოა. სწორედ ასეთი აღმაინების ღვაწლია, რომ ჩვენთან არცთუ ისე იშვიათად ჩამოდიან ჩვენი გამოცდილების შესასწავლად. სწორედ ამ დღეებში ჩვენს რესპუბლიკაში იმოგზაურა ბრიტანეთის განათლების საბჭოს დელეგაციამ, რომლის ხელმძღვანელმა, ოლსტერის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დ. მბაკლიმ განაცხადა: „ჩვენ საბჭოთა კავშირში ჩამოვდით, რათა შევისწავლოთ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში მაღალი კვალიფიკაციის მუშაობის მომზადების მდიდარი გამოცდილება. უფროდ ვიდრე მრავალი სანტერესო რამ და თქვენს გამოცდილებას უთუოდ გამოვიყენებთ ინგლისში“. დელეგაციის წევრებზე ილიდ შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო ჩვენი სასწავლებლების მძლავრმა მატერიალურ-ტექნიკურმა ბაზამ, არამედ სასწავლო პროცესის მაღალმა ტექნიკურმა აღჭურვაბაც.

ერთი სიტყვით, თქვა შემდეგ ს. რიგვაძემ, რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში გვაქვს ხელშესახები წარმატებები, მაგრამ ეს დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს. სწორედ ამ სულისკვეთების გამოხმატკველია დღევანდელი შეხვედრაც და, ვფიქრობთ, იგი ტრადიციად ვაქცივთ.

სხდომამ მიიღო ერთობლივი დადგენილება.

ბ. ბარძინიშვილი

## სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები

1984 წლის 5 ივლისს საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს თაოსნობით გარდაბანში გაიმართა სამართლებრივი ცოდნის ერთდღიური.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი, მინისტრის მოადგილე ბ. კვიციანი, სამინისტროს სამმართველოს უფროსები, განყოფილების გამგეები და სხვა თანამშრომლები, რაიონის პარტიული და სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები შეხვედრენ შრომით კოლექტივებს. მათ ისაუბრეს სოფლად მიწათსარგებლობის, მიწის ნაკვეთის მიტაცებისა და უნებართვო ბინათშენებლობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკით-

ხებზე, მოქალაქეთა შრომითი უფლებების, არასრულწლოვანთა სამუშაოზე მიღების პირობებისა და სხვათა შესახებ, უპასუხეს მშრომელთა შეკითხვებს.

გარდაბნის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში სამართლებრივი ცოდნის გაუმჯობესების ამოცანები სკკ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ბოქარაძემ.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირ-





## ბუნების დაცვის ერთდღიური

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საკოორდინაციო-მეთოდური საბჭოს ინიციატივით მიმდინარე წლის ივნისში ჩატარდა ბუნების დაცვის ტრადიციული ერთდღიური. წელს ეს ღონისძიება დაემთხვა საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების IX ყრილობას, რომელიც თბილისში 28 ივნისს გაიმართა.

ამ საინტერესო ღონისძიებაში ჩაბმულნი იყვნენ როგორც სამინისტროს, ასევე რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს მუშაკები. ბუნების დაცვის ერთდღიური ჩატარდა დევიზით: ბუნებრივ სიმდიდრეთა გაფრთხილება თითოეული ჩვენთაგანის ვალია! საუბრებში, მოხსენებებსა და ლექციებში დიდი ადგილი დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის დეკემბრის, 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებებს, ითქვა, რომ რესპუბლიკის მშრომელები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა კიდევ უფრო გამდიდრდეს და დამშვენდეს საქართველოს ბუნება, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელშეწყობით უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ექცევა ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ჩვენი მიწის, წყლის, ტყეების, ჰაერის, წიაღისეულის, მცენარეთა და ცხოველთა დაცვას, რაც დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო და საერთო სახალხო საქმეა.

ლექცია-მოხსენებები, საუბრები გაიმართა რესპუბლიკის მსხვილ ფაბრიკა-ქარხნებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მშრომელები აღნიშნავდნენ, რომ თუმცა გარემოს დაცვას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და ბევრი რამ სასიკეთო გაკეთდა, ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ დანაშაულობებს, როგორც არის ტყის უკანონო გაჩეხვა და დაზიანება, ბრაკონიერობა, წყალსატევების გაბინძურება და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა, უკანონო ნადირობა, ნათესებისა და ნარგავების განზრახ დაზიანება და სხვ. ლექცია-მოხსენების დროს იურისტები დაწვრილებით განუმარტავდნენ მუშა-მოსამსახურეებს მოქმედ საკანონმდებლო ნორმებს, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმების იმ დადგენილებებს, რომლებიც ეხება ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვის სასამართლო პრაქტიკის საკითხებს.

საინტერესო კინოლექტორიუმი გაიმართა კინოთეატრ „კომკავშირელში“, რომელშიც მონაწილეობდნენ ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლე ბ. სავანელი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდისა და მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის სამმართველოს უფროსი გ. მიქანაძე, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები და სხვები.

დასასრულ დამსწრეთ უჩვენეს მხატვრული ფილმი.

ო. კონსტანტინოვა,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

ბარეპანის პირველ გვერდზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) კომუნისტური საწარმოს თბილისის ცხიმკომბინატის ცენტრალური ლაბორატორიის გამგე, სახალხო კონტროლის მეთოდური კაბინეტის გამგე მარინე აბულაძე, მთავარი მექანიკოსი, სახალხო კონტროლის ჯგუფის ბიუროს წევრი გოდერძი მანაგაძე და ინჟინერ-ბაქტერიოლოგი, სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე მანანა ტაბატაძე შესვენების დროს.

მასალა ამ საწარმოში შრომითი კოლექტივის კანონის შესრულების შესახებ შეგიძლიათ წაიკითხოთ უფრნაღის 50-ე გვ.

ბ. სეირანიანის სლავი.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 4 1984 (на грузинском языке). Двухмесячный, научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел.: 95-58-87; 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

